

ბირთვული იარაღი თუ საერთაშორისო კეთილგანწყობა

A8



როკ-ენ-როლის ევროპის ზღაპრები

B3

ევროპა

C


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 21 მარტი, 2005 წელი. №63 (923)

ფასი 50 თეთრი


## საზოგადოება

არც ერთი მხარე არ თმობს



როგორც ცნობილი გახდა, დღეს საქართველოს განათლების მინისტრი საგანგებო განცხადების გაკეთებას აპირებს.

A4

## ეკონომიკა

"გამჭვირვალობა" ქართულად

როგორ იმართება სახელმწიფო ქონება

სახელმწიფო დღეს ისევ ფლობს დაახლოებით 1800 საწარმოში დიდ ან პატარა წილს, რომელსაც ამჯერად ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოთა მართვის სააგენტო მართავს.

A6

**მიიღეთ მონაწილეობა "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარეაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!**

**ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.**


**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.** A7


## ამინდი

| | 21/3 | 22/3 | 23/3 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 11 | 10 | 13 |
| ქუთაისი | 6 | 4 | 6 |
| ბათუმი | 4 | 2 | 3 |
| სოხუმი | 7 | 4 | 1 |
| ფოთი | 6 | 1 | 6 |
| თელავი | 9 | 9 | 11 |
| ზუგდიდი | 6 | 4 | 4 |
| გორი | 5 | 6 | 7 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8375 |
| ევრო | 2.4463 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.5210 |
| რუბლი | 0.0669 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | პროექტი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| უცხოეთი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# გადამწყვეტი მომენტი

ამჟამად, საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკური ნების გამოცდა მიმდინარეობს



სალომე ზურაბიშვილი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ნინო გომართელი

*საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები გადამწყვეტ ფაზას მიუახლოვდა. ახლა დგება მომენტი, "როდესაც უნდა გაკეთდეს არჩევანი, წავიდეთ წინ, ვითარების დარეგულირებისკენ თუ კიდევ უფრო დავძაბოთ ვითარება," – მიაჩნია საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელს. საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გასვლის თაობაზე მოლაპარაკებათა პროცესის, საერთო საზღვრის საერთაშორისო მონიტორინგის აუცილებლობაზე, სუუამი-ს როლის გააქტიურებასა და დსთ-ში საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხებზე "24 საათს" ესაუბრება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი.*

**- საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტის თანახმად, 15 მაისამდე უნდა დადგინდეს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადები. თქვენ, როგორც საგარეო უწყების ხელმძღვანელს, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ მსგავსი გადაწყვეტილების ამ ვადებში მოსწრება და რას გიჩვენებთ მიმდინარე პროცესი?**

- გამარჯვების დღესთან დაკავშირებით 9 მაისს მოსკოვში შეხვედრები იგეგმება, რის გამოყენებასაც ჩვენ ვეცდებით იმისათვის, რომ ვნახოთ, რამდენად შესაძლებელია ამ საკითხში პროცესის წინ წაწევა. ამდენად, რა ვადების დადგენის უფლებაც ჩვენს თავს მივეცით და რაშიც რუსული მხარე, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი

გაგრძელება A3 გვერდზე

# დაპირებები კონკრეტული შეთანხმებების გარეშე

ნიკა თარაშვილი

*პოსტრევოლუციურ კიევში გამართული შეხვედრისას იუშენკოც და პუტინიც აცხადებდნენ, რომ ორი ქვეყნის მეგობრობას ალტერნატივა არ აქვს, თუმცა, თანამშრომლობის სფეროთა უმრავლესობაში პრინციპულად განსხვავებული მიდგომების დაფიქსირებასაც არ ერიდებოდნენ. "ნარინჯისფერ" უკრაინაში პირველად ჩასული პუტინი ირწმუნებოდა, რომ შეთანხმებას მიაღწია ვიქტორ იუშენკოსთან; თუმცა, კონკრეტულად რაზე შეთანხმდნენ მხარეები, სრულიად გაუგებარი რჩება.*

ოფიციალური განცხადებებით, უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტები ორმხრივი დაპირებებით კმაყოფილი დარჩნენ.

გაგრძელება A8 გვერდზე







იხილეთ B3 გვერდზე


## დაინახე საქართველო სხვა ქვეყნებთან მიმართებაში

ბიზნესის ინიციატივა - რეფორმებისთვის საქართველოში

თამარ ხორბალაძე

*როგორი საქართველო ჩაიბარა ახალმა ხელისუფლებამ გასულ წელს? ამ კითხვაზე არა ზოგადი და პათეტიკური, ან პოლიტიკური ნიშნით დაღდასმული, არამედ კონკრეტულ მონაცემებზე, მსოფლიოში აპრობირებული მეთოდოლოგიით დადგენილი, ციფრებში გამოსახული პასუხის პოვნა უახლოეს დღეებში გახდება შესაძლებელი - სამშაბათს თბილისში გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართება. პრეზენტაციას ორგანიზაცია "ბიზნესის ინიციატივა რეფორმებისთვის საქართველოში" გამართავს, რომლის ძალისხმევითაც გასულ წელს პირველად მოხერხდა საქართველოს ჩართვა 2004-2005 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში. იგივე საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, პრეზენტაციის დღემდე ამ ინფორმაციის დეტალები ფართო საზოგადოებისთვის გასაიდუმლოებულია, თუმცა "ბიზნესის ინიციატივა რეფორმებისთვის საქართველოში" (ბირსი) ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ამერიკა-საქართველოს ბიზნეს-საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა მამუკა წერეთელმა "24 საათთან" საუბარში გარკვეული აქცენტები და მინიშნებები ამ მიმართულებით მაინც გააკეთა.*

**"ორგანიზაციის - "ბიზნესის ინიციატივა რეფორმებისთვის საქართველოში" - დაფუძნება გადავწყვიტეთ 2003 წლის დეკემბერში, სტენფორდში, სადაც ჩვენ ამერიკა-საქართველოს ბიზნეს-საბჭოს წლიურ კონფერენციას ვატარებდით. იქ ჩამოსულები იყვნენ მოწინავე ქართველი და ამერიკელი ბიზნესმენები, რომლებსაც დასავლეთის პრინციპებზე აწყობილი საქმიანობა აქვთ. გადავწყვიტეთ, მათთან ერთად ჩამოგვეყალიბებინა ორგანიზაცია,**

გაგრძელება A6 გვერდზე

## ციხეში გარდაცვლილის შვილები უპენსიოდ დარჩნენ

ზვიად რუაძე

*კახეთიდან*

ზაზა და ტარიელ შანყულაშვილები, არასრულწლოვანი ძმები, ბოდბის დამხმარე სკოლა-ინტერნატში იზრდებიან. ოჯახის ინფორმაციით, მათი მამა, თეიმურაზი, 1997 წელს საგარეჯოს ციხეში გარდაიცვალა, თუმცა, ამის შესახებ ოჯახის წევრებს არანაირი ოფიციალური დოკუმენტი არ გააჩნიათ. სწორედ მამის გარდაცვალების ცნობის საფუძველზე, 12 და 14 წლის ბავშვებს ობლობის პენსია უნდა დაენიშნოთ. აღნიშნული ცნობის მოპოვება კი, თეიმურაზის მეუღლემ, ქეთევან ჯიოევამ ვერ შეძლო.

თავად ქეთევან ჯიოევა ინვალიდია - სმენადაქვეითებული. იგი სიღნაღის რაიონის სოფელ ხირსაში ცხოვრობს. მისი მეუღლე, თეიმურაზ შანყულაშვილი, 1992 წელს ქურდობის ბრალდებით დააკავეს. როგორც ქეთევანის დედა, ჟენია ჯიოევა ამბობს, დედამთილმა რძალს სახლ-კარი გაუყიდა და ღვთის ანაბარა დატოვა. მას შემდეგ ქეთევანი ძმის ოჯახმა შეიფარა, ბავშვები კი ინტერნატში მიაბარეს.

გაგრძელება A7 გვერდზე

# რითი არიან დაკავებული "დაშნისა და ლაბადის რაინდები" სამეურნეო პროფილის სახელმწიფო უწყებებში?

*საბჭოთა დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ბიძინა გიორგობიანის ირგვლივ ატეხილ სკანდალში ყველაზე უარყოფით კონტექსტში იხსენებოდა ოფიცერი უშიშროების საკითხებში, რომელიც უწყებაში ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის ნაცვლად, თითქოსდა ხე-ტყის უკანონო ბიზნესს ეწეოდა ყოფილ სამხრეთ ოსეთში. ასეთ ოფიცრებს, საბჭოური ინერციით, "ოდეერს" უწოდებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, საბჭოური ინერცია არა მხოლოდ სახელწოდებაში, არამედ მათ მოქმედებაშიც იჩენს თავს.*

კობა ლიკლიკაძე,
„რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისთვის„

უშიშროების ოფიცრების, საბჭოური ვერსიით "ოდეერის" ანუ მოქმედი რეზერვის ოფიცრების როლისა და მნიშვნელობის შესახებ ყველაზე უკეთ იმ საწარმოთა და სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელებმა იციან, სადაც უშიშროების ოფიცრები მივლინებით მუშაობენ. მაგრამ უბრალო ადამიანებმა თითქმის არაფერი იციან, თუ რამდენად ეფექტურია "ლაბადისა და დაშნის რაინდების" მუშაობა სწორედ სახელმწიფო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. შეგვიძლია შეკითხვა კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ: ყოფილა თუ არა შემთხვევა, საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში, როდესაც ამა თუ იმ უწყებაში მივლენილ უშიშროების ოფიცერს გამოევლინოს და აღეკვეთოს სახელმწიფოსთვის საზიანო ქმედება ეკონომიკის, სამხედრო მრეწველობის, ენერგეტიკის ან უსაფრთხოების სფეროში.

**"მე ასეთი მაგალითი არ მახსოვს, ჩემო კარგო, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა,** - მითხრა საქართველოს პარლამენტის წევრმა, უშიშროების მინისტრის ყოფილმა მოადგილემ დავით ბაზღაძემ, - **მე დამოუკიდებელი საქართველოს სპეცსამსახურის, ამ "ოდეერის" მიერ გაკეთებული, რაიმე სერიოზული საქმე არ ვიცი."**

ამის საპირისპირო მაგალითები კი, როდესაც უშიშროების ოფიცრების მართლსაწინააღმდეგო ქმედება სახელმწიფო უწყებას ზიანს აყენებდა, მრავლად მოიპოვება. უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი ანდრო გოცირიძე, თავის დროზე, ანტიკორუფციულ საბჭოში უშიშროების სამინისტროს რეფორმირებაზე მუშაობდა. ექსპერტის თქმით, "ოდეერის" ანუ უშიშროების ოფიცრების სახით, უშიშროების ყოფილი მინისტრები აკონტროლებდნენ და საწარმოების ხელმძღვანელებს წილში უსხდებოდნენ.

**"იგივე ანტიკორუფციულ ბიუროშიც და სხვა ინსტანციებში საწარმოთა ხელმძღვანელების მხრიდან პირდაპირ შემოდიოდა საჩივრები (ზოგჯერ ლეგალურად და ზოგჯერ სიტყვიერ დონეზე), როდესაც "ოდეერი"(**ოფიცერი უშიშროების დარგში**-კ.ლ), ფაქტობრივად, აიძულებდა მათ, ჩართულიყვნენ კორუფციულ საქმიანობაში უშიშროების სამინისტროსთან,"** - ამბობს ანდრო გოცირიძე და დასძენს: **"უფრო მეტიც, ასეთი "ოდეერები" წარმოადგენდნენ ერთგვარ "კრიშებს" და იმის გარანტიასაც იძლეოდნენ, რომ იმ უწყებაში, სადაც "ოდეერი" იჯდა, არათუ უშიშროება ვერ შევიდოდა, არამედ - ვერც საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოც."**

მიუხედავად უშიშროების ოფიცრების მიმართ არსებული კრიტიკული დამოკიდებულებისა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ინსტიტუტი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის საჭიროა. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშიშროების ოფიცრების არეალი შემცირდება და მათი ფუნქციები მკაცრად იქნება განსაზღვრული კანონმდებლობის თანახმად. მაგალითად, არავინ დავობს, რომ "ოდეერის" ოფიცერი საჭიროა სამხედრო პროფილის ისეთ საწარმოში, როგორიცაა "თბილავიამშენი", რომელიც მსხვილ სამხედრო დაკვეთებზე მუშაობს.

**"საკითხი მდგომარეობს შემდეგში: არ შეიძლება, "ოდეერს" ფუნქციონალური დატვირთვა მისი მივლინების ადგილზე მიენიჭოს. ანუ, ის საწარმოს ან დაწესებულების მართვაში არ უნდა ერეოდეს,** -აღნიშნავს ექსპერტი უსაფრთხეობის საკითხებში ანდრო გოცირიძე, - **ოფიცერს უშიშროების საკითხებში კონკრეტულად განსაზღვრული ამოცანა აქვს და იგი ამ დაწესებულების უსაფრთხოებას უნდა უზრუნველყოფდეს. ხშირ შემთხვევაში ეს არის მრჩეველი ან მოადგილე უსაფრთხოების დარგში."**

საქართველოს სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ "ოდეერების", ანუ უშიშროების ოფიცრების, საქმიანობა საზოგადოების სამსჯავროზე პირველად გასულ კვირაში გამოვიდა. და ისევ ნეგატიურ კონტექსტში. სკანდალი ამჯერად საბჭეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ბიძინა გიორგობიანის გერმანიაში გაქცევას დაუკავშირდა. რადიო "თავისუფლებასთან" სატელეფონო საუბარში ბიძინა გიორგობიანმა გაიმეორა, თუ როგორ აიძულებდა დეპარტამენტში მივლენილი უშიშროების ოფიცერი, ხე-ტყის უკანონო ტრანზიტზე თვალი დაეხუჭა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

**"ეს თანამშრომლები იყვნენ გოგიტა პაპაშვილი, ე.წ. "ოდეერი", სამინისტროში მივლენილი უშიშროების ოფიცრები,** - ამბობს ბიძინა გიორგობიანი, - **აი, ძერჟინსკის დროს რომ ჩამოყალიბდა, ის სისტემა ისევ ფუნქციონირებს. ახალგაზრდა გამომძიებელი მაქაცარია და დათა ახალაია, ამ კონსტიტუციური დაცვის დეპარტამენტის უფროსი, ესენი ფულს აკეთებენ საბჭეო დეპარტამენტიდან. ეს იყო... ძალიან ბინძური საქმეა. ოსებთან ვაჭრობდნენ რაღაც ქაღალდებით."**

ამ ვითარებაში მტყუან-მართლის გარჩევა ჟურნალისტისთვის წარმოუდგენელი სირთულის საქმეა. მით უფრო, როდესაც ერთიან შინაგან საქმეთა სამინისტროში ინტეგრირებული უშიშროების სპეცსამსახური საზოგადოებისათვის კიდევ უფრო ჩაიკეტა, ვიდრე ოდესმე. მას შემდეგ, რაც უშიშროების სამინისტრო დამოუკიდებელი სპეცსამსახურის სახით შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუერთდა, საკმაოდ გრძელი ინსტანციის გავლაა საჭირო, რათა საჯარო ინფორმაცია მოიპოვო: თუ სად, რომელ სახელმწიფო უწყებაში და უშიშროების რამდენი ოფიცერი მუშაობს. ეს ინფორმაცია უცნობია იმ დამოუკიდებელი ექსპერტებისთვისაც კი, ვინც უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობს. უბრალოდ, მათ საშუალო არითმეტიკული გამოჰყავთ და ვარაუდობენ, რომ ასეთი "ოდეერი" დაახლოებით ასამდე უწყებაში უნდა მუშაობდეს, მაშინ, როცა წინა ხელისუფლების დროს, უშიშროების ოფიცრები დაახლოებით 500-მდე დაწესებულებაში იყო მივლენილი. სამწუხაროდ, ამ საკითხის დასაზუსტებლად გაშვებული ჩვენი ყველა ზარი კი შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, ავტომოპასუხის "ნადავლი" ხდებოდა და უკურეაქცია არ ახლდა...

**"თქვენ მოხვდით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში. დატოვეთ ტელეფონის ნომერი, თქვენს შესახებ ინფორმაცია და მოგვიანებით დაგიკავშირდებით. გმადლობთ."**

არ გაამართლა არც შემოვლითი გზამ - პირდაპირ დავკავშირებოდით რესპონდენტებს. ცხადია, ასეთი კარჩაკეტილობის ვითარებაში შეკითხვა, თუ რამდენად ექვემდებარება საზოგადოების მხრიდან დემოკრატიულ კონტროლს "ოდეერის" ანუ უშიშროების ოფიცრების მოძველებული საბჭოური ინსტიტუტი, ოდენ რიტორიკულად ჟღერს პოსტრევოლუციურ, დემოკრატიულ საქართველოში.

# როგორ მოვხვდეთ საჯარო სამსახურში?

*საქართველოს ხელისუფლებამ რეფორმების ციკლი, პრაქტიკულად, საჯარო სამსახურის რეფორმირებით დაიწყო. ეს გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და უმეტესობის მიერ საკუთარ თავზე ნაწვნევი რეფორმა, რომლის წყალობითაც, ხდება საჯარო სამსახურის ოპტიმიზაცია, მისი დაკომპლექტება "ახალი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაციის" კადრებით. ხელისუფლებამ საჯარო სამსახურის რეფორმირებაზე საუბარი "საინფორმაციო ბანკის" შესახებ აგორებული პიარით დაიწყო, რომლის თანახმადაც, "ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას" შეეძლო, საკუთარი მონაცემები სახელმწიფო კანცელარიაში მიეტანა, ამ ბანკში "ჩაედო" და საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყება ამ გზით ეცადა." პოსტ-რევოლუციურ დღეებში ასეთმა პიარმა მართლაც იმუშავა და დიპლომიანი ახალგაზრდების ნაკადმა საკუთარი CV-ებით სახელმწიფო კანცელარიისკენ დენა მართლაც დაიწყო. თუმცა, სულ მალე ქვიშა დაილექა. მოსახლეობამ პიარის მიღმა რეალური სიტუაციის ამოცნობა დაიწყო. ხელისუფლებაც მიხვდა, რომ მსგავს თემაზე პიარ-თამაშები საკმაოდ სახიფათოა და პროცესი თანდათან ცივილიზებულ ფარგლებში მოექცა. სახელმწიფო სტრუქტურებმა საკუთარი ნებისა და თავად მათ მიერვე შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად დაიწყეს კონკურსების გამოცხადება, რამაც საკმაოდ სერიოზული გაუგებრობების შექმნასაც დაუდო საფუძველი.*

თამარ ივანიძე

სიტუაციის მნიშვნელობიდან და გარკვეული სირთულიდან გამომდინარე, 2004 წლის 26 ივნისს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა საჯარო სამსახურის საბჭო, რომლის თავმჯდომარე თავად საქართველოს პრეზიდენტი გახლავთ. საბჭოს შემადგენლობაში შედის სამ-სამი წევრი – საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან. საბჭოს მუშაობის უზრუნველსაყოფად კი შეიქმნა საჯარო სამსახურის ბიურო, რომლის უფროსი - ქართლოს ყიფიანი, ამავდროულად, საჯარო სამსახურის საბჭოს მდივანია.

საჯარო სამსახურის საბჭოს მდივანი "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ პრობლემები და გაუგებრობები, რომლებიც საჯარო სამსახურში მოხელეების შერჩევის პროცესში საქართველოში შეიქმნა, მეტწილად იმით არის განპირობებული, რომ არსებული კანონმდებლობით, კადრების შერჩევის პროცესს დაწესებულების საკონკურსო-საატესტაციო კომისია ატარებს და, ამასთან ერთად, აღნიშნული ღონისძიებების პროცედურები მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. შედეგად, თითოეული დაწესებულების ხელმძღვანელი თავისი შეხედულებისამებრ ატარებს ამ პროცესებს, რაც ხშირ შემთხვევებში მიღებულ ნორმებსა და მოთხოვნებს არ შეესაბამება როგორც შესაბამისი ტესტების შინაარსის, ასევე ტესტირების ადმინისტრირების თვალსაზრისით. ქართლოს ყიფიანი აცხადებს, რომ საჯარო სამსახურის საბჭოსა და საჯარო სამსახურის ბიუროს მათი უშუალო კონტროლისა და პროცესებში აქტიური მონაწილეობის უფლება არა აქვთ. ამიტომ საჭიროა შემუშავდეს სათანადო ნორმატიული აქტები კონკურსებისა და ატესტაციის მეტი გამჭვირვალობის, ობიექტურობის უზრუნველყოფისა და მათი ერთიანი მიდგომებით განხორციელების მიზნით.

ამ კრიტერიუმების მოსაფიქრებლად ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ გახლავთ. ქართლოს ყიფიანის განცხადებით, მსოფლიოში არსებობს გამოცდილება, რომელიც კადრების შერჩევას სამეცნიერო საფუძვლებს უდებს. კერძოდ: მისი თქმით, კადრების შერჩევა და დაქირავება იწყება ისეთი აუცილებელი დოკუმენტების მომზადებით, როგორიცაა თანამდებობის აღწერა და იდეალური მუშაკის დახასიათება. პირველი განსაზღვრავს ვაკანტურ სამუშაოს, ხოლო მეორე - ვაკანსიის შესაფერისი კანდიდატის მახასიათებლებს. ეს დოკუმენტები კადრების მართვის საფუძველს წარმოადგენს და საქართველოს საჯარო სამსახურში ასეთი დოკუმენტაციის არარსებობა (ან არასათანადო სახით არსებობა) უმთავრესი პრობლემაა, რაც, თავის მხრივ, ამ სფეროში არსებულ სირთულეებს განაპირობებს.

მუშაკისა და სამუშაო ადგილის ოპტიმალური შეხამებისათვის აუცილებელია შესაბამისი საინფორმაციო ბაზის შექმნა, რომელიც უნდა შეიცავდეს დეტალურ, ზუსტ და მკაფიოდ სტრუქტურირებულ ინფორმაციას (მონაცემთა ბანკს) სამი საკვანძო განაკვეთის მიხედვით:

**1. პროფესიოგრამათა ბანკი** - თანამდებობრივ მოვალეობათა დაწვრილებითი აღწერა. იგი უნდა შედგეს ორი ასპექტის გათვალისწინებით: **პროფესიული** - ასახავს მოცემული პროფესიისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა კომპლექსს; **თანამდებობრივი** - შეიცავს მოცემულ თანამდებობასთან დაკავშირებულ მოვალეობათა ნუსხას.

**2. პროფესიულ სოციოგრამათა ბანკი** - იმ საქმიანი და პიროვნული თვისებების ჩამონათვალია, რომელიც უნდა ახასიათებდეს იდეალურ მუშაკს კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად. ამდენად, იდეალური შემსრულებელი - ეტალონია, რომელზე ორიენტირებით შეირჩევა მოცემული თანამდებობის რეალური პრეტენდენტი.

**3. პერსონოგრამათა ბანკი** - არსებულ თანამდებობათა დაკავების პრეტენდენტ კონკრეტულ პირთა საქმიანი უნარ-ჩვევებისა და პიროვნული თვისებების შესახებ მონაცემების ერთობლიობაა. იგი შერჩევის პროცედურის პარალელურად ყალიბდება და, ამავე დროს, საკადრო რეზერვის შექმნის საფუძველს წარმოადგენს.

ამრიგად, შერჩევის პროცესი შემდეგ საფეხურებს მოიცავს:

არსებული ვაკანსიის შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება;

თითოეული ვაკანსიისათვის სათანადო ანკეტის ფორმის შემუშავება;

კანდიდატთა გაცხრილვა ანკეტური მონაცემების საფუძველზე;

შერჩევის სპეციალური მეთოდებით (შესაძლებლობათა ტესტები, პიროვნული კითხვარები, გასაუბრება) კანდიდატის პროფესიული დონის, კონკრეტული უნარ-ჩვევებისა და პიროვნული თვისებების შეფასება, რომელთა დასადგენად ანკეტური მონაცემები საკმარისი არ არის.

ამასთან, ქართლოს ყიფიანს მიაჩნია, რომ არ შეიძლება დასავლეთის ქვეყნებში აპრობირებული ტესტების პირდაპირ გადმოტანა ქართულ სინამდვილეში და ამას წინასწარი კვლევები და საქართველოში არსებულ რეალობასთან ადაპტირება სჭირდება.

გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ საქართველოში, ხშირ შემთხვევაში, აღრეულია ცნებები. მისი თქმით, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსის წესით კადრების შერჩევა და ატესტაცია განსხვავებული პროცედურებია. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ კადრების შერჩევის მიზანია პრეტენდენტის გამოვლენა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება არსებულ ვაკანსიას, ხოლო ატესტაციისა - შეფასდეს იმ მუშაკის საქმიანობის ეფექტიანობა, რომელსაც უკვე უკავია კონკრეტული თანამდებობა. ცხადია, ატესტაციის პროცედურა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მეთოდებსა და მიდგომებს მოითხოვს, - ამბობს საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელი.

## "ცხინვალის მოსახლეობა საქართველოს კიდევ უფრო დაშორდა"

სლოვაკეთის ქალაქ ლუბლიანაში ქართული და ოსური მხარეების არაფორმალური შეხვედრა დასრულდა. როგორც შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ, პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ცხინვალის მოსახლეობა, 2004 წლის ზაფხულის მოვლენების შემდეგ, კიდევ უფრო დაშორდა დანარჩენ საქართველოს და ეს საქართველოს ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია.

"ერგნეთის ბაზრობის დახურვის გამო, ოსი ეროვნების მოსახლეობა, ეკონომიკური თვალსაზრისით, მთლიანად რუსეთზე გახდა დამოკიდებული. გასაგებია, რომ ბაზრობა უნდა დახურულიყო, მაგრამ ეს თანდათანობთ უნდა მომხდარიყო და არა ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა," - მიაჩნია ექსპერტს.

მისივე თქმით, სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ აფიქრებინა ოსებს, რომ საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას ისევე არ აინტერესებს ოსური მოსახლეობის აზრი, როგორც ეს გამსახურდიას დროს იყოს.

ზაქარეიშვილის განცხადებით, ლუბლიანაში ოსურ მხარესთან თითქმის ვერ მოხერხდა საუბარი პრეზიდენტ სააკაშვილის წინადადებებზე, რომელიც მან სტრასბურგში, ევროსაბჭოში გააკეთა.

"რაც უნდა გასაკვირი იყოს, დოკუმენტი, რომელიც სამხრეთ ოსეთის ფართო ავტონომიაზე პრეზიდენტის ინიციატივის საფუძველზე მომზადდა, ცხინვალში არავის გაუგზავნია. მათ კი მხოლოდ ტელევიზიით მოსმენილის საფუძველზე საუბარი, ბუნებრივია, არ სურთ," - აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

ლუბლიანის შეხვედრა დიდი ბრიტანეთის სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის ინიციატივით 16-19 მარტს გაიმართა. მასში ქართველი და ოსი ექსპერტები, დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრები დავით ზურაბიშვილი, ივლიანე ხაინდრავა, ეროვნული უშიშროების საბჭოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

**მედიანიუსი**

## ლიბერალური ინტერნაციონალი და საქართველო

ორი დღის წინ საქართველოს ახლახან შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაცია "ლიბერალური ინტერნაციონალის" ლიდერები ესტუმრნენ, რომელთა მიზანია, შეისწავლონ და კოორდინირება გაუწიონ ლიბერალური მიმართულების პარტიებისა და მოძრაობების საქმიანობას.

ვიზიტი გაცნობითი ხასიათისაა. ორგანიზაციის წარმომადგენლები სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესწავლას და მის გაანალიზებას გეგმავენ. თბილისში ამ ორგანიზაციის ლიდერები პირველად არიან და მათ ქვეყნის შესახებ საკმაოდ ზოგადი ინფორმაცია აქვთ. თუმცა, როგორც უცხოელი ექსპერტები იმედოვნებენ, ისინი ვითარებაში გარკვევას მალე შეძლებენ.

ორგანიზაციის პრეზიდენტი, ბელგიელი პოლიტიკოსი და ევროპარლამენტის წევრი ანემი ნეითსუტებროეკი და გენერალური მდივანი ფედერიკა საბატი დღეს საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდებიან.

**"ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ბოლო დროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოში განვითარებული მოვლენების ანალიზი. ვიმედოვნებთ, რომ დიალოგი საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებთან საფუძველს ჩაუყრის ჩვენს შორის მჭიდრო თანამშრომლობას,"** - განუცხადა "24 საათს" "ლიბერალური ინტერნაციონალის" პრეზიდენტმა.

*24 საათი*




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# გადამწყვეტი მომენტი

**ამჟამად საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკური ნების გამოცდა მიმდინარეობს**

პირველი გვერდიდან

სერგეი ლავროვი დაგვეთანხმა, უნდა გამოვიყენოთ, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლა ვცადოთ და ორი თვის განმავლობაში, რეალურ კალენდარზე შევთანხმდეთ.

საბოლოოდ გამოვა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ რუსეთს ჩვენ ორი თვე მივეცით, რადგან ვფიქრობთ, რომ თუ არსებობს პოლიტიკური ნება იმისა, რომ შეთანხმებამდე მივიდეთ, ამ პერიოდში მოსწრება შესაძლებელია. ეს არ არის პრაქტიკული პრობლემა, ეს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ნების პრობლემაა. ეს პერიოდი არის ამ პოლიტიკური ნების გასინჯვის შესაძლებლობა, პოლიტიკური ნების, რომელიც ჩვენი მხრიდან არსებობდა და არსებობს დღესაც, მაგრამ არ ვიცით, არსებობს თუ არა რუსეთის მხრიდან. ბოლოს და ბოლოს, უნდა გაირკვეს, ვისთან გვაქვს საქმე და რა სურთ რუსებს როგორც ბაზების გაყვანასთან, ისე სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

მოლაპარაკებათა პროცესი იწყება, ჩემი მოადგილე ამჟამად მოსკოვში იმყოფება და თარიღებზე შეთანხმება უკვე არის. 23, 24 და 25 მარტს გაიმართება შეხვედრები, სადაც განხილული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი და სხვა მნიშვნელოვანი თემები, როგორიც არის, მაგალითად, საზღვრების დელიმიტაცია, კონფლიქტები.

ყოველ შემთხვევაში, პროცესი იწყება ისე, როგორც იყო შეთანხმებული და სიძნელეები, პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, არ ყოფილა. ასე რომ, ჯერჯერობით, ყველაფერი ისე მიდის, როგორც უნდა მიდიოდეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც ჩვენ გვსურს.

**- არიან თუ არა საქართველოს მეგობარი ქვეყნები, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური უწყებები საქმის კურსში, რომ 15 მაისამდე უნდა დადგინდეს საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი და ახორციელებენ თუ არა ისინი ზეწოლას რუსეთზე, რომ ამ უკანასკნელმა, 1999 წელს, სტამბულში ეუთო-ს სამიტზე აღებული ვალდებულებები შეასრულოს?**

- ყველა ჩვენს მეგობარ ქვეყანას ვატყობინებთ, რომ ეს ორი თვის პერიოდი ძალზედ მნიშვნელოვანია მოლაპარაკებების კუთხით და რომ ეს არის ერთი, მნიშვნელოვანი შანსი იმისათვის, რომ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობები დარეგულირდეს, რის გამოც ყველას დახმარებას ვთხოვთ; მაგრამ დახმარებას არა მოლაპარაკებების პროცესში, რადგან ეს მხოლოდ ჩვენი საწარმოებელია და უშუალოდ ვერც ერთი ქვეყანა ვერ ჩაერევა, არამედ უნდა დაგვეხმარონ იმაში, რომ რუსებს გააგებინონ - ეს არის მომენტი, როდესაც უნდა გაკეთდეს არჩევანი, ან წავიდეთ ვითარების დარეგულირების და ნორმალიზაციის გზით, ან რუსეთმა ისევ დაძაბოს ვითარება, რაც აუცილებლად მოხდება, თუ შეთანხმება არ იქნა მიღწეული.

**- საქართველო-რუსეთის საზღვრიდან ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის წასვლა რომ საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს, არა მარტო ჩვენთვის არის ცნობილი. საზღვარზე თუ საერთაშორისო მისია არ იქნება, რა დიპლომატიურ ხერხებს აპირებთ მიმართოთ, რომ ქვეყანა დაცული იყოს რუსული პროვოკაციებისაგან?**

- ჯერ უნდა ვისაუბროთ იმაზე, რაც ამ კუთხით ჩვენს მიერ გაკეთდა - ეს იყო ამ საკითხის ამოწევა, რომელიც მანამდე მიტოვებული და დავიწყებული იყო. ეს საკითხი იმდენად აქტუალური გავხადეთ, რომ ინტენსიურად მიმდინარეობდა მისი განხილვა როგორც ეუთო-ში, ისე ევროკავშირში. არ არსებობს არც ერთი ქვეყნის დელეგაცია, რომელიც ჩვენთან ჩამოდის მოლაპარაკებებზე და არ არის გარკვეული იმაში, თუ რა არის ეუთო-ს საზღვრის მონიტორინგის მისია (BMO), რაც ერთი წლის წინ ყველასათვის გაუგებარი იყო. დღეისათვის ყველამ იცის, რა არის BMO, რომელ საზღვარს ეხება, რა პრობლემაა და აბსოლუტურად ყველა ქვეყანა ეთანხმება იმას, რომ აუცილებელია რამე ფორმით, საქართველო-რუსეთის საზღვარზე საერთაშორისო მისიის არსებობა.

ქართული მხარე ორი მიმართულებით მუშაობდა, როგორც ეუთო-ს, ისე ევროკავშირის კუთხით. მოხდა ისე, რომ ეუთო-ს ფარგლებში, რუსეთმა გასული წლის დეკემბერში BMO-ზე უარი თქვა, რაც, ალბათ, მოსალოდნელიც იყო. ჩვენ ვიცოდით და ხმამაღლაც ვაცხადებდით, რომ თუ მარტის ბოლომდე არ იქნებოდა მიღებული გადაწყვეტილება, შემდეგ ვერაფერი მოხერხდებოდა, რადგან მარტის შემდეგ სხვა პროცესები იწყება - ამ ორგანიზაციის ბიუჯეტის დამტკიცება, ეს ყველაფერი საკითხის გადავადებას გამოიწვევს და გაჭიანურდება.

გასულ კვირას, ჩემი მოადგილე გიორგი გომიაშვილი ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე გაიგზავნა და იგი ადგილზე პროექტით ჩავიდა, რომ საკითხი ან იმ კვირის ვადაში გადაწყდებოდა, ან ჩვენ ჩავთვლიდით, რომ ეუთო-ს ამ დადგენილების მიღება აღარ შეუძლია და ქართული მხარე გადაწყვეტილების მიღებას აღარც დაელოდება. ფაქტი ნათელია, ყოველ შემთხვევაში - ჩვენთვის, რომ საკითხს ბლოკავს რუსეთი და საკუთარი დამოკიდებულების შეცვლას არც აპირებს. ეს კი, თავის მხრივ, ჩვენთვის იმის მანიშნებელია, რომ მთელი პასუხისმგებლობა ევროკავშირზე გადადის, სადაც ნიადაგი უკვე მომზადებულია.

ორი კვირის წინ მე იქ ჩავედი, გამოვედი უსაფრთხოების და პოლიტიკის კომიტეტის წინაშე და გავაცანი ჩვენი პოზიცია. იქაც ძალიან დიდი მხარდაჭერა იყო. ყველა აღნიშნავდა, რომ გასაგები იყო საქართველოს პოზიცია, მდგომარეობა და მიიჩნევდა, რომ აუცილებელია საზღვარზე საერთაშორისო მისიის ყოფნა, რომელიც ვითარების სტაბილიზებაში და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დაგვეხმარება.

ახლა, ჩვენ უკვე მეორედ მივმართავთ თხოვნით ევროკავშირს და გადაწყვეტილების პირველი ნაბიჯი იქ უკვე გაკეთებულია. ამბობენ, რომ თბილისში ევროკავშირის მისიას მიეცემა ახალი, გაფართოებული მანდატი, რომელშიც შევა საზღვრის იმ ნაწილების მონიტორინგის ფუნქცია, სადაც შეიძლება რამე პრობლემა იყოს. ეს ეხება პანკისის ხეობასაც.

იმის გამო, რომ სხვა მისიისთვის ისინი ჯერ მზად არ არიან, ევროკავშირი საზღვარზე თავის მესაზღვრეების წვრთნის მისიას (training mission) გამოგზავნის, რაც, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე დიდი მიღწევა იქნება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ორი რამ - თბილისში ევროკავშირის გაზრდილი მუდმივი ხასიათის მისია, და საქართველო-რუსეთის საზღვარზე რამე ფორმით ევროკავშირის განლაგება, უკვე ძალზე დიდი პროგრესია.

ეს, გარკვეულწილად, სიმბოლური ცვლილებაცაა, რადგან ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირი პირველად შემოდის საქართველოში სულ ახალი ტიპის მისიით. ეს არ არის ძველი მისია და ეკონომიკური ხაზით შემოსვლა, არ არის "rule of law" მისია, უსაფრთხოების და პოლიტიკის სფეროში მდგარი მისია, რაც წმინდა სამართლებრივი კუთხით მუშაობდა.

ეს არის უშუალოდ უსაფრთხოების დარგში ევროკავშირის შემოსვლა საქართველოში, რაც ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროკავშირთან ურთიერთობის მომავლისთვის.

**- რამდენიმე წლის წინ, პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ გააკეთა განცხადება, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, რუსეთის გავლენისაგან გასათავისუფლებლად, ძალიან კარგი იქნება, თუ რუსეთის ალტერნატივად უკრაინა იქცევა. ალბათ, ამის გამოძახილია სუუამი-ს (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) აღორძინებისათვის ბოლო დროს გადადგმული ნაბიჯები. რა მდგომარეობაა ამჟამად სუუამ-ში?**

- ეს ორგანიზაცია ამჟამად არის ვირტუალური. არსებობს რაღაც პროგრამები, საწყისი დაფინანსება, მაგრამ, ჯერჯერობით, ამ ორგანიზაციის მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები არ არსებობს.

დღეს სუუამ-ს ყველა სხვა კუთხით უყურებს, რადგან უკრაინა, საქართველო, მოლდოვა და აზერბაიჯანი ცვლილებებს განიცდიან და ქმნიან რაღაც ახალ ღერძს უსაფრთხოების საკითხებში. ის თემები, რომლებიც არსებობს სუუამ-ში, ანტიტერორისტული და ტრანსპორტის უსაფრთხოება, სწორედ ის თემებია, რომელიც დღეს ძალზე აქტუალურია. ასე რომ, მოსალოდნელია, რომ მართლაც მოხდეს ამ ორგანიზაციის გააქტიურება.

ამჟამად ჩვენ ველოდებით სუუამი-ს სამიტს, რომლის გამართვაც აპრილში არის დაგეგმილი მოლდოვაში, მანამდე კი ჩვენთანაც და, ალბათ, უკრაინასთანაც მიმდინარეობს საკითხის განხილვა - თუ რა გეგმით და რა კუთხით შეიძლება მოხდეს ამ ორგანიზაციის გააქტიურება. რა კუთხით არის შესაძლებელი ამ ორგანიზაციის შავი ზღვის ორგანიზაციასთან დაკავშირება და რა როლი შეიძლება ითამაშოს შავი ზღვის ორგანიზაციასთან მიმართებაში.

ეს ყველაფერი მოსალაპარაკებელი და შესათანხმებელია და დღეს მე ვერ ვიტყვი, რომ გადაწყვეტილება მიღებულია, ან არსებობს რამე კონკრეტული სტრატეგია, მაგრამ განხილვის პროცესი მიმდინარეობს და მოსალოდნელია, რომ სუუამ-ის გააქტიურება მოხდება.

**- როგორია ამ საკითხში უზბეკეთის პოზიცია?**

- უზბეკეთი, ამ მომენტში, ორგანიზაციიდან გამორთულია და დიდი ხანია, რაც არაფერში მონაწილეობს. შესაძლოა, სუუამი-ს გააქტიურების შემდეგ, უზბეკეთმა გამოიჩინოს ინტერესი, მაგრამ დღეს, თუ საკითხის განხილვა მოლდოვაში იქნება, მხოლოდ ის ოთხი ქვეყანა ჩაერთვება, რომელიც მართლაც აქტიურობს.

**- როდესაც მუშაობა მიდის სუუამი-ს აღორძინებაზე, რა საჭიროა ამ შემთხვევაში დსთ? იგივე, იმ იდეის რეალიზების კუთხით?**

- ეს ყველაფერი ღია საკითხებია, გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ჩვენთვის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა არასოდეს ყოფილა უსაფრთხოების სფეროში მნიშვნელოვანი ორგანიზაცია. ჩვენ მას ეკონომიკური კუთხით უფრო ვუყურებთ და თუ ჯერ კიდევ ვართ იქ, უფრო ეკონომიკური მიზეზებიდან, ვიდრე ნებისმიერი სხვა საკითხიდან გამომდინარე.

დსთ-ს მომავალი ბევრ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. დღეს მიდის რეფორმების პროცესი, რომელიც რუსეთის წამოწყებული იყო, თუმცა სხვა ქვეყნებმა აიტაცეს.

თუ აღნიშნული რეფორმა ნიშნავს იმას, რომ დსთ გარდაიქმნება ახალ ორგანიზაციად; შესაძლოა, რამე ფორმით დსთ შუააზიის, კავკასიის და ევროკავშირის გამაერთიანებელი ეკონომიკური ხიდი გახდეს, მაშინ რატომაც არა. არის პოტენციალი იმისა, რომ იყოს არა დღეს არსებული ფორმით, როგორც რაღაც ძველი ორგანიზაციების მემკვიდრე ორგანიზაცია, არამედ პირიქით, ახალი ეკონომიკური მიმართულებების ამსახავი ორგანიზაცია.

თუმცა, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოხდება მომავალში, გახდება თუ არა, მაგალითად, ყაზახეთი გარდაქმნების მამოძრავებელი ძალა. დაუშვებს თუ არა გარდაქმნებს მოსკოვი, რამდენად არის ის დაინტერესებული იმაში, რომ დსთ-ს გაცოცხლება მოხდეს, თუ პირიქით, ზეწოლის მოხდენა და მისი მოკვლა სურს.

ჩვენ უნდა მივცეთ დრო და ვნახოთ, რა იქნება.

მაგრამ ფაქტი ერთია, ჩვენ არაფრის ინიციატორი არ გავხდებით, რადგან საკმარისი საქმეები გვაქვს სხვა მიმართულებით.

და თუ ცვლილებები არ იქნება, ამ ორგანიზაციაში ჩვენს ყოფნას გადავხედავთ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო




**განცხადება გრანტის მოსაპოვებლად წინადადებების წარმოდგენის შესახებ**

**კახეთის სამედიცინო დაწესებულებების შენობა-ნაგებობების აღდგენა-განახლების, მათი აუცილებელი სამედიცინო მოწყობილობით უზრუნველყოფისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის გამიზნული საქმიანობის თაობაზე**

**საცნობარო ნომერი: EuropeAid/ 121264 / C/G/GE**

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოსა და სომხეთში (Delegation-Georgia@cec.eu.int) ითხოვს წინადადებებს კახეთის სამედიცინო დაწესებულებების შენობა-ნაგებობების აღდგენა-განახლების, მათი აუცილებელი სამედიცინო მოწყობილობით უზრუნველყოფისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის გამიზნული საქმიანობის განსახორციელებლად. პროექტი დაფინანსდება ევროგაერთიანების "ტასისის" პროგრამით.

სრული "სახელმძღვანელო მითითებები წინადადებების წარმომდგენთათვის" განთავსებულია ინტერნეტ გვერდზე: http://europa.eu.int/comm/europeaid/cgi/frame12.pl (გთხოვთ აირჩიოთ: **TACIS,** Status -Open, Type-Grants, Region-All, Country-Georgia).

წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 20 ივნისი, 16:00 საათი ადგილობრივი დროით.






# უაქციზო სიგარეტს დახლქვეშიდან ყიდიან

*კონტრაბანდის მფარველობაში ეჭვმიტანილ პოლიციის მაღალჩინოსანთა სკანდალური მხილების შემდეგაც შიდა ქართლში სიტუაცია ბევრად არ შეცვლილა - კონტრაბანდული სიგარეტი ნებისმიერი მსურველისათვის ადვილად ხელმისაწვდომია.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

**"მას შემდეგ, რაც ბაზრობა დაიკეტა, მე მაინც თავისუფლად ვახერხებ კონტრაბანდული სიგარეტის ყიდვას. ის თითქმის 50 პროცენტით იაფია, ვიდრე აქციზური,"** - ამბობს გორელი რეზო ნადირაძე. გორელი ლელა ჩიტაძის თქმით, **"ჩემი ძმა ჩვენი საცხოვრებელი სახლის მახლობლად მდებარე მაღაზიაში უაქციზო სიგარეტს ყოველდღე ყიდულობს."**

კონტრაბანდული სიგარეტის შეძენა გორში თითქმის ყველა მაღაზიაში შეიძლება. უბრალოდ, შეიცვალა მისი გაყიდვის წესი. ღიად, დახლებზე, ასეთი სახის სიგარეტს ვეღარ შეხვდებით. მაგრამ, თუკი მაღაზიის მუდმივი კლიენტი ხართ, უაქციზო სიგარეტის შეძენა პრობლემას არ წარმოადგენს. ამით მყიდველიც კმაყოფილია და გამყიდველიც.

გორში გამომავალი "ხალხის გაზეთის" მთავარი რედაქტორის რევაზ ოქრუაშვილის აზრით, **"ერგნეთის ბაზრობის დაკეტვის შემდეგ, კონტრაბანდული სიგარეტის შემოდინება გაცილებით გაიზარდა."**

**"ოფიციალური პირები თვითონ აცხადებენ, რომ თუ შარშან ამ დროს ორი მილიონი აქციზური მარკა იყო გაყიდული, დღეს - არც ერთია,"** - ამბობს რეზო ოქრუაშვილი. მისი აზრით, კონტრაბანდის გადაბრალება მხოლოდ ცალკეულ კერძო პირებზე არ შეიძლება. **"იმ რაოდენობის კონტრაბანდული სიგარეტის შემოტანას, რაც რეალურად ბრუნავს, 150 ათასი ასეთი კერძო პირი სჭირდება, რომ ჩანთებით გადმოზიდონ, ამდენი ადამიანის შემჩნევა კი ძალიან ადვილია."**

**"როდესაც ჩვენი პარლამენტი იღებდა კანონს, უნდა ეფიქრა, რომ აქციზურ მარკაზე დაწესებული 90-თეთრიანი გადასახადით დაბრკოლებას შეუქმნიდა ეროვნულ პროდუქციას. არც ერთი ადამიანი ერთი და იგივე ხარისხის სიგარეტში ორმაგ თანხას არ გადაიხდის. ჩნდება ეჭვი, რომ კონტრაბანდას პარლამენტშიც ლობირებენ,"** - ამბობს რეზო ოქრუაშვილი.

გორის ფინანსური პოლიციის თანამშრომლის თემურ ზაუტაშვილის აზრით, **"როცა კონტრაბანდის წყარო აქვე, რამდენიმე კილომეტრში გვაქვს, კონტრაბანდაზე მეთვალყურეობის გაწევა ძალიან ძნელია."**

მისი თქმით, **"ახლა რუსულაქციზიანი სიგარეტი თითქმის სამჯერ იაფია და მომხმარებელიც ბევრი ჰყავს. როცა ეს პრობლემა მოგვარებული იყო, სიგარეტი რუსეთში აქედან გაჰქონდათ."**

თემურ ზაუტაშვილის თქმით, კონტრაბანდის დიდი პარტიები რეგიონში აღარ შემოდის. თუმცა, შიდა ქართლის საფინანსო პოლიციის განყოფილებაში სულ 26 თანამშრომელია, ამიტომ შემოვლითი გზების გაკონტროლება ძალიან ჭირს. **"გასაკვირი არ არის, რომ ქალაქში სადღაც კონტრაბანდული სიგარეტი იყიდება,"** - დასძენს იგი.

# თურქული კომპანია ფოთში ინვესტიციების დაბანდებას გეგმავს

ქეთინო ჭაკობია
*ფოთიდან*

თურქული საინვესტიციო კომპანია "2d" საქართველოთი, კარგა ხანია, დაინტერესდა. მისამართებს, სადაც კომპანია თავისი პროექტების განხორციელებას გეგმავს, თბილისის, წყალტუბოსა და ბათუმის შემდეგ, სავარაუდოდ, ფოთიც დაემატება. ამ დღეებში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს. როგორც ქალაქის მერი ივანე სალინაძე განმარტავს, თურქული მხარე ფოთის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საინტერესო და სერიოზულ წინადადებებს სთავაზობს, თუმცა, ჯერ არც ერთი პრიორიტეტი არ გამოკვეთილა.

პროექტის ორგანიზატორის, საქართველოს ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ექსპერტის, ნუგზარ ბაბუაძის თქმით, "2d" დაინტერესებულია, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქალაქში სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

"მივიჩნევ, რომ ფოთი საქართველოს კარიბჭეა და ისე უნდა განვითარდეს, როგორც საპორტო ქალაქსა და მის მცხოვრებლებს ეკადრებათ. მე საკუთარ თავზე ავიღე ამ კუთხით მუშაობა. რაც შეიძლება ბევრი ინვესტორი უნდა მოვიზიდოთ და ჩვენი შესაძლებლობები დავუმტკიცოთ. ეს აუცილებლად გამჭვირვალე პროცესი უნდა იყოს, რომელშიც მონაწილეობას ყველა მიიღებს. რამდენიმე ისეთი ობიექტი უნდა აშენდეს, რომელიც ფოთელებს დაანახებს, რომ ქალაქში უძრაობის ხანა დასრულდა და წინსვლა დაიწყო," – ამბობს ბაბუაძე.

მემორანდუმში მითითებულია, რომ დაახლოებით ერთ თვეში ექსპერტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები, უნდა დაკონკრეტდეს ფინანსური საშუალებებიც და თანადაფინანსების შესაძლო რაოდენობა. ერთ თვეში, ფოთში საინვესტიციო კომპანიის წარმომადგენლების კიდევ ერთი ვიზიტი იგეგმება, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება პრიორიტეტებზე მსჯელობა.

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები: თეორია და პრაქტიკა".**

კურსი ჩატარდება 2005 წლის 2 მაისიდან 15 მაისამდე ერევანში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 6 აპრილი. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

**http://hei.unige.ch/psio/outreachactivities/capacitybuilding.html**

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის, საერთაშორისო ორგანიზაციების სწავლების პროგრამის კოორდინატორს ახიმ ვენმანს ელექტრონული ფოსტით: cabirapplications@yahoo.com

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**აბიტურიენტთა საყურადღებოდ!**

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გაცნობებთ:**

■ აპრილის თვეში გამოვა და გავრცელდება ზოგადი უნარების ტესტურ დავალებათა ნიმუშების კიდევ ერთი კრებული.

***გაფრთხილებთ:*** სარეპეტიტორო ფირმებისა და კერძო პირების მიერ
გამოცემული არც ერთი სახელმძღვანელო არ უკავშირდება ცენტრის საქმიანობას და, მათი შინაარსისა და ხარისხის გამო, არ არის რეკომენდებული ცენტრის მიერ

■ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის აბიტურიენტების რეგისტრაცია იწარმოებს 10 აპრილის ჩათვლით

■ თბილისში, მაჩაბლის ქუჩის N16-ში გაიხსნა კიდევ ერთი აბიტურიენტთა სარეგისტრაციო პუნქტი

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცვენტრის ცხელი ხაზი: 94 33 11; 95 62 38**
**ვებ გვერდი: WWW.NAEC.GE**

# არც ერთი მხარე არ თმობს

ზაზა ფარუაშვილი

*საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლება სამედიცინო კოლეჯის სტუდენტების შიმშილობის აქციის გამო გამწარებულია. უკვე 4 დღეა, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შიმშილობა დაიწყო 38-მა სტუდენტმა. მათ შორის ძირითადად არასრულწლოვნები არიან, რომლებიც ერთი მეორის მიყოლებით ხდებიან ცუდად. დღეისათვის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მძიმე პათოლოგიებით გადაიყვანეს 19 სტუდენტი.*



*შიმშილობის აქცია გრძელდება.*



*შეხვედრა ჯანდაცვის სამინისტროში.*

ზაზა ფარუაშვილის ფოტოები

## მუქარა და ვედრება

"შრომას" და "სოციალურ დაცვას" სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციებიც რომ მივუმატოთ, პროფესიით ექიმი ლადო ჭიპაშვილი უპირველეს ყოვლისა მაინც ჯანდაცვის მინისტრად მოიხსენიება და მისი პირდაპირი მოვალეობა ქვეყნის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა იქნება; მაგრამ როგორ დაიცვას მან კოლეჯის მოსწავლეთა, მოზარდთა ჯანმრთელობა, თუკი არც ერთი მხარე დათმობას არ აპირებს. ხელისუფლება ეუბნება სტუდენტებს, შეწყვიტეთ შიმშილობა და მერე ვილაპარაკოთო; სტუდენტები პასუხობენ, სანამ ჩვენთან შეხვედრაზე არ მოხვალთ, შიმშილობას არ შევწყვეტთო.

ლადო ჭიპაშვილი კი ხელისუფლების პოზიციას ახმოვანებს და ტელეკამერების საშუალებით მთელი ქვეყნის წინაშე აცხადებს შემდეგს:

**"ის ფორმა, რომელიც ამ ბოლო დროს საპროტესტო აქციამ მიიღო, ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ამიტომ ნებისმიერი ზეწოლა, ნებისმიერი საპროტესტო აქცია, თუ შიმშილობა ვერ გახდება ჩვენი მხრიდან უსაგნო და უპრინციპო დათმობების საფუძველი. ჩვენ ვერ შევცვლით განათლების რეფორმის მიერ აღებულ გეზს. ჩარიცხვის წესი ყველასათვის უნდა იყოს ერთი და უნიფიცირებული.**

**თუკი არსებობს სამართლებრივი კაზუსები, ამას განვიხილავთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეწყდება შიმშილობა და ბავშვები განაგრძობენ სწავლას. განსაკუთრებით მიუღებელია არასრულწლოვანთა შიმშილობა (დაუშვებელია ყველა შესაბამისი საერთაშორისო კონვენციით) და ეს მშობლების ბრალია. მოვუწოდებთ მშობლებს, ნუ მიერეკებიან შვილებს აქციაზე და მოამზადონ ისინი ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.**

**ჩვენ არ ვაპირებთ უკან დახევას და პრინციპების დათმობას. ვისაც ეს ლიტონი სიტყვები ჰგონია, იგი ჩვენ არ გვიცნობს".**

ამ განცხადებაში მუქარასთან ერთად ფარული ვედრებაც მკაფიოდ იკითხება და ძნელი გასარკვევია, რომელი დომინირებს.

სხვათა შორის საქართველოს ახალი ხელისუფლება ძველის მსგავსად მორიგების იარაღად ავტორიტეტული სამედიცინო საზოგადოების გამოყენებას ცდილობს. გუშინ ჯანდაცვის სამინისტროში შიმშილობის შეწყვეტის საყოველთაო მოთხოვნის მიზნით თავი მოუყარეს ქვეყნის სამედიცინო ელიტას. 2 წლის წინათ კი, როცა "ნაციონალები" იუსტიციის სამინისტროში ორი რეგიონის პენსიონერებისთვის გაყინული პენსიების გაცემის მოთხოვნით შიმშილობდნენ (მათ შორის დღევანდელი მინისტრი ლადო ჭიპაშვილიც იყო), მაშინდელმა ხელისუფლებამ ჯანდაცვის სამინისტროში აქციის შეწყვეტის საყოველთაო მოთხოვნის მიზნით ზუსტად იგივე სამედიცინო ელიტა შეკრიბა, მაგრამ "ნაციონალებს" მათთვის ყური არ დაუგდიათ და ორ კვირაზე მეტი მაინც იშიმშილეს, ვიდრე მათი მოთხოვნები შესრულდებოდა. საინტერესოა, რას მოიმოქმედებენ მოშიმშილე მოზარდები – ორი წლის წინანდელ ოპოზიციას მიბაძავენ თუ დღევანდელ ხელისუფლებას მოუსმენენ?

## აქცია

შიმშილობის აქცია ისეა ორგანიზებული, რომ ყველაფერს მოშიმშილე სტუდენტები წყვეტენ. კოლეჯის კარები, სადაც შიმშილობა მიმდინარეობს, უცხო პირებისთვის დაკეტილია. თავისუფლად შედიან კოლეჯის პროფესორ-მასწავლებლები, ექიმები და ჟურნალისტები. მოშიმშილეთა ძირითადი მოთხოვნაა პრეზიდენტთან შეხვედრა, ვინაიდან მათ მიაჩნიათ, რომ მიხეილ სააკაშვილმა ყველა ნიუანსი არ იცის (მაგალითად ის, რომ სტუდენტებს ჩაბარებული აქვთ ურთულესი გამოცდები და რომ მათ წინ ელით ასევე რთული, კოლეჯის დამამთავრებელი გამოცდები, რაც, მოშიმშილეთა აზრით, გაცილებით დიდ ცოდნას მოითხოვს, ვიდრე მისაღები გამოცდები). ნიუანსი კი იმდენია, რომ კანონდარღვევათა სრულ შეფასებას და მტყუან-მართლის გარკვევას, თუკი ეს შესაძლებელია, ერთი კაი სასამართლო პროცესი დასჭირდება.

მანამდე კი "სამედიცინოს" ვესტიბიულში შეშინებული მშობლები დგანან და იმედის ნაპერწკალს ებღაუჭებიან. ერთ-ერთი მოშიმშილის მამამ, რომელმაც ვინაობა არ დაასახელა, გვითხრა: **"ძალით მინდოდა ჩემი შვილის გამოთრევა, მაგრამ, იცით რა მითხრა? თუ ძალით გამიყვან, იცოდე, დამკარგავო. რა ვქნა, აღარ ვიცი. ბავშვებს თავი გადადებული აქვთ. ვინმე მაინც მოვიდეს და ჩახედოს ამ ბავშვებს თვალებში".**

ამასობაში საავადმყოფოში კიდევ ორი მოშიმშილე გააქანეს, მაგრამ გუშინ აქციის მონაწილეებისთვის სასიხარულო ამბავიც მოხდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა მამა მიქაელ ბოტკოველმა მოშიმშილეებთან პატრიარქის განცხადება მიიტანა, რასაც მშობლების იმედიანი ტაში მოჰყვა.

### სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება

*"რეფორმები საჭიროა, ოღონდ აუცილებელია ჩვენი რეალობის გათვალისწინება*

**ჩვენი ქვეყანა რადიკალური ცვლილებების გზით განვითარების ახალ ეტაპზე გადადის, რასაც თან სდევს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისათვის მტკივნეული პროცესები. რეფორმები საჭიროა, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას ის პრობლემები და რეალობა, რაშიც ეს ადამიანები რეფორმების შედეგად აღმოჩნდებიან.**

**ჩვენ მეტად გვაწუხებს სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებთან დაკავშირებით ამჟამად შექმნილი მდგომარეობა. სიტუაციის განსაკუთრებულობას განაპირობებს ის, რომ არასრულწლოვან მოშიმშილეებთან გვაქვს საქმე.**

**მე ვესაუბრე განათლების მინისტრს და ვთხოვე, ჩარიცხული ახალგაზრდები ძველი შეთანხმებისამებრ მიეღოთ უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო ახალი წესები გამოეყენებინათ კოლეჯში მომავალ სასწავლო წელს მიღებულთადმი.**

**უნდა ისიც ითქვას, რომ ახალი კანონით უმაღლეს სასწავლებელში განსაზღვრული რაოდენობის აბიტურიენტთა მიღებას ეს ბავშვები ხელს არ უშლიან, რადგან ძველი წესით მათი ჩარიცხვა ხდებოდა ზედა კურსებზე. ეს კი ბუნებრივად გამორიცხავს კონკურენციას წელს მისაღებ კონტინგენტთან მიმართებაში.**

**ამჯერად მივმართავ ხელისუფლებას და ვთხოვ, რომ, მართალია, სახელმწიფო კანონების მიხედვით უნდა მოქმედებდეს, მაგრამ ზოგჯერ საჭიროა კომპრომისიც. გასაგებია, რომ განათლების მინისტრი აღმასრულებელი პირია და მიღებულ კანონს ვერ დაარღვევს. ამ შემთხვევაში საკანონმდებლო ხელისუფლებამ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ასეთი ნაბიჯი კი უნდა გადაიდგას, რომ საშიშროების წინაშე არ აღმოვჩნდეთ და თავიდან ავიცილოთ სერიოზული გართულებები.**

**მე, აგრეთვე, მივმართავ კოლეჯის სტუდენტებს: შიმშილობა არ არის ქრისტიანული ფორმა პროტესტისა; თქვენი ჯანმრთელობა საფრთხეშია და გთხოვთ, შეწყვიტოთ იგი.**

**გამოვთქვამ იმედს, რომ ხელისუფლება სიბრძნით მოეკიდება აღნიშნულ საკითხს, ახალგაზრდების მოთხოვნებს შესაძლებლობისამებრ გაითვალისწინებს და მიღწეულ იქნება შეთანხმება."**

როგორც ცნობილი გახდა, დღეს საქართველოს განათლების მინისტრი საგანგებო განცხადების გაკეთებას აპირებს.

Ambassade van het Koninkrijk der Nederlanden

**მცირე გრანტების კონკურსი**

ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში აცხადებს კონკურსს მცირე პროექტების დასაფინანსებლად. პროექტების განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ დონეზე ქართული საზოგადოების მდგომარეობაში დადებითი ცვლილებების შეტანას. კერძოდ, კონკურსი ცხადდება იმ პროექტებისათვის, რომელთა მიზანია:

■ სიღარიბის დაძლევა მდგრადი ღონისძიებების მეშვეობით, როგორიცაა სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის შექმნა, რაც სარგებლობას მოუტანს ადგილობრივი მოსახლეობის სამიზნე ჯგუფებსა და მათ გარემოს; ყურადღება ექცევა ამ საქმიანობაში თანასწორ გენედერულ მონაწილეობას.

დასაფინანსებლად პროექტების შერჩევისას მდგრადობა (ანუ ღონისძიებების გაგრძელება, ანდა მათი შედეგები პროექტის დასრულების შემდეგ) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ადგილობრივ, სათანადოდ რეგისტრირებულ, არა-სამთავრობო, არა-მომგებიან ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება და სათანადო შესაძლებლობები. ნიდერლანდების სამეფოს საელჩო არ გასცემს გრანტებს კერძო პირებზე, მომგებიან ან სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებსა და პოლიტიკურ პარტიებზე.

ინგლისურ ენაზე დაწერილი პროექტი შემოტანილ უნდა იქნეს **2005 წლის 29 აპრილამდე**. კონკურსის შედეგები ცნობილი გახდება ივნისის შუა რიცხვებში. დაფინანსების მაქსიმალური თანხა თითო პროექტზე შეადგენს 18.000 ლარს. პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. ფინანსურ მხარდაჭერას მიიღებს მხოლოდ კონკრეტული საპროგრამო ღონისძიებები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციები განაცხადის ფორმას მიიღებენ შემდეგ მისამართზე (ან ელექტრონულად):

**ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში**
**სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი**
**თელავის ქ. N 20, თბილისი 0103**
**ტელ.: (995 32) 77 45 04**
**ფაქსი: (995 32) 77 45 24**
**ელ. ფოსტა: TBI@minbuza.nl**

## მოკლედ

### გენერალური პროკურორის ძმას თელავის გამგებელი შეცვლის

გენერალური პროკურორის ზურა ადეიშვილის ძმა დავით ადეიშვილი, რომელსაც კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა, ამიერიდან მუშაობას თბილისში გააგრძელებს. იგი უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას დაიკავებს.

კულუარული ინფორმაციით, კახეთში მას თელავის რაიონის გამგებელი, გოჩა მამაცაშვილი შეცვლის.

თელაველები ამბობენ, რომ რამდენიმე დღის წინათ, თელავში ჩასულ პრეზიდენტზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ხარაჩოებში ჩასმულმა ქალაქმა, რომლის ცენტრალურ ნაწილშიც ყოველი მეორე შენობის განახლება-რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, გამგებლის დაწინაურებაზე დაწყებულ საუბარსაც ლოგიკურად მიიჩნევენ.

თავად გოჩა მამაცაშვილის თქმით კი, დავით ადეიშვილის კახეთიდან წასვლის გამო მას გული სწყდება.

"დათო, სხვა სფეროებთან ერთად, ძალოვან სტუქტურებსაც კურირებდა. კორუფციასთან, კონტრაბანდასთან და კრიმინალთან ბრძოლის საკითხებში პეტრე ცისკარიშვილისთვის, მართლაც, პირველი და საიმედო დასაყრდენი იყო. ყველაფერს, რაც მას სამსახურებრივად ევალებოდა, წარმატებით გაართვა თავი და ახალ თანამდებობაზეც ასეთივე წარმატებას ვუსურვებ. რაც შეეხება ხმებს, პრეზიდენტის რწმუნებულის პირველ მოადგილედ ჩემი შესაძლო გადასვლის თაობაზე, ასეთი შემოთავაზება ჯერ არ მიმიღია," - განაცხადა მან. **მედიანიუსი**

### ცოცხალია, ცოცხალი!

"საქართველოს ლეიბორისტული პარტია" შალვა ნათელაშვილის მკვლელობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს. როგორც პარტიის პრესსამსახურის უფროსმა ქეთი დოლიძემ განაცხადა, იგი ესაუბრა შალვა ნათელაშვილს, რომელიც თბილისში იმყოფება და თავს კარგად გრძნობს.

"ლეიბორისტული პარტია" არ გამორიცხავს, რომ შალვა ნათელაშვილის ლიკვიდაცია მართლაც იგეგმება. დოლიძის განცხადებით, შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ ინფორმაცია პარტიის პრესსამსახურმა ჯერ კიდევ ნათელაშვილის ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ გაავრცელა: "ლეიბორისტები" ფლობდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ხელისუფლება, რომელიც ნათელაშვილის მიერ ამერიკაში გამართულმა შეხვედრებმა გაალიზიანა, მის წინააღმდეგ ტერაქტს ნამდვილად გეგმავდა."

დოლიძის განცხადებით, შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მცდელობა უკვე სამჯერ განხორციელდა, ამიტომ, გამორიცხული არ არის, "ხელისუფლება მსგავს ქმედებებს კვლავაც გეგმავდეს." **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**სოხუმი.** სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერი სერგეი ბაგაფში მოსკოვში ვიზიტის შედეგებით კმაყოფილია. როგორც ბაგაფშის ადმინისტრაციაში განმარტავენ, პრეზიდენტი ვიზიტს "ძალიან კარგს" უწოდებს, რადგან მის მიერ წარდგენილმა რამდენიმე ბიზნეს-პროექტმა რუსულ პოლიტიკურ და ბიზნეს წრეებში მხარდაჭერა მოიპოვა. მათივე ინფორმაციით, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან ალექსეი მეორესთან მიღწეულია შეთანხმება აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და აღორძინების საქმეშე დახმარების შესახებ. ამასთან, სერგეი ბაგაფშს შეხვედრა ჰქონდა რუსეთის ჯანდაცვისა და სოციალური განვითარების სამინისტროში, სადაც გადაწყდა, რომ აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების პენსიებით უზრუნველყოფის საქმეში პრობლემები არ შეიქმნება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ბათუმის ბაზის თანამშრომლებმა ბათუმში, ნაოსნობის წესების დარღვევისთვის, რუსული დროშით მცურავი ტანკერი "სამარა-სიტი" დააკავეს. როგორც სამმართველოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, ტანკერმა ქართული მხარისგან კანონით დადგენილი ნებართვის გარეშე ზღვაში კატერი ჩაუშვა, რაც ნაოსნობის წესების დარღვევაა და 50 ათასი ლარი ჯარიმის გადახდას ითვალისწინებს. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ტანკერი აუქციონზე გაიყიდება. ამასთან, რუსულ მხარეს უფლება აქვს, დაჯარიმების შესახებ ოქმი ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივროს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კონსერვატორებმა მოსახლეობის ანაბრების ეტაპობრივი ანაზღაურების შესახებ საკანონმდებლო პაკეტის მხარდასაჭერად ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. კონსერვატორთა განცხადებით, პარლამენტმა გასული წლის ბოლოს უარი თქვა დაეკმაყოფილებინა პარლამენტის წევრების ინიციატივა და აღნიშნული საკითხის გამოკვლევა დაეწყო. ამჟამად კონსერვატორებს განზრახული აქვთ, მიმართონ პარლამენტს ე.წ. "სახალხო ინიციატივის" წესით და შეაგროვონ კონსტიტუციით გათვალისწინებული 30 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის მომავალი კვირის პლენარულ სხდომაზე, სამთავრობო საათზე, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი პრივატიზაციასთან დაკავშირებით დეპუტატების შეკითხვებს უპასუხებს. პრემიერ-მინისტრი პარლამენტში "კონსერვატიული პარტიის" მოთხოვნით გამოცხადდება და "ვარციხეჰესის", "ჭიათურმანგანუმის" და საოკეანო სანაოსნოს პრივატიზაციის საკითხებზე ისაუბრებს. **ინტერ-პრესი**

BR ბანკი რესპუბლიკა




ბანკი "რესპუბლიკა"
ყველაზე ეფექტური
ფინანსური ინსტიტუტი

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გაცემული გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

# დაინახე საქართველო

## სხვა ქვეყნებთან მიმართებაში

პირველი გვერდიდან

**რომელიც იფიქრებდა საქართველოს განვითარების პრობლემებზე, ოღონდ ბიზნესის კუთხით და არა მაკროეკონომიკის ან სხვა გლობალური თვალსაზრისით დანახულ საკითხებზე. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ამ ჯგუფის მიერ გლობალური ხედვის არსებობას, მაგრამ მისი მთავარი მიზანია, რომ საქართველოს განვითარების ზოგადი პრობლემატიკა ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე დავინახოთ. ორგანიზაცია ფორმალურად, 2004 წლის დასაწყისში დაფუძნდა,"** - ორგანიზაციის დაფუძნების ისტორიას გვაცნობს მამუკა წერეთელი.

"ბირს"-ის დამფუძნებლები ასევე არიან გიორგი თავაძე, დავით ლორთქიფანიძე, გიგა მახარაძე, მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და დიმიტრი ჯაფარიძე.

მამუკა წერეთლის ინფორმაციით, პირველი საქმე, რომლის გაკეთებაც ორგანიზაციამ გადაწყვიტა, იყო ის, რომ საქართველო ჩართულიყო გლობალური კონკურენტუნარიანობის პროგრამაში.

**"ეს პროგრამა აფასებს სხვადასხვა ქვეყანას, სხვადასხვა სფეროს კონკურენტუნარიანობის მიხედვით. ჩვენ დავუკავშირდით ამ ორგანიზაციას, რომელიც არის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ნაწილი და, საბედნიეროდ, მათი დაინტერესება ჩვენსას დაემთხვა. თუმცა, მათ მაშინ არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ საკუთარ ბიუჯეტში ჩაერთოთ საქართველოს გამოკვლევა, ამიტომ სახსრების მოზიდვა ჩვენ თვითონ მოგვიხდა, რაშიც ევრაზიის ფონდი და კიდევ რამდენიმე მოწინავე ქართული კომპანია დაგვეხმარა,"** - ამბობს მამუკა წერეთელი.

აღნიშნული პროგრამა გულისხმობს ქვეყნის შეფასებას 180 ინდიკატორის მიხედვით. ეს ინდიკატორები დგება როგორც მყარ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ასევე მოწინავე ბიზნესმენების გამოკითხვის შედეგად. დაახლოებით 40-45 პროცენტი მყარი მონაცემებია, დანარჩენი კი - გამოკითხვები. პროგრამის მიზანია, დანახულ იქნეს ქვეყანა სხვა ქვეყნებთან მიმართებაში.

**"ეს მაჩვენებლები არ გულისხმობს მარტო ბიზნეს-გარემოს მდგომარეობის ჩვენებას. ამ მაჩვენებლებში შეიძლება განათლებაც დაინახოთ, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, პატენტების რაოდენობა, ტექნოლოგიის განვითარების დონე, ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებელი და ა.შ. ანუ ყველაფრის ნახვა შეიძლება, რაც ქმნის გარემოს ამ ქვეყანაში საქმიანობისთვის. მაგალითად, ქალთა ხელფასის თანასწორობის თვალსაზრისით, ჩვენ მოწინავე ადგილზე ვართ; არალეგალური ბიზნესის მიხედვით ვიყავით ბოლო ადგილზე; კორუფცია სასამართლო სისტემაში - ბოლო ადგილებზე ვიყავით; მობილური ტელეფონების მოხმარებით პირველები ვიყავით. ანუ, ამ პროგრამის დახმარებით ჩვენ ზუსტად ვიცით, სად ვართ,"** - განმარტავს იგი.

ამ პროგრამაში ჩართულია 104 ქვეყანა. აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან გლობალური კონკურენტუნარიანობის პროგრამაში, საქართველოს გარდა, ჩართულია მხოლოდ რუსეთი, უკრაინა და ბალტიის ქვეყნები. გასული წლის თებერვალ-მარტში ჩატარებული, ანუ დღეს პრეზენტირებული კვლევის თანახმად, საერთო ჯამში საქართველო ამ 104 ქვეყანას შორის 94-ე ადგილზეა, რაც თავისთავად, ნამდვილად არასახარბიელო მაჩვენებელია. თუმცა, არის სფეროები, სადაც საქართველოს გაცილებით მომხიბლავი მონაცემები აქვს (უფრო დაწვრილებით ამაზე ოდნავ ქვემოთ).



საქართველო - გლობალური კონკურენტუნარიანობის პროგრამაში.

მამუკა წერეთლის განმარტებით, ამ პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ისიც არის, რომ როგორც ხელისუფლებამ, ისე ფართო საზოგადოებამ და, მათ შორის - ბიზნეს-წრეებმა, მოახერხონ ქვეყნის სუსტი და ძლიერი მხარეების დანახვა და სამომავლო ქმედებებისას პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა.

**"ჩვენ არ ვსაუბრობთ მაინცდამაინც სპეციალური სახელმწიფო პროგრამების შექმნასა და დაფინანსებაზე. საუბარია იმაზე, რომ ყველამ - როგორც სახელმწიფომ, ისე საზოგადოებამ, არა ემოციების დონეზე, არამედ კონკრეტული მონაცემების საფუძველზე შეძლოს სხვადასხვა სფეროების მიხედვით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის რეალურად შეფასება, სუსტი და ძლიერი მხარეების დანახვა და მათ გამოსწორებაზე მუშაობა, ან - ძლიერი მხარეების კაპიტალიზაციის მცდელობის განხორციელება..."** - აცხადებს იგი "24 საათთან" საუბარში.

საგულისხმო ინფორმაცია - პირველი კვლევა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩატარდა 2004 წლის დასაწყისში. ანუ ეს არის მონაცემი იმის თაობაზე, თუ როგორი საქართველო ჩაიბარა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ.

წელს ანალოგიური კვლევა მარტის თვეში კვლავ ჩატარდება და ეს სამუშაო უკვე თავად გლობალური კონკურენტუნარიანობის პროგრამის ფარგლებში ფინანსდება.

**"დეკემბერში გვექნება ახალი კვლევის შედეგები. ამ შედეგების საფუძველზე შეგვეძლება დასაბუთებული მსჯელობა იმაზე, თუ რომელი ფაქტორების გაუმჯობესება და რომლის გაუარესება მოახერხა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ თავისი მმართველობის ერთი წლის განმავლობაში. ეს პროგრამა სწორედ ამითაც არის საინტერესო, რომ აღნიშნული მაჩვენებლების საფუძველზე, ქვეყანაში არსებული პროგრესის, ან პირიქით - ჩავარდნების რეალურად დანახვა შეიძლება,"** - ამბობს მამუკა წერეთელი.

### რამდენიმე მონაცემი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასებისთვის:

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის თანახმად, ბიზნესისთვის ყველაზე პრობლემური ფაქტორების ათეულში, 2004 წლის დასაწყისისთვის, ანუ ახალი ხელისუფლების მმართველობის პირველ დღეებში შედიოდა შემდეგი საკითხები:

საგადასახადო კანონმდებლობა, კორუფცია, საგადასახადო განაკვეთები, პოლიტიკის არასტაბილურობა, ფინანსების ხელმისაწვდომობა, არაეფექტური ბიუროკრატია, მთავრობის არასტაბილურობა - გადატრიალებები, არაადეკვატური ინფრასტრუქტურა, სამუშაო ძალის განათლების არაადეკვატური დონე, კრიმინოგენული სიტუაცია და დატაცებები.

რაც შეეხება "ძლიერ" მხარეებს (ფრჩხილებში მითითებულია საქართველოს ადგილი 104 ქვეყანას შორის):

კრედიტის ხელმისაწვდომობა (18), რეალური ეფექტური სავალუტო კურსი (33), სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტ/დეფიციტი (44), კონკურენციის ხარისხი ინტერნეტით მომსახურე კომპანიებს შორის (32), უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვა (43) - **ზრდის კონკურენტუნარიანობის ინდექსის ინდიკატორები.**

რეგიონული გაყიდვების მასშტაბი (63), ღირებულების შექმნის ჯაჭვის არსებობა (66), კონკურენტული უპირატესობის ბუნება (69), მეცნიერთა და ინჟინერთა სიჭარბე (32), თანამშრომლობა დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის (34), რკინიგზის განვითარების დონე (46) - **ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსის ინდიკატორები.**

და განსაკუთრებით საინტერესოა, რომ არის სფეროები, სადაც საქართველო პირველ ადგილზეც კია - მაგალითად, უცხოელთა სამუშაოზე აყვანის/დაქირავების სიადვილე და ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურების თანასწორობა. პრინციპში, კარგი მაჩვენებლები აქვს ქვეყანას შემდეგი ინდიკატორების მიხედვითაც - ფეხმძიმობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გავლენა ქალთა სამსახურში აყვანაზე (4), მოქნილობა ხელფასის განსაზღვრაში (4), ქალთა დასაქმების დონე კერძო სექტორში (10), სამუშაოდ დაქირავებისა და გათავისუფლების პრაქტიკა (29), პრესის თავისუფლება (30), საგარეო სავაჭრო ბარიერების გავლენა ბიზნესზე (34), ანაზღაურებისა და პროდუქტიულობის ურთიერთკავშირი (35), ფიჭური და მობილური კავშირგაბმულობის განვითარების დონე (44).

რაც შეეხება სისუსტეებს - მათ ჩამოსათვლელად დღეს არც ადგილი გვეყოფა და არც დრო. შესაბამისად, დღეს მხოლოდ ძლიერ მხარეებზე საუბრით შემოვიფარგლებით.

# "გამჭვირვალობა" ქართულად

## როგორ იმართება სახელმწიფო ქონება

*დღეს საქართველოში "გაცხარებული" საპრივატიზაციო პროცესია გაჩაღებული. ამ პროცესმა და მასთან დაკავშირებით გაჩენილმა უამრავმა კითხვამ ჩრდილში მოაქცია ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფო დღეს ისევ ფლობს დაახლოებით 1800 საწარმოში დიდ ან პატარა წილს, რომელსაც ამჯერად ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოთა მართვის სააგენტო მართავს. დღეს, რატომღაც, აღარავინ საუბრობს იმაზე, რომ ამ სახელმწიფო ქონების მართვა, მათ შორის - განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საწარმოების, ახალი ხელისუფლების პირველი განცხადებების საპირისპიროდ, საზოგადოებისთვის ისეთი "გამჭვირვალე" და "ღია" სულაც არ არის, როგორც ეს ახალი ხელისუფლების მმართველობის პირველ დღეებში ისახებოდა. პირიქითაც კი - დღეს ჟურნალისტების დაინტერესება ამ საწარმოებით, რატომღაც, სახელისუფლებო პირთა და ამ საწარმოთა მმართველების, სამეთვალყურეო საბჭოების, რბილად რომ ვთქვათ, "გაოცებას" იწვევს.*

თამარ ხორბალაძე
ეთერ მამულაშვილი

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ სისტემის რეფორმირება სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების მართვის გამჭვირვალობის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე ხმაურით დაიწყო. ახალი მთავრობის ერთ-ერთი პირველი პრეზენტაცია სწორედ ამ თემას ეხებოდა - რკინიგზის მართვას თორმეტკაციანი, მრავალმხრივი შემადგენლობის სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით. თუმცა, პირველივე მცდელობა, სამეთვალყურეო საბჭოსთვის საწარმოს ხელმძღვანელის არჩევა მიენდოთ, სრული კრახით და ხელისუფლების მიერ რკინიგზის ხელმძღვანელად, უკვე ღიად, საკუთარი კადრის - ლევან ვარშალომიძის დანიშვნით დასრულდა.

ხმაური "მადნეულის" მმართველობის არაერთ ცვლილებასაც მოჰყვა. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის გადადგომაც და ასე შემდეგ.

საბოლოოდ კი, სახელმწიფო ქონების მართვის საქმეში სახელისუფლებო პოლიტიკა ისევ შევარდნაძისეული ეპოქის ტრადიციის შესაბამისად განვითარდა - ხელისუფლება მიხვდა, რომ ამ საქმეში გამჭვირვალობა აბსოლუტურად გამოუსადეგარია მისი (ანუ ხელისუფლების და არა სახელმწიფოს) ინტერესებისთვის და პიარების აგორება უკვე სხვა თემებზე გადაწყვიტა (ხოლო "გამჭვირვალობის" თვალსაზრისით გამონაკლისები თუ მაინც არსებობს, ეს უფრო საწარმოთა მმართველების აქტივობის ხარჯზე ხდება, მაგალითად, თუნდაც იგივე რკინიგზაში).

რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოებს - საბჭოები სახელმწიფო საწარმოებში დარჩნენ. უბრალოდ, მათი რაოდენობა ზოგან, მაგალითად, იგივე რკინიგზაში, "ოპტიმალურ მინიმუმამდე" - სამ კაცამდე დავიდა, საბჭოების შემადგენლობაში "გამჭვირვალობაზე" "მინიშნების" მქონე წევრების რაოდენობა შემცირდა, საბჭოების "ღია სხდომების" რაოდენობა ხომ, საერთოდ, ლამის ანომალიად იქცა, ზოგან კი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საერთოდ ისე ინიშნებიან და იცვლებიან, რომ საზოგადოებისთვის ამ ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიუწვდომელი გახლავთ.

მაგალითად, ცოტამ თუ იცის, რომ საწარმოთა მართვის სააგენტოს აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარე ერეკლე ქიქოძე, რომელიც თავის დროზე ამ თანამდებობიდან "ბიზნესში დაბრუნების" მოტივით წავიდა, დღეს "მადნეულის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა.

ან ის, რომ ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილი დღეს ელექტროკავშირის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელია.

უფრო საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ერეკლე ქიქოძის ადგილმონაცვლე, ირაკლი ჩოგოვაძე არა მხოლოდ საწარმოთა მართვის სააგენტოს ხელმძღვანელია, არამედ - ბათუმის ნავსადგურის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც და, ბათუმის ნავსადგურთან ერთად, ფოთის ნავსადგურისაც.

კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ სამეთვალყურეო საბჭოების მუშაობის გაშუქების საშუალება ჟურნალისტებს მხოლოდ მაშინ ეძლევათ, როცა, მაგალითად ისევე, როგორც ორიოდე დღის წინ "საქნავთობში", აღმოჩნდება, რომ საბჭოსა და მმართველის გარკვეული დაპირისპირების შედეგად ხელმძღვანელი წასვლის შესახებ განცხადებას წერს. ესეც "გამჭვირვალე" იმიტომ ხდება, რომ რომელიღაც დაინტერესებული მხარე ამას "ახმოვანებს", ან ეს თავმჯდომარე ისეთი პოლიტიკური ფიგურის მამაა, როგორიც აჭარის დღევანდელის ლიდერია.

ყველაფერ ამაზე გაცილებით საინტერესო კი ის გახლავთ, რომ სამეთვალყურეო საბჭოების ფუნქციონირების, მათი დაფინანსებისა და მათი ეფექტურობის საკითხით "24 საათის" დაინტერესებას "გამჭვირვალობის" გარანტად წოდებული ამ საბჭოებიდანაც და ხელისუფლებისგანაც საკმაოდ ბევრი კითხვა მოჰყვა იმის თაობაზე, თუ რატომ დაინტერესდა გაზეთი სახელმწიფო საწარმოების მართვის თემით? რა კუთხით აპირებს ამ საკითხის გაშუქებას? და ასე შემდეგ.

მეტიც - მაგალითად, ბათუმის პორტის დირექტორს და "მადნეულის" ფინანსურ დირექტორს მიაჩნიათ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხელფასები კონფიდენციალურია, რადგან კომერციული საიდუმლოებაა. ხოლო ის, რომ ეს ხელფასები სახელმწიფოს ჯიბიდან გაღებული თანხა გახლავთ, რადგან, შეგახსენებთ - ამ საწარმოთა 100 პროცენტი სახელმწიფო საკუთრებაშია, არც მათ და არც შესაბამისი კანონის ავტორებს სულაც არ ანაღვლებთ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საკმაოდ გაჭირდა კომპეტენტური ექსპერტული მოსაზრების პოვნა იმის თაობაზე, თუ რამდენად ეფექტურად იმართება დღეს სახელმწიფო ქონება და რამდენად ასრულებენ სამეთვალყურეო საბჭოები თავის ფუნქციებს. მაგალითად, პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელს ნიკო ლეკიშვილს, რომლის უშუალო საკურატორო სფეროს წარმოადგენს ეს სფერო, მიაჩნია, რომ ჯერჯერობით(?!), სანამ საკმარისი დრო არ გავა, ამ მუშაობის შეჯამების დრო არ დამდგარა. ექსპერტი ნიკო ორველაშვილი, ისევე, როგორც ზურაბ გარაყანიძე და "თავისუფლების ინსტიტუტის" ხლმძღვანელი ლევან რამიშვილი, ინფორმაციას არ ფლობენ და, შესაბამისად, ვერც საკითხის შეფასებას იღებენ თავის თავზე. თუმცა, რამდენიმე კომენტარის მოპოვება "24 საათმა" შეძლო და ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი თავად საწარმოთა მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის კომენტარი გახლდათ:

### ირაკლი ჩოგოვაძე: "სახელმწიფო საწარმოებს ჩვენ სამეთვალყურეო საბჭოების მეშვეობით ვაკონტროლებთ"

საწარმოთა მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი ირაკლი ჩოგოვაძე "24 საათთან" საუბარში განმარტავს, რომ სააგენტო სახელმწიფო საწარმოებს მათ მიერვე ამ საწარმოებში დანიშნული სამეთვალყურეო საბჭოების წევრების საშუალებით აკონტროლებს. **"ჩვენ ვაკონტროლებთ სამეთვალყურეო საბჭოებს, რომლებიც, თავის მხრივ, აკონტროლებენ დირექტორებს, რომელიც მართავს საწარმოს. ჩვენ პირდაპირ არ გვაქვს უფლება და არც ვერევით საწარმოების საქმიანობაში. ესა თუ ის საწარმო ვისთან დადებს კონტრაქტებს, ამის გაკონტროლება ჩვენი ფუნქცია და კომპეტენცია არ არის. ჩვენ სახელმწიფოს მიერ დელეგირებული ფუნქციების დელეგირებას ვახდენთ სამეთვალყურეო საბჭოზე, რომელიც შემდეგ დირექტორს ნიშნავს,"** - ამბობს იგი.

აქვე აღნიშნავს, რომ სააგენტო ახდენს რეაგირებას სამეთვალყურეო საბჭოებიდან და კონტროლის პალატიდან მოსულ სიგნალებზე.

ირაკლი ჩოგოვაძის ინფორმაციით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საწარმოებში წარდგინება და დამტკიცება არის სააგენტოს კომპეტენცია. **"ჩვენ ვცდილობთ და ეს, პრინციპში, ასეც არის, რომ ყველა სერიოზული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში ერთი წარმომადგენელი მაინც იყოს ჩვენი სააგენტოს თანამშრომელი. მე, მაგალითად, ვარ ორი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ბათუმისა და ფოთის პორტებში. თუმცა, ეს არ იყო ჩემი სურვილი, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მაშინდელმა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ, იმის გათვალისწინებით, რომ წლების განმავლობაში მე ვმუშაობდი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში, სადაც ვიყავი პორტების ინფრასტრუქტურის დაფინანსების პროექტის ხელმძღვანელი. კახას გადაწყვეტილება და მოთხოვნა იყო, რომ მე დავნიშნულიყავი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ. ეს გაკეთდა, გარკვეულწილად, ეკონომიის მიზნით, რადგან ჩვენ ან უნდა აგვეყვანა კონსულტანტები, რაც ასობით ათასი დოლარი ჯდებოდა, ან მე უნდა შემექმნა იქ სამეთვალყურეო საბჭოების სახით გუნდები, რომლებიც კონკრეტულად ამ თემაზე იმუშავებდნენ. ის ფაქტი, რომ მე და სხვა ჩემი თანამშრომლები ხელფასს ორივე სამსახურში ვღებულობთ, მოქმედ კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება,"** - აღნიშნავს ირაკლი ჩოგოვაძე.

### ანი დოლიძე: "სამეთვალყურეო საბჭოებს ხშირ შემთხვევაში ფორმალური ხასიათი აქვს"

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანი დოლიძე "24 საათთან" საუბარში აღნიშნავს, რომ: "ხშირ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოები ყალიბდება გარკვეული ფორმალური მიზნით, იმისათვის, რომ თითქოსდა, ზედაპირულად უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებრივი მონაწილეობა ამ თუ იმ დაწესებულების მართვაში."

რეალურად კი, ანუ დოლიძის აზრით, სამეთვალყურეო საბჭოები საწარმოს საქმიანობას ვერ ცვლიან და სიტუაციაზე ზეგავლენას ვერ ახდენენ.

**"თუმცა, არის სამეთვალყურეო საბჭოები მთელ რიგ სახელმწიფო საწარმოებში, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ, გავლენა იქონიონ სიტუაციაზე. მაგრამ, ასეთ შემთხვევაშიც კი, სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობა არის არაეფექტური, ისინი არ უზრუნველყოფენ საქართველოში მცხოვრები ადამიანების ინფორმირებულობას ამა თუ იმ საწარმოს ფუნქციონირების შესახებ. ასეთი სამეთვალყურეო საბჭოების შექმნა მოწოდებულია არა მხოლოდ იმ კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად, რაც მათ სხვადასხვა ნორმატიული აქტებით აქვთ გაწერილი, არამედ ზუსტად - სახელმწიფოს ან საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ამა თუ იმ საწარმოს მართვაში. ის, რომ ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით საწარმოებში შექმნილი ვითარების შესახებ, ვფიქრობ, ასეთი სამეთვალყურეო საბჭოების "დამსახურებაა" ანუ ნაკლია,"** - ამბობს იგი.

ანი დოლიძის აზრით, ძირითად შემთხვევაში მსგავსი სიტუაციის არსებობა სახელმწიფო საწარმოთა მართვის არაგამჭვირვალობასთან დაკავშირებით არის ამ სამეთვალყურეო საბჭოს არასათანადო და არასერიოზული დამოკიდებულების შედეგი. **"ნაკლებად მგონია, რომ მათზე, ამდენ ადამიანზე იყოს ზეწოლა,"** - განმარტავს იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე.

### დემურ გიორხელიძე: "სამეთვალყურეო საბჭოები დღეს ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანების დასაქმების ადგილია"

დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, ეკონომიკური ექსპერტი დემური გიორხელიძეც მიიჩნევს, რომ დღეს სამეთვალყურეო საბჭოების არსებობა ფორმალურია. **"შეიძლება ითქვას, რომ სამეთვალყურეო საბჭოები დღეს, რეალურად, ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანების დასაქმების ადგილია. დღეს სამეთვალყურეო საბჭოები, თავისი რეალური არსით, საქართველოში არ არსებობენ. გარდა იმისა, რომ ისინი ვერანაირ ფუნქციას ვერ ასრულებენ, მეტიც - ისინი დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ვერ ღებულობენ, რადგან მათზე ხშირად არის ზეწოლა ხელისუფლების მხრიდან. ის, რომ საწარმოთა მართვის სააგენტოს თანამშრომლები, პარალელურად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან თანამშრომლები არიან, იმდენად კურიოზული ფაქტია, რომ კომენტარის გაკეთებაც კი უხერხულია. აქ ინტერესთა კონფლიქტი და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა კი არ არის მხოლოდ, ეს არის გაცხადებული პრეტენზია ძალიან ცუდ რამეზე. როდესაც ჩინოვნიკი იწყებს შეთავსებას იმ ფუნქციისა, რომელიც მას კანონით აკრძალული აქვს, იგი საკუთარი თანამდებობით სპეკულაციას იწყებს,"** - განუცხადა მან "24 საათს"

### გიორგი ისაკაძე: "ნებისმიერი ჩაკეტილი, დახურული ინფორმაცია არის უკვე იმის დასტური, რომ საწარმოში საქმეები მთლად სწორად არ მიჰყავთ"

"გადამხდელთა კავშირის" აღმასრულებელ დირექტორს გიორგი ისაკაძეს მიაჩნია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შერჩევის პრინციპი სერიოზულად არის ჩამოსაყალიბებელი.

**"მე მხარს არ ვუჭერ იმას, რომ გინდა თუ არა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იმ სფეროს ან იმ კონკრეტული სეგმენტის წარმომადგენლები უნდა იყვნენ, სადაც ისინი ინიშნებიან. ამას სჯობია, რომ სამეთვალყურეო საბჭო იყოს კარგ მენეჯერთა და დარგის კარგ სპეციალისტთა სინქრონული ნაკრები, რომელსაც შესწევს უნარი, თავის ხელმძღვანელთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილებები საწარმოს ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით. ის ფაქტი, რომ არსებობს გარკვეული ინფორმაციული ვაკუუმი საზოგადოებაში იმაზე, თუ რა ხდება დღეს სახელმწიფო საწარმოებში, ეს არის სერიოზული პრობლემა. სამეთვალყურეო საბჭო არ უნდა იყოს ჩაკეტილი წრე. ნებისმიერი ჩაკეტილი, დახურული ინფორმაცია არის უკვე იმის დასტური, მინიმუმ - ეჭვი მაინც, რომ საწარმოში საქმეები მთლად სწორად არ მიჰყავთ და ადგილი აქვს სერიოზულ შავ ბუღალტერიას,"** - განაცხადა გიორგი ისაკაძემ "24 საათთან" საუბარში

### სამეთვალყურეო საბჭოების "შენახვა" სახელწიფოს ძვირი უჯდება

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ყოველწლიური შემოსავლებიდან საკმაოდ სოლიდური ნაწილი სამეთვალყურეო საბჭოების "შენახვაზე" იხარჯება. ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურების გარდა, საწარმოთა ხელმძღვანელები საბჭოს წევრების სამივლინებო და საკომუნიკაციო ხარჯებზეც ზრუნავენ. თუ რამდენი უჯდება სახელმწიფოს წელიწადში ასეთი საბჭოების შენახვა, ზუსტი ციფრის გარკვევა "24 საათმა" იმ მიზეზით ვერ მოახერხა, რომ ყველა საწარმო მასთან არსებულ სამეთვალყურეო საბჭოს თავად "ინახავს". დაუზუსტებელი ინფორმაციით, ეს ციფრი 6-6.5 მილიონი ლარის ფარგლებში უნდა მერყეობდეს.

მსხვილ სახელმწიფო საწრმოებში არსებული სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ყოველთვიური ხელფასი 1500-დან 5000 ლარამდე მერყეობს. სამეთვალყურეო საბჭოები ხშირ შემთხვევაში სამი წევრისგან არის დაკომპლექტებული.

ექვს ყველაზე მსხვილ სახელმწიფო საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობა ერთად 30-ს აღწევს, მათი წლიური შრომითი ანაზღაურება კი - 1 მილიონ 300 ათას ლარს. ეს მაშინ, როცა ცალკეული ექსპერტების შეფასებით, სამეთვალყურეო საბჭოების მუშაობა არაეფექტურია და ისინი მათზე დაკისრებულ ვალდებულებას სათანადოდ ვერ ასრულებენ. ესეც რომ არ იყოს, საინტერესოა, თავად სტატისტიკური თანაფარდობა სახელმწიფო საწარმოების მოგებებსა და სამეთვალყურეო საბჭოების შენახვის ხარჯებს შორის.

სს "საქნავთობის" წლიური მოგება 2 მილიონ ლარზე ცოტა ნაკლებია, ამ თანხის დაახლოებით მეოთხედი კი საწარმოს ექვსკაციან სამეთვალყურეო საბჭოს ხმარდება.

სს "მადნეული", რომელიც უკანასკნელი ორი წელიწადია, წმინდა მოგებიდან ბიუჯეტში დივიდენდებს იმ მიზეზით ვერ რიცხავს, რომ მისი წმინდა მოგება ძალიან მცირეა და ის საწარმოს რეინვესტირებასაც ძლივს ჰყოფნის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე ყოველწლიურად თითქმის 400 ათას ლარს ხარჯავს.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: გასულ წელს შპს "საქართველოს რკინიგზას" სამეთვალყურეო საბჭოს შენახვა დაახლოებით 600 ათასი ლარი დაუჯდა, თუმცა საბჭოს 12-კაციანი შემადგენლობიდან მხოლოდ სამი ღებულობდა ხელფასს. დღეს უკვე "საქართველოს რკინიგზაში" მხოლოდ სამკაციანი სამეთვალყურეო საბჭოა, რომლის 2005 წლის სახელფასო ფონდი 146 ათას 544 ლარით არის განსაზღვრული.

ყველაფერი ზემოთქმული ნათელყოფს, რომ ჩვენს ქვეყანაში დღეს სამეთვალყურეო საბჭოების მუშაობა აშკარად უკუპროპორციულია მათი ყოველწლიური ანაზღაურებისა. ეს, რა თქმა უნდა, აპრიორი არ ნიშნავს იმას, რომ სამეთვალყურეო საბჭოების არსებობა არასწორია. სტატიის მთავარი თემაც, მაინცდამაინც, ის კი არ არის, რომ ქვეყანაში ფული არაეფექტურად იხარჯება, არამედ ის, რომ სახელმწიფო ქონების მართვასთან დაკავშირებით დღეს საქართველოში, პრაქტიკულად, ისევ საკმაოდ მძიმე სიტუაციაა, ამ პროცესთან დაკავშირებით გამჭვირვალობაზე სახელისუფლებო განცხადებები ისევ ცარიელ სიტყვებად რჩება, ეს კი გარკვეულ ეჭვებს, ცხადია, საკმაოდ მსუყე საფუძველს უქმნის. ამიტომ ამ თემაზე მუშაობას "24 საათი" მომავალში აუცილებლად უფრო დეტალურად გააგრძელებს.

# კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზებისათვის

*არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ხელისუფლებას მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი მოქალაქეებისთვის უფასო იურიდიული მომსახურების დაწესებას სთავაზობს.*



ინტერ-პრესის ფოტო

*"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ხელისუფლებას უფასო იურიდიული მომსახურების დაწესებას სთავაზობს.*

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის 42 მუხლის მესამე ნაწილი მარტივად და ლაკონურად განმარტავს, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანია და მათი "დაცვის უფლება გარანტირებულია". თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა გარემოებებში საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით ადვოკატის მომსახურება სჭირდებათ, ამას არცთუ იშვიათად მოკლებული არიან. მიზეზი, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, სრულიად გასაგებია – ადვოკატის მომსახურება საკმაოდ ძვირად ფასობს. კერძო ადვოკატის ძვირადღირებული მომსახურების სანაცვლოდ კი, სახელმწიფოს მხოლოდ სახაზინო ადვოკატების მოუქნელი ინსტიტუტის შემოთავაზება შეუძლია. ამდენად, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წამოწყება, რომელსაც ფონდმა "ღია საზოგადოება - საქართველომ" დაუჭირა მხარი, მართლაც რომ მნიშვნელოვანია. არასამთავრობო ორგანიზაციას ამ თვალსაზრისით გარკვეული გამოცდილებაც გააჩნია. მასთან კარგა ხანია ფუნქციონირებს უფასო იურიდიული კონსულტაციის სამსახური, ასევე, სწორედ ახალგაზრდა იურისტები მონაწილეობდნენ აქტიურად რამდენიმე წლის წინ შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის ძალისხმევით შეწყვეტილი პროექტის განხორციელებაში, სახელწოდებით "ქალაქის ადვოკატი", რომელიც წინასწარ დაკავებაში მყოფი პირებისთვის უსასყიდლოდ დაცვას ითვალისწინებდა.

ამჯერად კი სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში", "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ", იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, საქართველოში უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმირების საკითხისადმი მიძღვნილი პრეზენტაცია მოაწყო.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილ იქნა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ინიციატივით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული უფასო იურიდიული დახმარების სისტემის ჩამოყალიბების კონცეფცია, სახაზინო ადვოკატის სამსახურის შექმნის მიზანი და საქმიანობის თავისებურებები. აგრეთვე, სამომავლო პერსპექტივები უფასო იურიდიული დახმარების სისტემის შექმნის მიმართულებით.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ შემუშავებული კონცეფციის თანახმად, მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, უფასოდ მიიღონ იურიდიული კონსულტაცია და აიყვანონ მაღალკვალიფიციური ადვოკატები.

ასოციაციის ხელმძღვანელის ანა დოლიძის მოსაზრებით, დროა, სახელმწიფომ აღნიშნული მიმართულებით უფრო აქტიურად იმუშაოს, რადგან რიგი უცხოური დონორი ორგანიზაციები მზად არიან მსგავსი პროექტების დასაფინანსებლად.

დოლიძის თქმით, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მზადაა, ხელისუფლებას დონორების მოძიება-მოზიდვაში დაეხმაროს.

*24 საათი*

# ციხეში გარდაცვლილის შვილები უპენსიოდ დარჩნენ

პირველი გვერდიდან

უკანასკნელი ინფორმაცია, რომელიც მეუღლეს დაპატიმრებულ ოჯახის მამაზე მოეპოვებოდა, ის გახლდათ, რომ თეიმურაზ შანყულაშვილი სასჯელს საგარეჯოს ციხეში იხდიდა. ხელმოკლე ოჯახი ციხეში პატიმრის მონახულებას ვერ ახერხებდა და ქეთევან ჯიოევა მეუღლის შესახებ ამბებს პერიოდულად ციხიდან გამოსული სხვადასხვა პირებისგან იგებდა. ახლახან კი ერთ-ერთმა მათგანმა შეატყობინა, რომ თეიმურაზი 1997 წელს, ფილტვების დაავადებით ციხეში გარდაიცვალა.

**"მისი სიკვდილის შესახებ ციხის ადმინისტრაციიდან არანაირი ცნობა არ მიგვიღია. ეს ამბავი რომ გავიგეთ, გავიკითხეთ, როდის დაიღუპა ან სად დაიმარხა, მაგრამ ვერაფერი გავარკვიეთ, იმის საშუალება კი, რომ ციხეებში ვიაროთ და ჩვენი მკვდრის საფლავი მაინც ვიპოვოთ, არ გაგვაჩნია,"** - ამბობს ქეთევან ჯიოევას დედა. ცხადია, ის განიცდის შვილის ბედს, რომელიც მთლიანად ძმისა და რძლის ხელშია.

**"ჩემი სიკვდილის შემდეგ ვინ მიხედავს, მისი პენსია და დახმარება, რაც ეკუთვნის, როგორც ინვალიდს, ძალზე მცირეა,"** - ამბობს ჟენია ჯიოევა და შვილიშვილებისთვის ობლობის პენსიის დანიშვნას ითხოვს.

როგორც სიღნაღის სოციალური დახმარების განყოფილებაში განმარტეს, ჯიოევა მათი სამსახურიდან ინვალიდის კუთვნილ - 35-ლარიან დახმარებას იღებს, ხოლო სხვა კუთხით, მას არც პენსია და არც დახმარება არ ეკუთვნის. რაც შეეხება ბავშვებს, მათ ობლობის პენსია მამის გარდაცვალების ცნობის საფუძველზე უნდა დაენიშნოთ.

ჯიოევებმა ამ ცნობის მოპოვება ვერ შეძლეს. როგორც გაირკვა, ინფორმაცია თეიმურაზ შანყულაშვილის გარდაცვალების შესახებ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში უნდა მოიძიონ, ოჯახი კი, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, ვერც თბილისში ჩასვლას ახერხებს.

**"გვირჩიეს, ადვოკატი აიყვანეთ და ის დაგეხმარებათო. ეგეც თანხებთან ყოფილა დაკავშირებული, სად გვაქვს მაგის საშუალება,"** - ამბობს ჟენია ჯიოევა, რომელიც ყველაზე მეტად იმაზე წუხს, რომ რამდენიმე წელიწადში მისი შვილიშვილები სკოლა-ინტერნატს დაამთავრებენ და ულუკმაპუროდ და სახლ-კარის გარეშე დარჩებიან.

"24 საათი" ამ ოჯახის ბედით დაინტერესდა. როგორც გაირკვა, თეიმურაზ შანყულაშვილი მართლაც 1997 წელს გარდაიცვალა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

ამჟამად კი, უკვე იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცნაწილში შეძლეს მოეძიებინათ ცნობა, რომლის მიხედვითაც, თეიმურაზ შანყულაშვილი ტუბერკულოზის მძიმე ფორმით იყო დაავადებული და ამიტომაც, ქსნის ტუბზონაში იხდიდა სასჯელს. მოგვიანებით, იმის გამო, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ეტაპირებისას გზაში გარდაიცვალა. სხვა ინფორმაცია შანყულაშვილის შესახებ სპეცნაწილს არ მოეპოვება. დოკუმენტაციის სიმწირის მიზეზად ის ფაქტი სახელდება, რომ არქივების ნაწილი ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა სამინისტროშია.

**"თქვენ მიერ მიღებული ინფორმაციის თაობაზე პატაკით მივმართავ ხელმძღვანელობას და ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად ჩატარდება შიდა მოკვლევა, რის შემდეგაც დადგინდება ზუსტი ვითარება. დადგინდება, სად დაკრძალეს ცხედარი, ამ მოკვლევის ჩასატარებლად, მაქსიმუმ, 10 დღეა საჭირო და ცნობაც გარდაცვალების შესახებ, თუ ის ჯერ კიდევ არ არის ოჯახში გადაგზავნილი, აუცილებლად ადრესატამდე მივა,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა გოჩა მუკბანიანმა.

# ილჰამ ალიევმა, სხვებთან ერთად, პოლიტპატიმრებიც შეიწყალა

გუშინ, ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხელი მოაწერა სხვადასხვა დანაშაულისთვის განსჯილი 114 პატიმრის შეწყალებას. შეწყალებულთა შორის ის 53 ადამიანიცაა, რომლებიც ევროსაბჭოს მიერ პოლიტპატიმართა სიაში იყვნენ შეტანილი და რომელთა დაუყოვნებელ გათავისუფლებასაც ითხოვდნენ ევროპელები. პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით კი, "ისინი განსჯილ იქნენ სახელმწიფოებრიობისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, ასევე სხვა მძიმე დანაშაულებისთვის." პრეზიდენტის მიერ გამოცემული შეწყალების აქტი შეეხო იმ პირთა ნაწილს, რომლებიც 1994 წლის ოქტომბერში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობის ბრალდებით იხდიდნენ სასჯელს, შეწყალებულთა ნაწილი კი 1995 წლის მარტში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ყოფილი რაზმის მიერ მოწყობილ ანტისამთავრობო აჯანყებაში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს. თავისუფლება არგუნეს ასევე რამდენიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერს, რომლებიც 2003 წლის 15-16 ოქტომბერს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მასობრივი არეულობების ორგანიზებასა და მონაწილეობაში იყვნენ დადანაშაულებული. მათ შორის არიან პარტია "მუსავათის" თავმჯდომარის მოადგილეები არიფ გადჯილი და იბრაგიმ იბრაგიმლი; გავლენიანი ოპოზიციური გაზეთის "ენი მუსავათის" რედაქტორი რაუფ არიფოგლუ, პარტია "ნამუსის" ლიდერი, აზერბაიჯანის პარლამენტის ექსდეპუტატი იგბალ აგაზადე, აზერბაიჯანის სახალხო პარტიის თავმჯდომარე ფანახ ჰუსეინოვი, დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი სარდარ ჯალალოგლუ.

გუშინ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ასევე შეიწყალა აზერბაიჯანის ყოფილი თავდაცვის მინისტრი რაზიმ კაზიევი, რომელსაც სამშობლოს ღალატის ბრალდების გამო, 1995 წელს სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1998 წელს აზერბაიჯანში სიკვდილით დასჯა გაუქმდა, კაზიევს სამუდამო პატიმრობა არგუნეს. მოგვიანებით, ევროსაბჭოს მოთხოვნით, კაზიევი ხელახლა გაასამართლეს და საბოლოოდ მას 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

პრეზიდენტის მიერ გამოცემულ შეწყალების აქტში გამოთქმულია იმედი იმისა, რომ "ყველა გათავისუფლებული ქვეყნის მეთაურის ჰუმანურ გადაწყვეტილებას სწორად შეაფასებს და ამიერიდან კანონს აღარ დაარღვევს."

## მოკლედ

# ვანო მერაბიშვილმა წალკის რაიონი მოინახულა

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი წალკის რაიონში გუშინ, ანუ იმ დროს ჩავიდა, როცა ადგილობრივი ხელისუფლების მტკიცებით, იქ სიტუაცია მშვიდია. მართალია, ამ სიმშვიდეს გარანტად ქვემო ქართლის პოლიციის 50 თანამშრომელი და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი უმაგრებს ზურგს.*

როგორც ცნობილია, წალკის რაიონში სიტუაცია 17 მარტს, მას შემდეგ დაიძაბა, რაც გამთენიისას სოფელ ავრალოში სამი ყაჩაღი თავს დაესხა ბერძნული წარმოშობის იოსამან და ლიზა კალოეროვების ოჯახს. ისინი სასტიკად სცემეს, წაართვეს ათასი ლარი და 300 დოლარი. როგორც კალოეროვები აცხადებენ, თავდამსხმელთაგან ორი ქართულად ლაპარაკობდა, მესამე - რუსულად.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ თავდამსხმელები მალევე დააკავა, მეზობელ სოფელში - კიზილკილში მცხოვრებმა სომხებმა და ბერძნებმა მაინც გადაწყვიტეს, შური ქართულენოვან მოსახლეობაზე ეძიათ. ისინი სოფელში ჩასახლებული აჭარლების დასახლებაში შეიჭრნენ, დაარბიეს სკოლა, სცემეს მუსიკის მასწავლებელი და ათამდე ქართველი ახალგაზრდა.

წალკაში იმავე საღამოს ჩავიდნენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები. ისინი შეხვდნენ დაზარალებულ კალოეროვებსა და სოფლის სხვა მცხოვრებლებს. სიტუაცია ერთგვარად განიმუხტა, თუმცა, სტაბილურობის შენარჩუნების გარანტირებისთვის იქ მაინც პოლიციის ძალები შეიყვანეს, რომლებიც, ქვემო ქართლის რწმუნებულის თქმით, ადგილზე მანამდე დარჩებიან, სანამ საჭირო იქნება.

სამინისტროს ძალების დასათვალიერებლად კი გუშინ წალკის რაიონს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ესტუმრა. იგი შეხვდა სოფლების კიზილკილისა და ავრალოს მოსახლეობას, მოინახულა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის დისლოკაციის ადგილი.

კიზილკილსა და ავრალოში გამართულ შეხვედრებზე, როგორც წალკაში ჩასახლებული აჭარლები, ისე ადგილობრივი ბერძნები და სომხები მინისტრისგან რაიონში არსებული კრიმინოგენული ვითარების გამოსწორებას ითხოვდნენ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ბათუმის ბაზის თანამშრომლებმა ბათუმში, ნაოსნობის წესების დარღვევისთვის, რუსული დროშით მცურავი ტანკერი "სამარა-სიტი" დააკავეს. სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლების განცხადებით, ტანკერმა ქართული მხარისგან კანონით დადგენილი ნებართვის გარეშე ზღვაში კატერი ჩაუშვა, რაც ნაოსნობის წესების დარღვევაა და 50 ათასი ლარის ჯარიმის გადახდას ითვალისწინებს. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ტანკერი აუქციონზე გაიყიდება. ამასთან, რუსულ მხარეს უფლება აქვს, დაჯარიმების შესახებ ოქმი ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივროს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მოქალაქეთაგან ქრთამის გამოძალვის ფაქტზე პოლიციელები ჯამბულ თურმანიძე და იოსებ აბუსერიძე დააკავეს. დაკავებულებს ბრალად მოქალაქეთაგან დიდი ოდენობით ქრთამის აღება ედებათ. სისხლის სამართლის საქმე ქრთამის გამოძალვის ფაქტზე აღიძრა. გამოძიებას აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები აწარმოებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** ბათუმში ფინანსური პოლიციის აჭარის განყოფილების თანამშრომლებმა 4 ათასი კონტრაბანდული სიგარეტი „ტროიკა" ამოიღეს. ტვირთი გენერალ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი მცხოვრების სახლში იპოვეს. მფლობელის ინფორმაციით, რუსულაქციზიანი სიგარეტი გორიდან შემოიტანა. ფინანსური პოლიციის აჭარის განყოფილების უფროსის მიხეილ მახარაძის განცხადებით, ხშირია ბათუმში ცხინვალიდან შეტანილი კონტრაბანდული ტვირთის ამოღება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გალის რაიონის სოფელ გაგიდაში შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებსა და, სავარაუდოდ, აფხაზეთიდან კონტრაბანდული საქონლის გადმოტანით დაკავებულ პირებს შორის. როგორც ერთ-ერთი თვითმხილველი, სოფელ გაგიდის მკვიდრი ლეონარდო გითოლენდია აცხადებს, დაპირისპირება რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებსა და ჯართით დატვირთული ავტომანქანის იმ მძღოლებს შორის მოხდა, რომლებიც ტვირთის გადმოტანას ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე აპირებდნენ. რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა თავდაპირველად ცეცხლი ჰაერში გახსნეს, რასაც კონტრაბანდისტებმა ასევე ცეცხლით უპასუხეს. ამის შემდეგ ლეონარდო გითოლენდია დაიჭრა. იგი ამჟამად ზუგდიდის ცენტრალურ საავადმყოფოშია მოთავსებული. ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. **ინტერ-პრესი**

# უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

ა ნ კ ე თ ა

სახელი, გვარი..............................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..............................

საკონტაქტო ტელეფონი..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# „სტრატეგიული არჩევანი" ბირთვულ იარაღსა და საერთაშორისო კეთილგანწყობას შორის

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი სამხრეთ კორეის შემდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ეწვია, სადაც სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ვენ ძიაბაოსა და ჩინეთის ლიდერს ჰუ ძინტაოს შეხვდა. ამ ქვეყანაში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის რანგში ვიზიტი რაისისთვის პირველია, მანამდე იგი ჩინეთს 2002 და 2004 წლებშიც ეწვია, როგორც ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი. ჩინელ მაღალჩინოსნებთან შეხვედრისას კონდოლიზა რაისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა "ერთიანი ჩინეთისადმი" აშშ-ს მხარდაჭერა. ჩინეთის მიერ ტაივანისადმი "ანტისეცესიური კანონის" მიღების გარდა, საუბარი ასევე შეეხო დიპლომატიურ გზებსა და საშუალებებს, რითიც შეიძლება ბირთვული იარაღის პროგრამის შეწყვეტაზე ჩრდილოეთ კორეის დათანხმება. გარდა ამისა, რაისის თქმით, აშშ-ს ხელისუფლება მზადაა, პეკინსა და ვაშინგტონს შორის არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით, კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის. ჰუ ძინტაომ, თავის მხრივ, იმედი გამოთქვა, რომ რაისის ვიზიტი მხოლოდ და მხოლოდ დადებითად აისახება აშშ-ჩინეთის ურთიერთობაზე და პოზიციათა დაახლოებას შეუწყობს ხელს.

დღეს კონდოლიზა რაისი ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ლი ძაოსინს შეხვდება.

რაც შეეხება სეულში ვიზიტს, სამხრეთ კორეელ ლიდერებთან შეხვედრისას რაისმა კიდევ ერთხელ მოუწოდა ფხენიანს, დაუბრუნდეს ექვსმხრივ მოლაპარაკებებს, რაც ჩრდილოეთ კორეას აუცილებელ დახმარებასა და საერთაშორისო პატივისცემას მოუპოვებს. **"ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი, არ შეიძლება იგი მუდმივად გრძელდებოდეს,"** - აღნიშნა რაისმა შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

როგორც ცნობილია, ბირთვული პროგრამის შეჩერების მიზნით ჩრდილოეთ კორეასთან ერთობლივი დიპლომატიური საშუალებებით მოქმედება აშშ-მ, რუსეთმა, იაპონიამ, სამხრეთ კორეამ და ჩინეთმა ჯერ კიდევ 2003 წელს დაიწყეს. მოლაპარაკებები მაშინ შეწყდა, როცა გასული წლის სექტემბრის შეხვედრაზე უარი განაცხადა ჩრდილოეთ კორეამ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თქმით, ვაშინგტონი ფხენიანთან პირისპირ მოლაპარაკებებზე არ წავა. **"ეს არ არის აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეის პრობლემა, ესაა სამეზობლო პოლიტიკის საკითხი და აგრეთვე კორეის იმგვარი ნახევარკუნძულის მოლოდინი, როგორიც გვინდა, რომ იგი იყოს,"** - განაცხადა რაისმა. მისი თქმით, ჩრდილოეთ კორეას საერთაშორისო კეთილგანწყობის მოპოვებისთვის სტრატეგიული არჩევანის გაკეთება მოუწევს, რაც მას უსაფრთხოების გარანტიებსაც მოუტანს. ფხენიანის მოთხოვნაზე, ჩრდილოეთ კორეის "ტირანიის ავანპოსტად" ხსნების გამო რაისს ბოდიში მოეხადა, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა უარი განაცხადა.

ჩრდილოეთ კორეასთან საერთო ენის გამონახვის შესაძლებლობაში ეჭვი ეპარება სამხრეთ კორეის ხელისუფლებას. ქვეყნის პრეზიდენტის რო მუ-ჰენის განცხადებით, სეული არაა დარწმუნებული, რომ შეძლებს მოლაპარაკებების მაგიდასთან ფხენიანის დაბრუნებას. "ეს ძალიან დიდი პრობლემაა. ჩვენ ვერ ვხედავთ პრობლემის გადაჭრის გზას, თუმცა, კარგად გააზრებული ძალისხმევის შედეგად, ვფიქრობ, ეს მაინც შესაძლებელი იქნება," - აღნიშნა რო მუ-ჰენმა. **24 საათი**

# დაპირებები კონკრეტული შეთანხმებების გარეშე

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტებს შორის პირისპირ მოლაპარაკებები დაგეგმილზე მეტხანს გაგრძელდა, - იმდენად, რომ პუტინს პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოსთან შეხვერდაზე დააგვიანდა კიდეც. უცნობია, რაზე ისაუბრეს იუშენკომ და პუტინმა, თუმცა, ერთობლივ პრესკონფერენციაზე იუშენკო ჰყვებოდა, რომ მან შეხვედრისას სწორედ ის საკითხები წამოჭრა, რომელიც მის სტუმარს აინტერესებდა. "მე კმაყოფილი ვარ ჩვენი მოლაპარაკებების გულწრფელობით, ჯანსაღი განწყობით და პრაგმატიზმით," - აცხადებს იუშენკო.

თავის მხრივ, პუტინმაც დაადასტურა კეთილგანწყობა. მისი თქმით, შესავალ სიტყვაში ჰქონდა ერთი ფრაზა: "რასაკვირველია, ჩვენ სხვადასხვა მოსაზრება გვაქვს პრობლემებზე". "მაგრამ მე ეს ფრაზა გამოვტოვე," - აღიარებს ვლადიმირ პუტინი.

პრეზიდენტების დიალოგი, სავარაუდოდ, უაღრესად საინტერესო იქნებოდა. პოსტრევოლუციურმა უკრაინამ მკვეთრად შეცვალა საგარეოპოლიტიკური კურსი და კუჩმასგან განსხვავებით ცალსახად განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია იყო. მანამდე ანალიტიკოსები ხშირად აცხადებდნენ, თითქოს უკრაინამ თავად არ იცის, რა სურს და ვერაფრით ირჩევს, ინტეგრაციის პროცესი საით წარმართოს – დასავლეთით თუ აღმოსავლეთით.

ასე რომ, შაბათს იუშენკო და პუტინი თავიდან არკვევდნენ ზოგიერთი ორმხრივი შეთანხმების მომავალს.

თავდაპირველად გაკეთებული უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, კუჩმას მმართველობის



პრეზიდენტების შეხვედრა.

ბოლო პერიოდში უკრაინა მაინც შეუერთდა რუსეთის, ბელორუსისა და ყაზახეთის ეკონომიკურ გაერთიანებას, რომელიც ზოგიერთი სუვერენული უფლებამოსილების ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტისთვის გადაცემას ითვალისწინებს.

გარდა ამისა, ეს გაერთიანება ოთხი სახელმწიფოს საბაჟო კავშირსაც აყალიბებს, რაც ყველაზე მტკივნეული მომენტია დღევანდელი კიევისთვის. ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იგი ხელშემშლელი ფაქტორი იქნება არა მარტო უკრაინის ევროკავშირში ინტერგაციისთვის (რომელიც, ბუნებრივია, საკმაოდ შორეული პერსპექტივაა), არამედ "ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში" გაწევრიანებისთვისაც.

ერთიან ეკონომიკურ სივრცეზე შეთანხმების ხელმომწერი სახელმწიფოები თავიდანვე აცხადებდნენ, რომ იგი მხოლოდ მაშინ შეიძენს რეალურ დატვირთვას, როცა მთელი რიგი დამატებითი ხელშეკრულებები იქნება გაფორმებული. დღეს კი ვიქტორ იუშენკომ ღიად დააფიქსირა, რომ არასოდეს დაუჭერს მხარს ისეთ შეთანხმებებს, რომელიც უკრაინის ევროპაში ინტეგრაციას ხელს შეუშლის.

აშკარაა, "ნარინჯისფერი" უკრაინა არაფრით დათანხმდება მოსკოვის ჰეგემონობით წარმართული კავშირის წევრობაზე. და ეს უარი არა მარტო პოლიტიკური მიზანშეუწონლობით, არამედ ეკონომიკურითაც არის განპირობებული. უკრაინას გაცილებით მეტი სარგებლის მიღება შეუძლია, მხოლოდ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში შესვლით. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა არაორაზროვანი მინიშნებაც გააკეთა: "უკრაინა, რასაკვირველია, მხარს დაუჭერს თავისუფალ ეკონომიკურ ზონას ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფარგლებში," - განაცხადა იუშენკომ. ხოლო რაც შეეხება საბაჟო კავშირსა და ზესახელმწიფოებრივი ორგანოებისთვის უფლებამოსილების გადაცემას, სავარაუდოდ, კიევი წინააღმდეგი იქნება.

კრემლს ორი არჩევანი აქვს – დათანხმდეს ერთიან ეკონომიკურ სივრცეში უკრაინის "მსუბუქ" მონაწილეობაზე, ან ეს სივრცე უკრაინის გარეშე შექმნას.

## ვის დარჩება გაზსადენი?

მეორე, უმთავრესი საკითხი, ბუნებრივია, უკრაინის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენი და მისი საკუთრების პერსპექტივა იყო. ჯერ კიდევ 2002 წელს დსთ-ს კიშინიოვის სამიტზე ლეონიდ კუჩმამ და ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ერთობლივი კონსორციუმის შექმნის შესახებ უკრაინის გაზსადენის სამართავად. მოგვიანებით, რუსულ-უკრაინულ კონსროციუმს შეუერთდა გერმანია – გაზის უმთავრესი მომხმარებელი და "გაზპრომის" დიდი ხნის პარტნიორი. ეს შეთანხმება მძაფრი კრიტიკის საგანი იყო ყოველთვის, რადგანაც მაშინდელი ოპოზიციის განცხადებით, მხოლოდ მოსკოვის ინტერესებს ითვალისწინებდა.

გასულ კვირას იუშენკომ ჟირნალისტებს განუცხადა, რომ "გერმანიიდან ორი მილიარდი დოლარი ჩამოიტანა" უკრაინის გაზსადენების რეკონსტრუქციისთვის. აქედან გამომდინარე, გაზის პრობლემებისადმი მიდგომები, სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ შეიცვლება.

შაბათს, მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, უკრაინის ლიდერმა საკმაოდ ნათლად გამოხატა თავისი დამოკიდებულბა გაზსადენის საკითხისადმი: "ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ გაზის ტრანსპორტირების სისტემა, როგორც ახლაა წარმოდგენილი, უკრაინის საკუთრებაში რჩება. გაზის ტრანსპორტირების კონსორციუმის საგანი იქნება ახალი ინიციატივები, რომელიც უკრაინის გაზსადენების სისტემის შესაძლებლობებს გაზრდის."

"არ უნდა გაჩნდეს ეჭვი, რომ ვიღაცას რაღაცის მითვისება უნდა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი სულ სხვა რამეა: მთავარია, რომ მან იმუშაოს. ჩვენ გარანტირებულნი უნდა ვიყოთ, რომ ბუნებრივი გაზის ტრანზიტი დასავლეთ ევროპის მომხმარებელთან საათივით იმუშავებს," - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა საპასუხოდ.

ფაქტია, უკრაინის გაზის საკითხი კიდევ დიდხანს დარჩება ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების ნუსხაში.

## პუტინი-იუშენკოს კომისია

შაბათს კიევში მიღწეული ერთადერთი კონკრეტული შეთანხმება უკრაინა-რუსეთის მთავრობათაშორისი კომისიის ლიკვიდაცია და მის ნაცვლად, მუდმივმოქმედი "პუტინი-იუშენკოს" კომისიის შექმნა იყო.

ასეთი ნაბიჯით, ორი ქვეყნის ლიდერები ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ მათ შორის ურთიერთობები ახალ დონეზე ადის და "ნარინჯისფერი რევოლუციას" თანმდევი დაძაბულობა გამქრალია.

ექსპერტები კი აღნიშნავდნენ, რომ უკრაინის ახალი ხელისუფლების სტილი, რომელიც მისთვის პრინციპული საკითხების პირდაპირ დასმაში მდგომარეობს, კრემლისთვისაც "გასაგები" უნდა იყოს. პუტინისდროინდელ რუსეთში ხომ მიეჩვივნენ, პირდაპირ მოითხოვონ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება.

# ყირგიზეთში დაპირისპირებული მხარეები პოზიციებს იმყარებენ

"ორად გაყოფილ" ყირგიზეთში მდგომარეობა დღითიდღე უფრო სერიოზული ხდება. თუ ჩრდილოეთი ჯერ კიდევ ინარჩუნებს სიმშვიდეს, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში საპარლამენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო მოსახლეობის მიმართ ხელისუფლება ძალის გამოყენებასაც არ ერიდება. თუ ოშში ადმინისტრაციულ შენობაზე შტურმი ომონმა განახორციელა, ჯალალ-აბადის ადმინისტრაციულ შენობაზე იერიში მომიტინგეებმა მიიტანეს. ოშში აყვანილ 158 რიგით მოქალაქეს შორის არიან ოპოზიციის წარმომადგენლებიც. საავადმყოფოშია გადაყვანილი 14 ადამიანი. ჯალალ-აბადში განვითარებულ მოვლენებს რაც შეეხება, იერიშის დროს გამოყენებული "მოლოტოვის კოქტეილების" გამო შინაგან საქმეთა სამმართველოს ერთი კორპუსი მთლიანად დაიწვა. როგორც ყირგიზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე აბდილდ სურანჩიევი აცხადებს, ოშსა და ჯალალ-აბადში განხორციელებულ ოპერაციებს მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ოპოზიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უკვე სახალხო კონტროლს ექვემდებარება ყირგიზეთის კიდევ 4 რაიონი. "ეხო მოსკვის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით კი, რომელიც თავის მხრივ, ოპოზიციურ წყაროებს ეყრდნობა, ჯალალ-აბადში მილიცია ხალხის მხარეს გადავიდა.

ხელისუფლების მომხრე საზოგადოებრივმა ფონდმა "ხალხთან და ხალხისთვის" უკვე მიმართა ყირგიზეთის ხელისუფლებას ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თხოვნით. თუმცა, როგორც პრეზიდენტის პრეს-მდივანი აბდილ სეგიზბაევი ავრცელებს ინფორმაციას, ბიშკეკში გამართულ მთავრობის სხდომაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღების საკითხი არ განხილულა. გარდა ამისა, ოშში შექმნილ მდგომარეობას სტაბილურს უწოდებს ოფიციალური ბიშკეკი. ხელისუფლებასა და ოპოზიციას დიალოგის დაწყებისკენ მოუწოდა ეუთო-ს წარმომადგენლობამ ბიშკეკში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვითარების კიდევ უფრო დაძაბვა.

# „თაიმსი": ჰარირიმ იცოდა, რომ სირიელები მის მოსაკლავად ემზადებოდნენ

კოტე ელიზბარაშვილი

სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ლიბანის პრემიერ-მინისტრმა რაფიკ ჰარირიმ საკუთარ აგარაკზე ლიბანელი დრუზების ლიდერი ვალიდ ჯუმბლატი მიიღო (დრუზები არაბები არიან, რომლებიც ისლამს განუდგნენ და საკუთარ რელიგიას მისდევენ). ჰარირიმ თავის დიდი ხნის მეგობარს გაანდო, რომ მასზე სირიელები ნადირობდნენ. "მან მითხრა, რომ მომდევნო ორ კვირაში ან მე მომკლავდნენ, ან მას. მან იცოდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო," - განაცხადა "ტაიმსთან" ინტერვიუში ჯუმბლატმა. ასეც მოხდა – 14 თებერვალს ჰარირი ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა, რომელიც, სავარაუდოდ, მისი ავტომობილის ფსკერზე იყო დამონტაჟებული. სირია ამ თავდასხმაში მონაწილეობას არ აღიარებს და ჯერჯერობით არ აღმოჩენილა იმის უტყუარი საბუთი, რომ სირია ჰარირის მკვლელობაშია გარეული. თუმცა მოვლენები, რომლებმაც ამ ლიბანელი პოლიტიკოსის მკვლელობა გამოიწვია და ინტერვიუები, რომლებსაც ათობით დასავლეთის, ლიბანის და სირიის ოფიციალური პირი მასმედიას აძლევდა, ეჭვს არ ტოვებენ, რომ მკვლელობის გეგმა სირიაში იყო შემუშავებული, წერს გაზეთი "ტაიმსი".

"ტაიმსის" ინფორმაციით, ჰარირიმ სირიელების რისხვა გამოიწვია, როდესაც გაეროს რეზოლუციას დაუჭირა მხარი, რომელიც სირიისგან ლიბანის საშინაო საქმეებში ჩარევის შეწყვეტას ითხოვდა. ჰარირის მკვლელობამდე დიდი ხნით ადრე, აშშ-ს და გაეროს ოფიციალური პირები სირიის ხელისუფლებას აფრთხილებდნენ, რომ ამ ლიბანელი პოლიტიკოსისთვის არანაირი ზიანი არ მიეყენებინათ. იანვრის შუა რიცხვებში, სირიის ზეწოლით, ლიბანის მთავრობამ ჰარირის 70 კაციანი დაცვის რაზმი მოუხსნა. ნივთმტკიცებების მოსპობის მიზნით, ჰარირის მკვლელობისთანავე თავდასხმის ადგილი გაწმინდეს.

სამშენებლო ბიზნესის მილიარდერი, რომელმაც 15 წლიანი სამოქალაქო ომგადავლილი ქვეყანა აღმავლობის გზაზე დააყენა, მას შემდეგ მოკლეს, რაც სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადთან ურთიერთობები გაუფუჭდა. გასული წლის აგვისტოში სირიამ, რომელზეც აშშ-მ თავისი ზეწოლა გააძლიერა ლიბანიდან სირიული ჯარების გაყვანის მოთხოვნით, ლიბანის კონსტიტუციაში ცვლილება შეიტანა, რათა ლიბანის პრეზიდენტ ლაჰუდის მმართველობის ვადა გაგრძელებულიყო, რომელიც სირიის მოკავშირედ ითვლება. ჰარირი, აგრეთვე იმ პერიოდში სირიის მოკავშირე, ლაჰუდს ედგა ოპოზიციაში და გააფთრებით აკრიტიკებდა იმ ცვლილებას, რომელიც ლიბანის კონსტიტუციაში იქნა შეტანილი. მაშინ ასადმა ლიბანელი პოლიტიკოსი დამასკოში გამოიძახა და შეხვედრის დროს, რომელიც 15 წუთი გრძელდებოდა, რაფიკ ჰარირის უთხრა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია და სირიას იმედი აქვს, რომ ჰარირი კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას ლიბანის პარლამენტში დამტკიცების დროს მხარს დაუჭერდა. ჰარირი ლიბანში დაბრუნდა და თავის საზაფხულო რეზიდენციაში გაემართა, რომელიც ბეირუთის მახლობლად მთებში მდებარეობს. მისი ყოფილი თანაშემწე იხსენებს, რომ შეხვედრის შემდეგ ჰარირი დათრგუნული იყო: "მათთვის (სირიელებისთვის) ჩვენ ყველანი ჭიანჭველები ვართ". თუმცა ჰარირიმ შურისძიება მოახერხა. აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან და საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან თავისი კავშირების გამოყენებით, ჰარირიმ იმას მიაღწია, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭომ 1559-ე რეზოლუცია მიიღო, ლიბანიდან სირიის ჯარების გაყვანის მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ ჰარირის თანაშემწეები გაერო-ს რეზოლუციის მიღებაში პრემიერ-მინისტრის მონაწილეობას უარყოფდნენ.

გასული წლის პირველ ოქტომბერს ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში ლიბანის ეკონომიკის ყოფილ მინისტრს, რაფიკ ჰარირის მეგობარს, მარვან ხამადეხს თავს დაესხნენ. ხამადეხი სერიოზულად დაიჭრა. ადგილზე დაიღუპა მისი პირადი მცველი. აღნიშნული თავდასხმა აღიქვეს, როგორც დრუზების ლიდერის, ვალიდ ჯუმბლატის მისამართით განხორციელებული მუქარა-გაფრთხილება, - წერს "ტაიმსი". ამ ინციდენტიდან ორი კვირის შემდეგ, ჰარირი პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგა და ანტისირიული ოპოზიციური ძალების ცენტრი გახდა. ვარაუდობდნენ, რომ ანტისირიული ლიდერის ამპლუაში ჰარირი ამა წლის მაისის საპარლამენტო არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას.

მარვან ხამადეხზე თავდასხმის შემდეგ, პარიზმა და ვაშინგტონმა სირია გააფრთხილა, რომ დაუშვებელია ოპოზიციის ლიდერებისთვის, კერძოდ, ჰარირისა და ჯუმბლატისათვის ზიანის მიყენება. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ რიჩარდ არმიტიჯმა იგივე გაუმეორა სირიის პრეზიდენტს ბაშარ ასადს დამასკოში შეხვედრის დროს, რომელიც ამა წლის 2 იანვარს გაიმართა. თუმცა, იანვრის ბოლოს ჰარირის მოუხსნეს პირადი დაცვის რაზმი, რომელიც ლიბანის უშიშროების ძალების 70 მებრძოლისაგან შედგებოდა. ჰარირი პროსირიული პოლიტიკური პირების მხრიდან პრესაში თავდასხმების სამიზნედ იქცა. ლიბანში საქველმოქმედო ორგანიზაციების რამდენიმე თანამშრომელი დააპატიმრეს, რომლებსაც ჰარირი ხელმძღვანელობდა. თუმცა, ლიბანელი პოლიტიკოსი დარწმუნებული იყო, რომ სირიელები მის ხელის ხლებას ვერ გაბედავდნენ, რადგან ის ვაშინგტონისა და პარიზის დაცვის ქვეშ იმყოფებოდა. მალე ჰარირის თავდაჯერება შეიცვალა. 10 თებერვალს გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთის დარეგულირების საკითხებში, ტერიე როდ-ლარსენი დამასკოში სირიის პრეზიდენტს შეხვდა და ჰარირისთან მოლაპარაკების დაწყება სთხოვა, წარმოქმნილი უთანხმოების მოგვარების მიზნით. "ლარსენმა იცოდა, რომ თუ მალე არ დაიწყებოდა ასეთი დიალოგი, ყველაფერი ძალზედ ცუდად დამთავრდებოდა," - აღნიშნა "ტაიმსთან" საუბარში გაერო-ში ანონიმურმა წყარომ. ორი დღის შემდეგ ჰარირიმ სახლში ჯუმბლატი მიიპატიჟა და ამ შეხვედრის დროს საკუთარი სიკვდილი იწინასწარმეტყველა. "ტაიმსთან" ინტერვიუში სამმა სირიელმა მინისტრმა უარყო სირიის მონაწილეობა ჰარირის მკვლეობაში, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ დაასახელა მკვლელობის ალტერნატიული ვერსია, მიუხედავად იმისა, რომ სირიას ლიბანში საკუთარი სპეცსამსახურების კარგად გავრცელებული ქსელი ჰქონდა.

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25



## აფთრები და მოროდიორები



B3

## შვიდკაცამ თორმეტში გაარტყა



B5

## კაცი, რომელიც დროში მოგზაურობს



B8



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




ნოდარ ლადარია

რამდენი ხანია, არ მიგრძვნია თქვენი არსებობა, თქვენი ხმა არ გამიგონია! როგორ მომენატრეთ! მარტოობის ჟამს, როცა სანატრელი სახეების სიშორეს განიცდი, ყოველთვის ბევრი საფიქრალი გიჩნდება, მე კი ერთადერთი კითხვა მტანჯავდა: რისთვის გარჩენთ საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**? რამ გაგაკვირვათ? — სწორედ თქვენ გგულისხმობთ, იდუმალ კოლექტიურ გონებას, რომელიც შემდეგი სიტყვებით აღნიშნავს საკუთარ თავს: **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**. ამიხდა საწადელი და 14 მარტს კვლავ წავაწყდი ამ ჯადოსნური სიტყვებით ხელმოწერილ ტექსტს: *საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო განცხადება*. "პროსტო" განცხადება კი არა, საგანგებო, მაშ! ახლა, სად გაკეთდა ეს განცხადება? — *უშიშროების საბჭოს წევრების მონაწილეობით გამართულ ოპერატიულ თათბირზე*. ასე გვამცნობს მინაწერი.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, განცხადება ეხება სკანდალს (ჰოი, სანატრელო სიტყვავ!) ცხინვალის რეგიონიდან მომდინარე კონტრაბანდის გარშემო. განვიხილოთ განცხადების ტექსტი.

ჯერ ის უნდა ალვნიშნოთ, რომ განცხადება მიმართულია მასმედიისა და საზოგადოებისადმი, სათათბიროდ შეკრებილთა მიმართ გამოთქმული მოწოდებები აქ წმინდად რიტორიკულ ხასიათს ატარებს. თუმცა გაუგებარი რჩება, ვინ ესწრება თათბირს (მინაწერიდან ვიცით, რომ აქ უშიშროების საბჭოს წევრებიც მონაწილეობენ, მაგრამ მათ გარდა კიდევ არის თუ არა ვინმე, არ ვიცით). მაშ ასე, პრეზიდენტი გვამცნობს: "**ვფიქრობ, რომ ქართლში კონტრაბანდასთან დაკავშირებით საგანგაშო ვითარებაა შექმნილი. პროკურატურამ სასამართლოს სანქციით მოპოვებული უტყუარი მასალები წარმოადგინა**". ეს "უტყუარი მასალები", როგორც ჩანს, დღეში რამდენჯერმე ჩაუვლიდნენ ხოლმე გზის პირას მცხოვრებ საზოგადოების წევრებს, ამ მასალებზე პარლამენტის ტრიბუნიდანაც თვეების განმავლობაში გვესმოდა დროდადრო შავ და თეთრ, წვრილ და მსხვილ ოპოზიციონერთა ხმები. მაგრამ ხელისუფლება ყურს არ იბერტყავდა. რატომ? პრეტენზია გვაქვს, ვარაუდი გამოვთქვათ, მაგრამ ჯერ დრო არ მოსულა...

ოდნავ მოგვიანებით, როცა პრეზიდენტი გვამცნობს, რომ საქმეში თურმე შიდა ქართლის პოლიციის ხელმძღვანელობაა ჩართული, მისი სიტყვა მოულოდნელ მიმართულებას იძენს: "**ცხინვალის რეგიონაში ჩვენ 16 ბიჭი დაგველუპა. დაგველუპა იმის გამო, რომ იქ კონტრაბანდული არხები გადაეკეტათ**". ზეპირ მეტყველებაში ეს "იმის გამო" და "გადაეკეტათ" შეიძლება წამოსცდეს აღელვებულ პრეზიდენტს. მაგრამ თუ შემდეგ მის სიტყვებს "ურთიერთობის სამსახური" აწერს ხელს, ამ ფრაზამ აუცილებლად უნდა განიცადოს რედაქტირება. მაგალითად ასე: "*ისინი დაიღუპნენ იმისთვის, რომ იქ კონტრაბანდული არხები გადაკეტილიყო*". ვერაფერი ღირსებაა, როცა აღნიშნავ, რომ შენს მიერ დაგეგმილი ოპერაცია ვილაცის დაღუპვის **მიზეზი** შეიქნა. თუ ხალხთან ეფექტური ურთიერთობა გწადია, უნდა დააჯერო, რომ ამ ოპერაციის მიღმა სიცოცხლის გაწირვის ღირსი **მიზანი** არსებობდა.

მეორე მხრივ, ქურდბაცაცა პოლიციელის დასჯა (ჩვენ კი ჯერ სულაც არა ვართ ისეთ მდგომარეობაში, როცა ამგვარი ექსცესები აკვირვებთ) თავისთავად ცხადი რუტინული საქმეა. ასე რომ, შექსპირისეული ჰორაციოსი არ იყოს, ასეთი ჭეშმარიტების დასამტკიცებლად სულაც არაა საჭირო მიცვალებულთა სულების გამოხმობა და შეწუხება. და მაინც, რაღაც ხდება ჩვენი პრეზიდენტის სულში. განვაგრძოთ კითხვა: "**ბოლო კვირების განმავლობაში რაიონის პოლიციის უფროსები და სხვა ხელმძღვანელები პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ კონტრაბანდული არხების კვლავ აღსადგენად** (აქ აშკარა სინტაქსური უთანხმოებაა, მაგრამ "ურთიერთობის სამსახური" ყურებს აპარტყუნებს — *ნ. ლ.*) **... ეს კი იმას ნიშნავს, რომ პენსიონერი ველარ მიიღებს პენსიას, ველარ დავაგებთ გზებს, ველარ შევქმნით სახელმწიფო სტრუქტურებს და ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება**".

აქ, სულ მცირე, ორი შეკითხვა გვიჩნდება. პირველი: იმისთვის გადააყენა სააკაშვილმა შევარდნაძე, რომ მერე მისი ადგილიდან ნათელაშვილის ლექსიკით გველაპარაკოს? რატომ უნდა გვიხაროდეს, როცა სერიოზული ქვეყნის სერიოზული პრეზიდენტი მის ირგვლივ შეკრებილ სერიოზულ ხალხს ასეთ ბანალობებზე ესაუბრება? ვერა და ვერ მოიშორეს ეს სამიტინგო განწყობა: ხელისუფლებაში ხართ უკვე, ბიძიებო, ხელისუფლებაში!

მეორე შეკითხვა: ვთქვათ, მოისურვა პრეზიდენტმა ეს კურთხეული "პიარი" — რატომ მაინცდამაინც ამას ამბობს და არა სხვა რამეს? მაგალითად ასე: "ეს კი ნიშნავს, რომ თქვენ, ჩემო კარგებო, არ გაგეზრდებათ ხელფასი, ვერ წახვალთ საზღვარგარეთ მივლინებაზე, ვერ გამოცვლით მოყირჭებულ სამსახურებრივ ავტომობილს და ა. შ.". განა პენსია, გზები და სახელმწიფო სტრუქტურები ვიღაც, თუნდაც მსხვილ, ქურდბაცაცებზეა დამოკიდებული პატიოსან სახელმწიფოში? მოდით, ვთარგმნოთ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის პოპულისტური მცდელობა სხვა ენაზე: რას იტყოდა იგი, მაგალითად, ოპერატიულ თათბირზე კი არა, თუნდაც გლდანში ან ვარკეთილში გახსნილ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან შეხვედრაზე: "თქვენი ბებიებისა და ბაბუების 28 ლარი და თქვენი საუზმე ბუა სუხიტაშვილმა მოიპარა, აი, ამ ძიების ვერცხლისფერ ოპელებს კი ვერ მისწვდა, ხელებზე, აი, ამხელა სახაზავი დავკარით!". იგულისხმება, რომ ბავშვებს ძალიან უნდა გაუხარდეთ...

ერთობ უდღეური პოპულიზმი გამოსდის ჩვენს პრეზიდენტს.

ამის მერე კი საგანგებო განცხადებაში იდუმალებით მოცული ადგილი გვხვდება: "**უფრო მეტად საგანგაშოა ის, რომ დამნაშავეები თავად გადმოდიან შეტევაზე და ჩვენს დაშანტაჟებას ცდილობენ. როგორც ჩანს, შეიქმნა კლანი, პოლიციური "გორული მაფია". არ ვიცი, რა სახელი შეიძლება დაერქვას იმას, რასაც ისინი სჩადიან**". აქ უნდა გაგვაჟრჟოლოს და აგვაკანკალოს. მართლაც, გაზეთმაც ნამდვილი სასპენზი შემოგვთავაზა და ხსენებულ სიტყვებს მოსდევს წარწერა: "**გაგრძელება A3 გვერდზე**". ხელის კანკალით შლი "24 საათის" ვეება ფურცელს, რაღაც სენსაციურ გამოაშკარავებას ელოდები, მაგრამ ხელთ გრჩება მხოლოდ პათეტიკური და — ჯანდაბას გემოვნება, პირდაპირ ვიტყვი — ერთობ უადგილო შეძახილი: "**ვერავინ ეღირსება, რომ სააკაშვილის ხელისუფლება გაიხრწნას!**". როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ აქ ვინმეს სურს სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება?..

რას ნიშნავს ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტი? — იმას, რომ თუ ვინმე გაიხრწნება, მას ყოველგვარი ზარ-ზეიმისა და ხმამაღალი შეძახილების გარეშე, ასე ვთქვათ, в рабочем порядке და не взирая на лица ჩამოაშორებენ დაკავებულ თანამდებობას. აქ კი რას ვხედავთ?..

იტალიასა და საფრანგეთში ზოგიერთ ღვინოს აქვს შემდეგი აღნიშვნა: D.O.C.G. ეს ნიშნავს: "კონტროლირებული და გარანტირებული წარმომავლობის დასახელება". სხვა სიტყვებით, თუ ღვინის ბოთლს აწერია "ბორდო" ან "ბრუნელო" მასში ჩასხმული სითხე, შესაბამისად, საფრანგეთის ბორდოში ან იტალიის პიემონტში მოწეული ყურძნისგანაა დამზადებული. გამოდის, საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი გვარი ამ წარწერის მსგავს მარკირებად აქცია. ვინმეს იქნებ ჰგონია, ვაჭარბებ. ნურას უკაცრავად — ჩვენ სხვანაირ, ამის საწინააღმდეგო მარკირებასაც გვთავაზობენ. აბა, ესეც წავიკითხოთ: "**ჩვენ შევარდნაძის დროინდელი პოლიციის რამდენიმე უფროსი დავტოვეთ და მათ მუშაობის შანსი მივეცით, რადგან ჩვენ პროფესიონალები გვჭირდებოდა. თუმცა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენ თვალები, ყურები და ინფორმაცია არ გვაქვს, ძალიან ცდება**". აჰა, საქმე ის ყოფილა, რომელი გვარითაა დადაღული პოლიციელის თუ ჩინოვნიკის ესა თუ ის ეგზემპლარი: თუ აწერია "სააკაშვილი", ზნაჩიტ, პატიოსანია, თუ "შევარდნაძე" — ქურდი და კორუმპირებულია.

ამის შემდეგ, ცოტა ქვემოთ მტკიცებულებასაც ვპოულობთ: "**ვავალებ მხარის გუბერნატორს, რომლის წესიერებაში ეჭვი არ მეპარება...**". მაინც რა ტიტანური ნაბიჯი გადავდგით ძველ რომაელებთან შედარებით! — იულიუს კეისარმა სულ მცირე ბრალდებაზე განაცხადა, კეისრის ცოლი ეჭვის გარეშე უნდა იყოსო, და მეუღლეს გაეყარა; ჩვენი პრეზიდენტი კი დაურიგებელი პენსიების, დაუგებელი გზების, აუშენებელი სახელმწიფო სტრუქტურების, შანტაჟისა და მაფიოზური ზეწოლის შემდეგაც ვერ თმობს ერთ გუბერნატორს, რითაც სრულიად აბათილებს რამდენიმე წამით ადრე წარმოთქმულ საკუთარ სიტყვებს: "**გთხოვთ, ხელშეუხებელი არც ერთი სახელმწიფო მუშაკი არ დარჩეს**".

მაგრამ ქვემოთ კიდევ უფრო საოცარი ადგილი გველის: "**ზოგიერთს რაღაცეები ძალიან მალე დაავიწყდა**". რა არის საოცარი? — ეს ღრმააზროვანი წინადადება პრეზიდენტის საგანგებო განცხადების მთელი აბზაცია! დიახ, აბზაცითაა გამოყოფილი. ამის გამო მისი გამეორება ნამდვილად ღირს: "**ზოგიერთს რაღაცეები ძალიან მალე დაავიწყდა**". ხანდახან ხდება, რაღაც ციტატები მოჰყავთ ხოლმე კონტექსტიდან ამოგლეჯილად. გაცილებით უფრო იშვიათია, როცა პირდაპირ კონტექსტიდან ამოგლეჯილად მეტყველებენ. მაგრამ ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ. ჭეშმარიტად! ნიჭიერი ხალხი ვართ და კონტექსტსაც თვითონ აღვადგენთ, მით უმეტეს, რომ არაფერი დაგვვიწყებია: არც ის, რომ ზაფხულის ამბებს ქართველმა ხალხმა "ოქრუაშვილის ომი" შეარქვა და არც ის, როგორ ჩააგდეს სანგრებში ამერიკელების გაწვრთნილი ხალხი და პოზიციურ ბრძოლებში აცლიდნენ ქანცს ელვისებური თავდასხმისთვის რის ვაი-ვაგლახით მომზადებულ ძალებს.

არც იმ ზოგიერთებში შევდივართ, რაღაცეები რომ ავიწყდებათ, და არც ქარელის წესიერებაა ჩვენთვის ასე უეჭველი — რას გვიზამთ ახლა? აბა, მოვუსმინოთ წესიერ კაცს, რომელიც თავის აზრებს **ინგა ალავიძისადმი** მიცემულ ინტერვიუში აფრქვევს (14 მარტი): "**რომ გითხრათ, კონტრაბანდა 100 პროცენტითაა აღკვეთილი-მეთქი, ტყუილია, მაგრამ 90 პროცენტით ნამდვილადაა აღკვეთილი**". დაუთვლია კიდეც. საიდან იცის ეს ციფრები? კიდევ: "**კონტრაბანდა ქაოსურად, დაქსაქსულად ხდება, ძირითადად წვრილ-წვრილი პარტიებით შემოდის კერძო პირების მიერ**". ჰოდა, თურმე სააკაშვილი 100 და 200 კოლოფი სიგარეტისთვის აფრქვევს სახელმწიფო კანცელარიის ოლიმპოდან ელვასა და ქუხილს! უნდა ვიფიქროთ, რომ პირობით საზღვარზე გადმოპარული გაჭირვებული ოსის ქალები აშანტაჟებენ ვარდების რევოლუციის შემოქმედს...

არა, სკანდალი ნამდვილად მნიშვნელოვანია. გაუგონარი სკანდალია. ვერავინ იტყვის, რომ პრეზიდენტის საგანგებო განცხადების ღირსი არაა და სააკაშვილი ტყუილად გარჯილა. ოღონდ უფრო კარგად უნდა გარჯილიყო და უფრო ადრეც. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ შიდა ქართლის ამბებს მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. და მაინც, ეკა კვესიტაძე ასე იწყებს 19 მარტს გამოქვეყნებულ თავის სტატიას: "**სამედიცინო კოლეჯის სტუდენტების აქცია ამ კვირის ყველაზე ხმაურიანი მოვლენა იყო**". რატომ?

რატომ მაინცდამაინც ამ სათბურში ნაზარდ გოგო-ბიჭებს მიეკედლა ჩვენი "პოლიტიკური სპექტრი"? ამ საკითხზე ერთგვარ ირიბ პასუხს გვაძლევს **ქეთევან იგნატოვა** 19 მარტის რუბრიკაში გულახდილად: "**ჩემი აზრის გამოთქმა, დაწერა დიდი ხანია მინდოდა, მაგრამ ერთი მარტივი მიზეზის გამო ამდენი დღე თავს ვიკავებდი. კოლეჯის სტუდენტებს შორის ერთი-ორი ჩემი ახლობლის შვილიც იყო**". ეს მეტად მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივი გარემოებაა ჩვენი ეროვნული ყოფისთვის. ხომ გახსოვთ, ჩემი ვარაუდი იმის შესახებ, რატომ არ აქცევდა ყურადღებას ჩვენი ხელისუფლება შიდა ქართლში აყვავებული კონტრაბანდის შესახებ ცნობებსა და გაფრთხილებებს? — აბა, ვიღაც-ვიღაცეების სამართლისმოყვარეობას ხომ არ გადააყოლებდნენ ოქრუაშვილისა და ქარელის მიმართ მეგობრულ გრძობებს! ქეთევან იგნატოვას ახლობლები გონზე მოვიდნენ და ჩვენი გულახდილი ავტორიც გათავისუფლდა დაბრკოლებისგან, რომელსაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი თვითცენზურას უწოდებს. როგორც ეტყობა, იგივე მოხდა პრეზიდენტის გულშიც, ოღონდ იქ რომელიღაც მეგობრის თუ თანამებრძოლის მოუზომელი თავხედობა იქნებოდა საბაბი.

რას იზამ, ქართველები ვართ. პირადი ყოველთვის უფრო ახლოა ჩვენთვის, ვიდრე საზოგადო. ამიტომაც 150 აბიტურიენტის განუხორციელებელი და დაუმსახურებელი პრივილეგია უფრო მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის, ვიდრე ერგნეთის ბაზრობის 120 მილიონი წლიური ბრუნვა.

ჯიბისა და ხაზინის ქურდი ყოველთვის უფრო სიმპათიური იქნება ჩვენი შეგნებისთვის, ვიდრე კანონიერების მკაცრი დამცველი. ჰოდა, ამიტომაც მართლდება ჩვენში წლიდან წლამდე ერთი გონიერი კაცის ნათქვამი: **დრონი კი არ მეფობენ, მეფობს ხეცურიანი**. ამიტომაც უკვირს საქართველოს პრეზიდენტს, რანაირად შეიძლება არსებობდეს კრიმინალური მენტალობის მქონე პოლიციელი. ეს ყველაფერი, ეკა კვესიტაძის არ იყოს, ორმაგი სტანდარტის უკუჩვენებაა. მოერიეთ, ბიძიებო ორმაგ სტანდარტს, დიდშიც და მცირეშიც. მოასწარით, სანამ მართლა არ დაგვენგრათ ქვეყანა თავზე.

თქვენთვის ვამბობ, თორემ მე ჩემს საქმეს ყოველთვის მოვნახავ და თუ მაინც არ გამიმართლა, დავჯდები ღვთისა და გილაურისაგან დაწყებულ ზაჰესში და მოვყვები თეოლოგიურ საკითხებზე მსჯელობას: ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ ატლანტიკური მოქცევების გამო მდინარე ტემზა დღე-ღამეში ორჯერ იცვლის დინების მიმართულებას. ჰოდა, მეც დავწერ ტრაქტატს იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ხსენებული გარემოება ანგლიკანთა ცხოვნების საკითხზე — იქნებ მიმიღონ TBC-ბანკის დაფინანსებულ მეცნიერებათა აკადემიაში...

ნესტან კვინიკაძის სვეტი

# ერთად ჩადენილი სისულელეები



"მოდით, ერთად ვიგლოვოთ, მაგრამ სისულელეებს ერთად ნუ გავაკეთებთ. ერთი მარცვალი ისტორიული ცნობიერება მაინც რომ გვქონდეს, წარსულისა და მომავლის გაგებაში დაგვეხმარებოდა. სულ გვიმეორებენ, რომ "ჩვენი ქვეყანა ძლიერია". მე ამაში სანუგეშოს დიდს ვერაფერს ვხედავ".

ეს აბზაცი "ავანგარდის მოციქულს", სიუზენ სონტაგს ეკუთვნის. ეს ქალბატონი ორშაბათ დილით ჩემ ცნობიერებაში იმიტომ არ ამოტივტივებულა, რომ სულ ახლახანს გარდაიცვალა და მისი მოგონება მსურს, არც იმიტომ, რომ განვავრცო აზრი - მომხიბვლელი ქალბატონი თურმე შეიძლება ჭკვიანიც იყოს, უბრალოდ, ერთად ჩადენილი სისულელეები დამიდგა თვალწინ.

მედეას შემდეგ, დიდი დრო გავიდა. ცხოველური სტადია დაძლეულ იქნა. ახლა გაზღაპრებულად გვეჩვენება ამბავი არმაზის ვეებერთელა კერპისა და მის ირგვლივ მდგარი გაცისა და გაიმის შესახებ.

ყველაფერს გადამეტებულს კიჩს ვუწოდებთ, ძვირფასს - ექსპერიმენტს, მტრებად კი ყველაზე არაპრესტიჟული და უსუსური ჟურნალ-გაზეთები, ტელეარხები და პოპ-ვარსკვლავები გამოვაცხადეთ, სხვა დანარჩენი თავისთავად პროცესად აღვიქვით.

რატომ მოხდა ასე? ყველა საუბრობდა "დავრდომილი" ტელეარხების უგემოვნობაზე, მაგრამ ხმას არავინ იღებდა მაშინ, როდესაც ყველაზე პრესტიჟული არხების პირდაპირი ჩართვებიდან გამუდმებით ისმოდა ერთი დაუშვებელი დიფერენცირება - "მიტინგზე თავი მოიყარა ინტელიგენციამ და აგრეთვე ჩვეულებრივმა ხალხმა".

ან ინტელიგენციას რა აქვს არაჩვეულებრივი, ან ჩვეულებრივში მოსახლეობის რომელ კატეგორიას გულისხმობდნენ?! ამ კითხვაზე პასუხი ჩემთვის ჯერ კიდევ ბუნდოვანია.

ერთ დროს სისხლისა და მახვილის გარეშე მოსული მეოთხე ხელისუფლება - იგივე ტელევიზია, დღეს, თითქმის, მთელ მსოფლიოში დახვეწილობის იმიჯებით არის მიმზიდველი. გამოცდილებამ ბევრი რამ აჩვენა და დღეს უკვე ტელევიზიის დაწერილი თუ დაუწერელი კანონები გვამცნობს: ტელეწამყვანი არ უნდა იყოს მზით გარუჯული, მიმზიდველი და გამომწვევად ჩაცმული, რადგან სწორედ მან უნდა დაგვაჯეროს, რომ დღეს ერთგან ომი დაიწყო... მეორეგან მიწისძვრა მოხდა... სადღაც შველას ითხოვენ... მაიკლ ჯექსონი სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს... და ა.შ.

ტელეჟურნალისტი, შესაძლოა, აფიქსირებდეს პოზიციას, მაგრამ არ უნდა აკეთებდეს არჩევანს. როგორც ნარინჯისფერი რევოლუციის ჟამს, პირდაპირ ჩართვებში ვხედავდით ნარინჯისფერი თავშლებით დამშვენებულ ჩვენს ჟურნალისტებს, ღრმად დარწმუნებულებს, რომ ამით სოლიდარობას გამოხატავდნენ.

კიდევ კარგი, რომ ტელევიზიაში ყველაფერი სულ რაღაც რამდენიმე საათში ძველთუძველესი ხდება და წინა დღით ნანახი სიუჟეტი მეორე დილამდე არ მიგყვება. ეს სატელევიზიო ხელოვნებაში არსებული გარდაუვალობაა. სიუჟეტების არ იყოს, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ერთ დროს პოპულარობის ზენიტში მყოფი ტელეწამყვანებიც აღარავის ახსოვს ხოლმე, განსხვავებით კინოვარსკვლავებისაგან, რომლებიც, ჩვენი ეკრანების არც ისე ხშირი სტუმრები არიან.

წაქცეულის ლანძღვა მარტივი საქმეა. ჩვენი საზოგადოება ყველაზე ხშირად ლელა წურწუმიას კრიტიკით არის დაკავებული, თითქოს ეს "ვარსკვლავებიც", ეს მართლაც თავისთავადი პროცესი, არ გაქრება ერთ დღესაც. სამაგიეროდ არავის სურს იმის თქმა, რომ თუნდაც ირაკლი ჩარკვიანი Swan Song-ის შემდეგ "ზღვიდან უკან გამობრუნდა".

თურმე მადლობა უნდა ვიძახოთ! ქვეყანაში, სადაც არაფერი ხდება, ცუდი ტექსტებით და თეატრების გახრწნილი რეპერტუარებით უნდა ვიყოთ აღფრთოვანებულები.

ჩვენი მტერი ცუდი გადაცემა კი არ არის, ჩვენი მტერი საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც სურვილს ვერ იოკებს, სურვილს იმ გადაცემაში მოხვედრისა. რატომ არ უნდა ვამხილოთ "ძლიერები"? ისინი, ვინც ჩვენი ეპოქის ფურცლებს წერენ; მაგრამ მაინც იჭრება დროში, შინაგან სისუსტეს ვერ ერევა და თავისი სიზუსტით ხდება აუტანელი. ვამხილოთ ისე, როგორც ეს სიუზენ სონტაგს ეხერხებოდა, როცა ამბობდა: "გაბრიელ გარსია მარკესი ფიდელ კასტროს მეგობარია, კარგად იცის, კუბაზე რაც ხდება და დუმსო".

პრესტიჟული ტელევიზია - დღეს ესეც რიგითი სიუჟეტივით მოძველებული წოდებაა, ასეთს ჩვენში ძნელად იპოვით. რევოლუციით ძალაგამოცლილები, ახლა მორჩილად მიჰყვებიან დინებას. არც ჩემი პოზიცია უნდა იყოს სამართლიანი, სხვებს ვაკრიტიკებდი, თავად კი იგივეს ვაკეთებ - ვსარგებლობ მათი უსუსურობით.

ეს ყველაფერი, ჩვენი ერთად ჩადენილი სისულელეების შედეგია. ვცდებით და ვერ ვხვდებით. შემაღლებული ადგილიდან ყოფას რომ გადავხედო, ერთადერთი პლიუსი ჩანს - ჩვენ "ერთად ვგლოვობთ" ხოლმე. ამაზე კი ერთი სასაცილო ამბავი მახსენდება: ცოლის სისხლის ჯგუფი რეზუს უარყოფითი იყო, ქმრის - რეზუს დადებითი. ცოლის დედამ თქვა: У моего зятя один плюс, - резус, и то для меня отрицательный.

# მეტი სივრცე და მეტი დინამიკა

## მთვარის შუქზე დანახული გედები

სოფიო კილასონია

უკვე ერთი კვირაა, რაც ოპერისა და ბალეტის თეატრში განახლებული "გედების ტბის" საპრემიერო სპექტაკლები მიმდინარეობს. ქართველი სოლისტების გვერდით მაყურებელმა მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტები ნადეჟდა გრაჩოვა და ანდრეი უვაროვი იხილა. ახალი სპექტაკლი პირველი განახლებული კლასიკური ბალეტია, სრულიად შეცვლილი სტრუქტურითა და სულ სხვა ხასიათით. საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა და დამდგმელმა ქორეოგრაფმა ალექსეი ფადეიჩევმა შექმნეს ჩაიკოვსკის ბალეტის სრულიად ახალი რედაქცია, რომლის მსგავსი ვარიანტი არც ერთ სხვა თეატრში არასდროს დადგმულა. როგორც დამდგმელი ქორეოგრაფი აღნიშნავს, თბილისში მისი მსოფლიო პრემიერა შედგა, პრემიერა სპექტაკლისა, რომელიც ვიაჩესლავ ოკუნივის სცენოგრაფიითა და პოლ ვიდარ საივარანგის განათების მხატვრობით მართლაც საუკეთესოდაა გაფორმებული. ეს ახალი რედაქცია მარიუს პეტიპასა და ლევ ივანოვის დადგმებს აერთიანებს, თუმცა საკუთარიც ბევრი აქვს.

ნებისმიერი თეატრალური წარმოდგენა მაყურებლის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ სწორედ მაყურებლის განწყობით დავიწყოთ. პირველი, რამაც ყველაზე მეტად მოხიბლა თბილისელი ბალეტის მოყვარულნი, წარმოდგენის ხანგრძლივობის საგრძნობი შემცირება იყო. ღიმილნარევი სახეები და შეკითხვა: "უკვე დამთავრდა?" - ისმოდა ყოველი მხრიდან. თუმცა, ოთხმოქმედებიანი სპექტაკლის ორმოქმედებიანად გადაკეთების გარდა, დარწმუნებული ვარ, სხვაც მრავალი შეამჩნია ჩვენმა მაყურებელმა.

იმისთვის, რომ პესიმისტური განწყობით არ დავასრულო, ამთავითვე ვიტყვი: ორკესტრმა ძალიან მოინდომა და წარსული გამახსენა. ყოველ შემთხვევაში, დამავიწყა "აიდა" და, როგორც ყოველთვის, დაამტკიცა, რომ საბალეტო სპექტაკლი მისთვის რაღაც მეორეხარისხოვანი მოვლენაა. ამიტომ თავს უფლება მისცა და ისეთი ბგერები და ხმოვანება გამოგზავნა დარბაზში, რომ უნებლიეთ დაიბადა კითხვა: ვინ ასრულებს ჩაიკოვსკის მუსიკას, ნუთუ ის, ვინც ამ ცოტა ხნის წინ ვერდის "აიდას" ასრულებდა? თუმცა, მოვეშვათ არასასიამოვნო "დეტალებზე" საუბარს და საქმეზე - ქორეოგრაფიულ ნაწილზე გადავიდეთ.

ახალი სცენოგრაფია, ახალი კოსტიუმები, მრავალი ახალი სახე, სიახლეები ლიბრეტოში.

სავარჯიშო ძელი, ფონად სარკეები, კუთხეში ხის სკამი და მასზე ჩამომჯდარი მკაცრსახიანი პედაგოგი, ცენტრში მოცეკვავეები, სარეპეტიციო სამოსში. ასეთია სურათი, რომელსაც პირველად ვხედავთ, გარემო, რომელიც ერთ-ერთი მოცეკვავის წარმოსახვაში ზღაპრულ და იდუმალ პეიზაჟად იქცევა, მოცეკვავე გოგონები კი - მოჯადოებულ გედებად. ორმოქმედებიანი სპექტაკლის ოთხივე სურათი გარკვეულ კონტრასტში მოდის ერთმანეთთან და ეს ერთ-ერთი პირობაა იმისა, რომ სპექტაკლმა მეტი სიხალისე და დინამიკა შეიძინა. თუმცა, როგორც ერთი, ისე მეორე, უპირველეს ყოვლისა, სპექტაკლის ახალი სცენოგრაფიიდან გამომდინარეობს.

სპექტაკლის მხატვრობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილის, სივრცის აღქმას, ხაზგასმას, რასაც პირველ ნაწილში გადაწოლილი ხეების იმიტაცია ქმნის (ზედა სადეკორაციო ფარდა), ხოლო მეორე ნაწილში - ჯერ გუთური სახლის მდიდრული ინტერიერი (ასევე ქსოვილზე შესრულებული მხატვრობა), ხოლო შემდეგ "მთვარის შუქზე" მოცეკვავე გედების განათება. საერთოდ, ეს ადგილი კულმინაცია და სპექტაკლის ყველაზე დასამახსოვრებელი სურათია.



თვალისმომჭრელია კოსტიუმები. მით უფრო შთამბეჭდავია ისინი, თუ გავიხსენებთ იმას, რა ეცვათ ჩვენს მსახიობებს უწინ. გარდასულ დღეთა მოგონებები განსაკუთრებული ძალით გვიტევს მეორე აქტის პირველ სურათში, როცა სასახლის დღესასწაული იწყება და სცენა მდიდრული ფერებითა და "მსუყე" კოსტიუმებით ივსება.

ახალ რედაქციაში ყველაზე საინტერესო მაინც ქორეოგრაფიული მონახაზებია. საყურადღებოა, რომ ამ წარმოდგენაში "პირველად ვიხილეთ გედები", სწორედ კორდებალეტს უჭირავს წამყვანი როლი სპექტაკლში. იმის მიუხედავად, რომ ძირითადი ცეკვები უცვლელადაა შენარჩუნებული, სრულიად ახლებურად არიან წარმოდგენილი გედები. ისინი აღარ არიან მხოლოდ ფონი, მათი ერთობლივი, სინქრონული ცეკვა მეტისმეტად შთამბეჭდავია. ვხედავთ მრავალ სხვა დეტალსაც, რასაც წინა დადგმაში ვერ ვხედავდით. სულ პატარა დეტალებით, მაგალითად, ხელების მოძრაობით, შეცვლილი მანერით. რაკურსებისა და თავების ახლებური მიმართულება-მიმართებით ბევრად დაიხვეწა და შეიკრა წარმოდგენა და ბევრად განსხვავებული ხიბლი და გარკვეული წესრიგი შეიძინა საბალეტო დასმა.

რაც შეეხება შემსრულებლებსა და შესრულების დონეს, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ოთხთვიანი მუშაობისა და მზადების შედეგი აშკარაა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე შემსრულებელი (ძირითადად, გედებისა) სცენაზე თეთრ "პაჩკაში" გამოსასვლელ ფორმაში არ არის, საერთო ცეკვის მანერა, შესრულების ხარისხი ბევრად უფრო დახვეწილია. ეს ფაქტორი განსაკუთრებით თვალშისაცემია კორდებალეტის მუშაობაში, სადაც მთავარი - სინქრონული მუშაობა, ზუსტი მონახაზები და ხაზები ბევრად ყურადღებითა და მონდომებით არის დაცული.

16 მარტს ოდეტა-ოდილიას პარტია ლალი კანდელაკმა შეასრულა, ბალერინამ, რომელიც დიდი ტექნიკური შესაძლებლობებით გამოირჩევა და აქამდე მასთან ლირიკული სახე ნაკლებად ასოცირდებოდა. 18 და 20 მარტის სპექტაკლებში ზიგფრიდისა და ოდეტა-ოდილიას პარტიები, თამამად შეიძლება ითქვას, რუსული ბალეტის ვარსკვლავებმა შეასრულეს. ნადეჟდა გრაჩოვას სხეულის დახვეწილი მოძრაობები, დამაჯერებელი სახე თეთრი გედისა და ანდრეი უვაროვის ჰაერში გამოკიდებული ნახტომი კიდევ დიდხანს დარჩება მაყურებლის გონებაში. თუმცა, წინ კიდევ რამდენიმე სპექტაკლია და, რაც ალბათ ყველაზე მთავარი უნდა იყოს ჩვენთვის, ახალგაზრდა ბალერინას ანა მურადელის დებიუტია, რომელიც 25 მარტს შედგება. მას დავით ხოზაშვილი გაუწევს პარტნიორობას. ამ ბოლო საპრემიერო სპექტაკლით ეს საბალეტო თვეც დასრულდება. დასის ხელმძღვანელობა, პედაგოგ-რეპეტიტორები და თავად ბალეტი ახალი პრემიერისთვის მზადებას შეუდგება და მინკუსის "დონ-კიხოტის" ვნებასა და ქარცეცხლში გაეხვევა. თუმცა, სანამ ბალეტის ახალი პრემიერა სცენას იხილავს, ჩვენ ოპერისა და ბალეტის თეატრს ისევ დაუბრუნდებით. სულ მალე საოპერო დასი ახალ სპექტაკლს წარმოგვიდგენს. მის შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

# "ნატურმორტი 1937"

## ანუ აღიარებული სცენარი და ტრადიციული პრობლემები

ეკა სუმბაძე

*თანამედროვე ქართული კინო გაცოცხლდა - ამ ბოლო პერიოდში თბილისის კინოთეატრებში რამდენიმე ახალი ქართული ფილმის პრემიერა გაიმართა. ზოგი წარმატებული აღმოჩნდა, ზოგი - არც ისე. მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: ქართული კინემატოგრაფია ნელ-ნელა ცდილობს, ჩვენს ცხოვრებაში თავისი ადგილი კვლავაც დაიმკვიდროს.*

როგორც კი კინემატოგრაფისტთა წრეებში ახალ, მეტ-ნაკლებად წარმატებულ სცენარზე ან პროექტზე იწყებენ საუბარს, დიალოგი სულ მალე გაცილებით პროზაულ, თუმცა აუცილებელ თემას უნდა შეეხოს - ფულს. სამწუხაროდ, ჩვენი სცენარისტებისა და რეჟისორებისთვის საკუთარი ფილმებისთვის ფულის შოვნა სტუდენტობის დროს არავის უსწავლებია, კინოპროდიუსერთა ინსტიტუტი კი საქართველოში მხოლოდ ახლა მკვიდრდება. ეს გარემოება ბევრ კარგ სცენარს თაროზე შემოდების პერსპექტივით ემუქრება.

თუმცა, ამ ბოლო დროს გაჩნდა იმედი, რომ კულტურის სამინისტრო და კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დააფინანსებს ახალ პროექტებს, რომლებმაც ამა თუ იმ ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონკურსებში უკვე გაიმარჯვა. მით უფრო, რომ უცხოელი კინემატოგრაფისტები და საერთაშორისო ფონდები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან ქართული კინოთი.

გასულ წელს შვეიცარიის განვითარების ფონდმა "ფოკალმა", რომელიც მთელ მსოფლიოში, სხვადასხვა მიმართულებით, მრავალ პროგრამას აფინანსებს, კინოს დარგშიც გადაწყვიტა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს დახმარება. სპეციალურ პროგრამას "ავანტი" ეწოდა.

"ავანტის" პირობების თანახმად, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლო რეჟისორს, რომელსაც საკუთარი პროექტი ჰქონდა. ამას გარდა, "ავანტიმ" კინოსთვის პროდიუსერები და იურისტებიც მოამზადა.

კონკურსში, რომელიც წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა, ჟიურის წევრებად მოწვეული იყვნენ მსოფლიო კინოს წამყვანი სპეციალისტები: თომას შლეზინგერი, ქშიშტოფ ზანუსი, დაგმარ ბენკე, მარტინ ჰაგემანი, სედომირ კოლარი და სხვები.

სრულმეტრაჟიანი ფილმების ნომინაციაში პირველ ეტაპზე ქართველებმა ორმოცამდე სცენარი წარადგინეს. ეტაპობრივი გაცხრილვის შემდეგ ნამუშევრები გადაეცა ახალ, საგანგებოდ შექმნილ ჟიურის, რომელსაც ემირ კუსტურიცას პროდიუსერი სედომირ კოლარი თავმჯდომარეობდა. ჟიურიმ გამარჯვებულად გამოაცხადა რუსუდან ჭყონიასა და გივი ოდიშარის სცენარები.

გამარჯვებულებს ფილმების გადასაღებად 50-50 ათასი დოლარი გამოეყოთ, ოღონდ ეს ფული მხოლოდ მაშინ "ამუშავდება", როცა ქართველები ფილმების გადასაღებად აუცილებელი თანხის ნაწილს თვითონ მოიპოვებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში 2007 წელს ანგარიში გაუხსნელად დაიხურება.

რუსუდან ჭყონიას პროექტში, პირობითი სახელწოდებით "გაიღიმეთ",



*გივი ოდიშარია*

მოქმედება ხდება დედების სილამაზის კონკურსზე. იგი თანამედროვეობას ეხმიანება და მისი ერთგვარი გროტესკული გააზრებაა.

გივი ოდიშარიას პროექტი "ნატურმორტი 1937", ტოტალიტარიზმის პირობებში მხატვრის და ზოგადად ადამიანის ხვედრზე მოგვითხრობს.

ნიკო ფიროსმანის სახელთან დაკავშირებული, სევდიანი იუმორით შეზავებული უცნაური ისტორია-მისტიფიკაცია, მხატვრის უჩვეულო სამყარო, დანახული 1937 წლის რეალიების ფონზე, რელიეფურად და მოულოდნელი კუთხით წარმოაჩენს პრობლემას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ "ნატურმორტი 1937" საქართველოს ეროვნული კინოცენტრის პირველი კონკურსის გამარჯვებულიცაა. თუმცა, გამარჯვებული სცენარის ავტორს თანხა ჯერაც არ მიუღია. კინოცენტრის ახალი დირექტორი გაგა ჩხეიძე სულ ახლახან იქნა არჩეული. იმედია, კინოცენტრში ხანგრძლივი უმოქმედობის პერიოდი დასრულდება და, სხვა საქმეებთან ერთად, გამარჯვებული პროექტების განხორციელებაც დაიწყება.

ასე რომ, ერთი მხრივ, არსებობს კინემატოგრაფისტთა წრეებში უკვე აღიარებული პროექტი, უცხოელ და ქართველ კინემატოგრაფისტთა დახმარების იმედი და, მეორე მხრივ, - საკუთარ თავს მინდობილი სცენტარისტი და რეჟისორი, რომელსაც ესმის, რომ "ავანტისა" და კინოცენტრის მიერ გამოყოფილი ფული მხოლოდ ნაწილია იმ თანხისა, რომელიც ამ მეტად საინტერესო პროექტის განსახორციელებლად არის საჭირო.

ქართველი მეცენატები კინოს მაინცდამაინც არ სწყალობენ. შესაძლოა, იმიტომ, რომ შედეგს და აღიარებას დაუყონებლივ ელიან. თუმცა, როგორც ქართული კინოს სპეციალისტებმა გვითხრეს, პროექტი, განხორციელების შემთხვევაში, კომერციულადაც მომგებიანი იქნება, რადგან 1937 წლის მოვლენების ავტორისეული, საკმაოდ ორიგინალური ხედვა სრულიად განსხვავდება დღემდე ამ პერიოდზე შექმნილი ფილმებისგან.

დაბოლოს დავძენთ, რომ "ავანტის" კონკურსში გამარჯვებულების დახმარების ვალდებულება კულტურის სამინისტრომაც აიღო საკუთარ თავზე.

**"საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო მიესალმება შვეიცარიის განვითარების სააგენტოს ეგიდით რეგიონულ პროგრამა AVANTI-ს, რომელიც მიმართულია სამხრეთ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში კინოხელოვნების განვითარებისთვის. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, პროგრამა AVANTI-სთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, ადასტურებს მჭიდრო თანამშრომლობის სურვილს და მზადყოფნას ხელი შეუწყოს გამარჯვებული პროექტების განხორციელებას".**

წერილი დათარიღებულია 2004 წლის 9 დეკემბრით და მას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი აწერს ხელს.

# დუდუკი, ზურნა და ჩელო

## ხმოვანი თბილისი 2005

სოფო კილასონია

*სანამ კონსერვატორიის დიდ დარბაზში იო იო მას პროექტის "მუსიკა აბრეშუმის გზაზე" მუსიკოსებით გამართული კონცერტი დაიწყებოდა, სასტუმრო "კოპალამ" კავკასიის თანამედროვე მუსიკის ფესტივალის ორგანიზატორს, საერთაშორისო ქალთა დახმარების დირექტორსა და დამფუძნებელს ქალბატონ ფიდა რიფლის უმასპინძლა, რომელმაც პრესკონფერენციაზე საკუთარი საზოგადოების გეგმებსა და "ხმოვანი თბილისი 2005"-ს შესახებ ისაუბრა.*

სახელები ნამდვილად ბევრია, მიმართებები - კიდევ უფრო რთული. ჩემსავით მკითხველიც რომ არ დაიბნეს, გავიმეოროთ: საერთაშორისო დახმარების ქალთა საზოგადოებამ საფუძველი ჩაუყარა კავკასიის თანამედროვე მუსიკის ფესტივალს. ის პირველ ნაბიჯებს თბილისში გადადგამს. კონცერტები და მუსიკალური საღამოები, რომლებიც ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა, "ხმოვანი თბილისი 2005"-ის სახელით უნდა დაგვამახსოვრდეს.

უკვე მეხუთე წელია, რაც კავკასიაში თეთრი ბაფთის კამპანია მიმდინარეობს. როგორც პრესკონფერენციაზე ქალბატონმა ფიდა რიფლიმ აღნიშნა, ძალიან ბევრი კავკასიელი მამაკაცი ჩართეს ამ კამპანიაში. "თეთრი ბაფთის მოძრაობა" კანადაში მას შემდეგ დაიწყო, რაც მონრეალის უნივერსიტეტში მამაკაცმა თოთხმეტი ქალი მოკლა, როგორც ამბობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ გადაწყვიტეს, ინჟინრები გამხდარიყვნენ. მამაკაცების მიერ დაწყებული კამპანია ევროპარლამენტმა მიიღო, რის შემდეგაც იგი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. "ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს კამპანია კავკასიაშიც განვითარდა და მასში მთელი რეგიონი მონაწილეობს. ჩემი იდეა იყო, დამეარსებინა კავკასიის თანამედროვე მუსიკის ფესტივალი, ხოლო მისი საწყისი ადგილი ყოფილიყო თბილისი, ქალაქი, რომელიც მთელი ამიერკავკასიის სტრატეგიული ცენტრია. სამომავლოდ ვფიქრობთ ხმოვანი ერევნისა და ხმოვანი ბაქოს დღეებზეც, თუმცა გეგმებზე საუბარი მიჭირს - ეს ყველაფერი ფინანსურ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ჩვენი ფესტივალი ცოცხალი მუსიკის პროპაგანდას ემსახურება, ეს კი პირდაპირ უკავშირდება ბატონი იო იო მას კონცეფციას, რომელიც თვლის, რომ მუსიკის ურთიერთგაცვ-



*გევორგ დაბაგიანი, ვაჩე შარაფინი, ფიდა რიფლი და თარჯიმანი*

ლა და კავშირები ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთობათა მოგვარებისთვის." - გვითხრა ფესტივალის ორგანიზატორმა ფიდა რიფლიმ.

პრესკონფერენციაზე მისულ ჟურნალსტებს მუსიკალური ფესტივალის ორი მთავარი სტუმარიც შეგვხვდა. იო იო მას "აბრეშუმის გზის პროექტის" მუსიკოს-შემსრულებლები ვაჩე შარაფიანი და გევორგ დაბაგიანი (სომხეთი). მათ ძირითადად იმ ნაწარმოებებზე ისაუბრეს, რომლებიც მოგვიანებით კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში ქართველ შემსრულებლებთან ერთად (კამერული ტრიო "ტფილისი", ხათუნა თუშმანიშვილი, ზურაბ ხუციშვილი, ვაჟა კალანდაძე და ლია ბაიდოშვილი) შეასრულეს. საკონცერტო პროგრამა საინტერესოდ იყო შედგენილი. ნაწარმოებთა თემატიკა და სათაურები ძირითადად ასოციაციებზე იყო აგებული. მათ განსაკუთრებულ ინტერესს სძენდა ის, რომ სხვადასხვა ხმოვანების მქონე საკრავების ერთობლიობით სრულდებოდა. ზურნა, დუდუკი, ფორტეპიანო და ჩელო გუშინ საღამოს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჰარმონიულად და თბილად ჟღერდა.

"ხმოვანი თბილისი 2005"-ის ფარგლებში კიდევ რამდენიმე ღონისძიება იგეგმება. 23 მარტს სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში თბილისის ბიგ-ბენდი და დავით ილურიძის ბენდი ჯაზის საღამოს და მერაბ სეფაშვილის მიერ ორგანიზებულ კონცერტს შემოგვთავაზებს. სამომავლოდ ქალბატონი ფიდა რიფლი იმედოვნებს, რომ საკუთარ ფესტივალს ბევრად უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის.

# აფთრები და მოროდიორები





მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ-ში

ვერ მოასწრო ინდოეთის ოკეანეში ცუნამის მიერ აგორებულმა ტალღამ სიკვდილის საბანი გადაეფარებინა კატასტროფის რეგიონში განლაგებული ქვეყნებისთვის, რომ მას მეორე ტალღა მოჰყვა - ინტერნეტში. საიტების გააფთრებულმა მოროდიორებმა გადაწყვიტეს ადამიანების უბედურებაზე ხეირი ენახათ. ვერ გეტყვით, როგორ გამოიყურება ეს მეორე ტალღა ადამიანების უსინდისობის რიხტერის შკალაზე, მაგრამ მან უკვე იმდენად სახიფათო მასშტაბები მიიღო, რომ FBI-მ (გამოძიების ფედერალური ბიურო) საჭიროდ ჩათვალა ამის შესახებ საზოგადოებისთვის ეცნობებინა.

FBI-ს გაფრთხილება ეხება თაღლითურ ელექტრონულ ფოსტას, რომელიც შეიცავს "ცუნამის შედეგად დაზარალებულთა დახმარების შესახებ თხოვნებს" და ყალბ ვებ-საიტს, რომელსაც, ვირუსების საშუალებით, შეუძლია თაღლითების ხელში გადაქაჩოს დონორების ფული. კომპიუტერული მოროდიორებისგან ორმაგად ზარალდებიან ის ოჯახები, რომლებიც ინტერნეტის საშუალებით დაკარგული ახლობლებისა და ნათესავების პოვნას ცდილობენ. მათ ცრუ ბროკერები ატყუებენ - სოლიდური ანაზღაურების სანაცვლოდ დახმარებას ჰპირდებიან. FBI იმუქრება, რომ "აგრესიული მეთოდებით შეებრძოლება ინდივიდუალური ფილანტროპების მოტყუების ყველა მცდელობას". ამ შემთხვევაში არ შეიძლება, არ მივესალმოთ მუდმივად კრიტიკის ქარცეცხლში მყოფი სპეცსამსახურის მონდომებას.

თაღლით თვითმარქვიათა შორის არის ვინმე მის ელენა, რომელიც საკუთარ თავს "სომალელ პრინცესად" ასაღებს. ის ირწმუნება, რომ ცუნამიმ პირიდან მიწისა აღგავა მთელი მისი სოფელი და შეიწირა ყველა მისი ნათესავი. მის ელენა, იგივე "სომალელი პრინცესა", იტყობინება, რომ ჯერ კიდევ ცუნამიმდე მან ესპანეთის ერთ-ერთ ბანკში გადარიცხა თავისი ოჯახის მთელი ფული - 2,4 მილიონი დოლარი. ის ამ თანხის 40 პროცენტს ჰპირდება მათ, ვინც ბანკიდან ფულის გამოტანაში დაეხმარება.

ინტერნეტის საჩივრების ცენტრი იუწყება, რომ მარტო 2004 წელს კომპიუტერულმა თაღლითებმა გულუბრყვილო ადამიანები 126,5 მილიონი დოლარით აზარალეს. საინტერესო კი ის გახლავთ, რომ დანაშაულთა უმეტესობა - 61 პროცენტი ადამიანის პოლარული გრძნობების საფუძველზე მოხდა - სიძუნწის და ხელგაშლილობის. როგორც ჩანს, გულუბრყვილოებს მარტო სიძუნწე როდი ღუპავს. ასე იყო ნიგერიის ტრაგედიის დროს. მართალია, თაღლითებს შორის მაშინ ნიგერიის სახელისუფლებო ჩინოვნიკებიც აღმოჩნდნენ. ვებ-თაღლითები კი განუსაზღვრელი რაოდენობით ფულს ჰპირდებოდნენ იმ დაზარალებულებს, რომლებიც საკუთარი თავის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდიდნენ. "ნიგერიის საქმე" ინტერნეტის არსებობის მანძილზე ჩადენილი თაღლითობების ათეულშია შესული.

ScamBusters.org.-ის, ინტერნეტ-თაღლითებთან მებრძოლი ერთ-ერთი უძველესი და უმსხვილესი საინფორმაციო ორგანიზაციის თანარედაქტორი ოდრი ლენდფორდი ამბობს: **"არაფერია გასაკვირი იმაში, რომ თაღლითებმა მყისიერი რეაგირება მოახდინეს ცუნამიზე. ასე იყო 11 სექტემბრის ტრაგედიისასაც. მაშინ აფეთქებებიდან სულ რაღაც რამდენიმე საათში დაიწყეს თაღლითებმა საქმიანობა. ამას, როგორც წესი, ყველა მსხვილმასშტაბიანი კატასტროფის შემდეგ ვაწყდებით"**.

სამწუხაროა, მაგრამ სიტყვა - ადამიანი - ყოველთვის სიამაყით არ წარმოითქმის...

მოკლედ

## ჰილდო ლინდგრენის სახელზე

ქალაქ ვიმერბიუში ასტრიდ ლინდგრენის სახელობის პრემიის გამარჯვებულები გამოაცხადეს. პრემია შვედეთის ხელისუფლებამ 2002 წლის იანვარში, მწერლის გარდაცვალების შემდეგ დააწესა საბავშვო წიგნების საუკეთესო ავტორებისა და ილუსტრატორებისთვის.

წლევანდელი პრემიის მფლობელები არიან; იაპონელი იოძი არაი და ბრიტანელი ფილიპ პულმანი. ჟიურის აზრით, 49 წლის იაპონელის შექმნილი ილუსტრაციები გამორჩეულია თავისი განუმეორებელი სტილით; ის გაბედული და მოულოდნელიცაა. მისი ნახატები სითბოს გამოსცემს და იუმორითაა გაჯერებული, რაც მეტად ახლოსაა ნებისმიერი ასაკის ადამიანთან. "ფერი მისი ხელიდან მუსიკასავით იღვრება", - ამბობენ ჟიურის წევრები.

მეორე ლაურეატის 59 წლის პულმანის შემოქმედებაში ჟიურის წევრებმა ოსტატობა დააფასეს; ბრიტანელი ავტორი მრავალ ჟანრში მოღვაწეობს: ფანტასტიკით დაწყებული ისტორიულ და რეალისტურ რომანებამდე.

ხუთ მილიონ შვედურ კრონს (დაახლოებით 650 დოლარი) გამარჯვებულები ტრადიციისამებრ შვედი პრინცესა ვიქტორიასგან მიიღებენ ცერემონიალზე, რომელიც სტოკჰოლმში 25 მაისს გაიმართება.

## "ფოტო-გაზაფხული 2005"

N გალერეაში ინტერნეტ ფოტო-კონკურსი "ფოტოგაზაფხული 2005" გაიხსნა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს მაისის ბოლომდე შეუძლიათ წარმოადგინონ საკუთარი ნამუშევრები შეუზღუდავი რაოდენობით. ფოტოები 2 დღის განმავლობაში განთავსდება ინტერნეტ რესურსზე. ყველა ნამუშევარი ავტორის ვინაობის მითითების გარეშე დაიშვება და კოდირებული სისტემით განთავსდება საიტზე.

კომპეტენტური ჟიური, რომლის შემადგენლობაში პრიმა ფოტოხელოვანები - გიორგი როზოველი, ალექსანდრე პაბედიმსკი, ვადიმ პესკარიოვი, ალექსანდე შაპავალოვი (რუსეთი), სამუელ სევადა (აშშ), ნინო მირიანაშვილი, კახი ხუციშვილი (საქართველო), ნატალი კელი შედიან (იტალია), ნამუშევრებს ვირტუალურად, ფარული წესით შეაფასებს. ორგანიზატორების თქმით, ფოტოკონკურსი არაკომერციულია და მაქსიმალურად გამჭვირვალე.

*ინტერ-პრესი*

ისარგებლეთ ლაი-ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სალონურ ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)




აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების გადაცვლა შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შემელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებელის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | ღუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |

ბიძინა მაყაშვილის სვეტი

## როკ-ენ-როლის ეპოქის ზღაპრები



### რადიო

თავიდან იყო "სპიდოლა" - რადიომიმღები. მას ძირითადად მამები და შვილები ეტანებოდნენ. დედების ხვედრი სამზარეულოს კედელზე ლურსმნით მიმაგრებული ან მაცივარ Днипро-ზე შემოდებული ქსელის რადიო იყო. მამები "გოლოს ამერიკის" უსმენდნენ, შვილები - როკ-ენ-როლს. იმის გამო, რომ ამ სანატრელი რადიოტალღების ჩახშობაზე სპეციალური სამხედრო ნაწილები მუშაობდნენ, მამები ვერ ახერხებდნენ იმის გაგებას, თუ რატომ არ შეიძლებოდა "დოქტორ ჟივაგოს" წაკითხვა, ხოლო შვილები იმას - თუ რა დაუშავა 20 წლის ოთხმა ლივერპულელმა ბიჭმა მთელი სოციალისტური სისტემის ქვეყნებს.

ამიტომ რადიომიმღების აუტანელი გრუხუნის მიუხედავად, არავის არ მოსდიოდა თავში მისი გამორთვა - მამები სოლჟენიცინს კითხულობდნენ, შვილები "როლინგსტოუნზს" უსმენდნენ; დედები... დედები კი, ქსელის რადიოთი აჟღერებული რობერტინო ლორეტის წკრიალა ხმის თანხლებით, საშემოდგომო სამზადისში მშვიდად ირჯებოდნენ სამზარეულოში: იხარშებოდა მურაბები, მწნილდებოდა ბოსტნეული, ცვდებოდა დანები, ჩლუნგდებოდა გრძნობები. ის შემოდგომა კი, მართლაც, გამორჩეული გამოდგა კოპწია ქსელის რადიოსთვის.

1964 წელი იდგა და ერთ დილას ჩვენმა რადიომ რუსულად წამოიკნავლა - ცეკას პირველი მდივანი დღეიდან ბრეჟნევი იქნებაო. ცხადია, მაშინ ამ ამბების საერთოდ არაფერი გამეგებოდა (თუმც არც დღეს ვარ მაგეების ექსპერტი), მაგრამ უფროსების რეაქციიდან მივხვდი, რომ მამაჩემის Огонек-ის ყდაზე ნანახი, ამერიკული სიმინდის ყანაში ჩაწოლილი მხიარული მოხუცის, ხრუშჩოვის ცხოვრებაში თავმომწონე კიტრობის ხანა მორჩა და მწნილობის პერიოდი დაიწყო.

მეორე ამბავი, რომელიც ქსელის რადიომ გვამცნობა იმ შემოდგომას, ჩემთვის უფრო გასაგები და სასიამოვნო იყო - ჩვენი "დინამო" ტაშკენტში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. იმ დროს ვერ წარმომედგინა, რა უნდა მომხდარიყო ამაზე დიდი ცხოვრებაში; აბა, მაშინ საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ევროპის საკლუბო ტურნირებიც არსებობდა?! ამის შესახებ ქსელის რადიოს ხომ არაფერი უთქვამს.

პირადად ჩემთვის ამ რადიოს ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა - თუ არ ვცდები, საღამოს ხუთ საათზე (მაშინ საათის ცნობა ჯერ არ ვიცოდი) ვუსმენდი (!) ხოლმე ზუსტი დროის სიგნალებს, რადგან ვიცოდი, რომ ამ სიგნალების შემდეგ მალე, სახლში მშობლები დაბრუნდებოდნენ სამსახურიდან. მაშინ ხომ მთელი ქვეყანა ერთდროულად იწყებდა და ამთავრებდა სამსახურს; ერთდროულად ისვენებდა, ჭამდა სვამდა, ჯვ...და; ყველას ერთნაირი ბინა ჰქონდა, ტანსაცმელი, ინტერესი, გემოვნება...

ეს იყო და ეს - რამდენადაც მახსოვს, ამის შემდეგ ქსელის რადიოს დიდი არაფრით გამოუჩენია თავი. ტრანზისტორულმა მიმღებებმა დაიპყრო მთელი ჩვენი გონება. ეს მიმღებები მაშინ ყველაფერი იყო: სუფთა ჰაერი, თავისუფლება, საზღვარგარეთი, ჩარლსტონი, ტვისტი, როკ-ენ-როლი, და რა თქმა უნდა, კოკა კოლა. მათი მეშვეობით, ყველა განათლებულმა ადამიანმა იცოდა, თუ რამდენი სახეობის ძეხვს აწარმოებდა გერმანია (გფრ), ლუდს - დანია, ვისკის - ინგლისი, ჯინსს - ამერიკა და კიდევ უამრავი სასარგებლო რამ, რის გარეშეც ვერ გაძლებდა ნამდვილი ინტელექტუალური ადამიანი. ერთი სიტყვით, არ მგონია, ტრანზისტორს იმდროინდელი ქართული საზოგადოების გახსნაში დღევანდელ "სოროსის" ფონდზე ნაკლები გაეკეთებინოს.

მიუხედავად იმისა, რომ მამები და შვილები ერთ რადიოს ხმარობდნენ, ისინი მაინც სხვადასხვა მუსიკას უსმენდნენ. მამებს გაუჭირდათ ტრადიციებთან გამომშვიდობება: ისინი სუფრული სიმღერების, ქეიფისა და ფეხბურთის სანახავად სტადიონზე სიარულის - როგორც დროსტარების უმაღლესი ფორმის - ერთგულები დარჩნენ. შვილები უფრო წინ წავიდნენ: გლენ მილერი, ჩები ჩეკერი, ელვის პრესლი..."მოკასინები", "ბუტილკა" შარვლები, ტროპიკული პერანგები - ერთი სიტყვით, "სტილიაგები". დედები? დედები - ისევ სამზარეულო, ქსელის რადიო, მწნილი, გოზინაყი, მკერავებთან ვიზიტები და პანაშვიდებზე სიარული.

მაშინ იმდენად პატარა ვიყავი, ბევრი არაფერი მომეკითხებოდა. ჩემზე 10-15 წლით უფროს რამდენიმე ბიჭთან ერთად კიკეთის ფიჭვნარში "სპიდოლათი" ჩები ჩეკერის Let's Twist Again რომ მოვისმინე, მივხვდი - ორწუთნახევარი (დაახლოებით ამდენ ხანს გრძელდებოდა სიმღერა) ძალიან ცოტა იყო სიმღერიდან სრული კმაყოფილების მისაღებად და მიამიტურად მოვითხოვე: "კიდევ მინდა!" ბიჭებს სიცილი აუტყდათ - ეს მაგნიტოფონი ხომ არ გგონიათ.

მაგნიტოფონი - ეს უკვე ახალი ეტაპი იყო.



ფეხბურთი

# "დერბისიმო"



*შევჩენკომ დანიასთან მატჩამდე ტრავმა უნდა მოიშუშოს.*

"მილანისა" და "ინტერის" შეხვედრა ჩემპიონთა ლიგაში უნებურად 2002/2003 წლების გათამაშების ნახევარფინალს გვახსენებს. იმ დაპირისპირებაში სტუმრად გატანილი გოლის წყალობით "მილანმა" იმარჯვა და შემდეგ ჩემპიონთა ლიგაც მოიგო. ფინალში მან ტურინის "იუვენტუსი" პენალტების სერიაში დაამარცხა. ორივე გუნდი ოცნებობს, ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში ფინალს მიაღწიოს. ამასთან, მილანი ერთადერთი ქალაქია ევროპაში, რომელსაც ევროპის ჩემპიონთა თასის ორი გამარჯვებული ჰყავს.

"მილანს" ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი 6-ჯერ მოუგია და ერთხელაც ფინალში დამარცხდა. "ინტერმა" კი ორჯერ გაიმარჯვა (1964 და 1965 წლებში) და ორი ფინალი წააგო. საყოველთაო ყურადღების ცენტრში ალბათ აღმოჩნდებიან ფეხბურთელები, რომლებიც თავის დროზე ორივე გუნდის ღირსებას იცავდნენ - კლარენს ზეედორფი, ჩემპიოთა თასის სამგზის მფლობელი, აგრეთვე ერნან კრესპო, ანდრეა პირლო, ფრანჩესკო ტოლდო და სხვა.

ბევრს მიაჩნია, რომ 25 მაისს სტამბულში "მილანი" მეშვიდედ მოიგებს პრესტიჟულ ჯილდოს. ამის დასტურად სპეციალისტებს მოჰყავთ "მილანის" შესანიშნავი თამაში როგორც იტალიაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. "ინტერი" დღევანდელი მდგომარეობით ქვეყნის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა. გუნდმა მხოლოდ ერთი მატჩი წააგო და ისიც "მილანთან". პირველი მატჩი კი, რომელიც შარშან ოქტომბერში გაიმართა, ნულოვანი ფრით აღინიშნა.

**"მილანის" დირექტორი უმბერტო განდინი:** "ვოცნებობდით, "ინტერს" არ შევხვედროდით. ჩვენ იმდენად კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, რომ ორივე მატჩი უაღრესად რთული იქნება. ზუსტად ისე, როგორც 2003 წელს. ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ. ფეხბურთელებს მოტივაციის პრობლემა არ ექნებათ. მილანური დერბი ყოველთვის დრამატულია. ეს მატჩი კი ჩემპიონთა ლიგის ფარგლებში გაიმართება, რაც თამაშს სიცხარეს მხოლოდ დაუმატებს".

**"ინტერის" პრეზიდენტი ჯიაჩინტო ფაკეტი:** "ძალიან გვინდოდა, იტალიურ კლუბს არ შევხვედროდით. სამწუხაროდ, არ გამოგვივიდა. მეორე მხრივ, დარჩენილი შვიდივე გუნდი ძალიან ძლიერია, ამიტომ იღბლიან კენჭისყრაზე არც კი ვოცნებობდით. მიმაჩნია, რომ ჩვენი გუნდი კარგ ფორმაშია და ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. ადრიანომ, როგორც იქნა, თავდაჯერებულობა შეიძინა და ამას გარდა, სხვა მაღალი კლასის ფეხბურთელებიც გვყავს. არ ღირს რომელიმე მეტოქის შიში. რამდენიმე კვირის წინათ "მილანთან" ქვეყნის ჩემპიონატის მატჩში დავმარცხდით, მაგრამ მაშინ არ გაგვიმართლა. ამას გარდა, ორი წლის წინათაც წავაგეთ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი მეზობლებთან, რაც გუნდს დამატებით მოტივაციას შესძენს. ერთ-ერთი მილანური კლუბი ფინალამდე მიაღწევს, მაგრამ რომელი - ჯერჯერობით უცნობია".

ასევე უცნობია, ითამაშებს თუ არა "მილანის" სუპერფორვარდი ანდრეი შევჩენკო უკრაინის ნაკრების შემადგენლობაში დანიის წინააღმდეგ. ფორვარდს ტრავმა აწუხებს. უკრაინის ნაკრებს დანიასთან შესახვედრად ოლეგ ბლოხინის ასისტენტები მოამზადებენ. მათ გუნდში იმ ფეხბურთელებს უხმეს, რომლებსაც ბლოხინი ენდობოდა.

"შექმნილი რთული სიტუაციის გათვალისწინებით, გუნდში თავს მოიყრიან ის ფეხბურთელები, ვისაც ბლოხინი იძახებდა. არ იქნება მხოლოდ მთავარი მწვრთნელი. ამ მატჩისთვის გუნდს ჩვენ მოვამზადებთ, - განაცხადა ბლოხინის პირველმა თანაშემწემ ანდრეი ბალმა, - ყველა გადაწყვეტილებას ერთად მივიღებთ. შევეცდებით, გუნდი არ შერცხვეს და დანიასთან ღირსეულად ითამაშოს. როგორი იქნება ჩვენი მომდევნო ნაბიჯები დანიასთან მატჩის შემდეგ, ამის თქმა ჯერჯერობით არ შემიძლია".

# არდადეგები შვებულების წინ

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ გაიმართა ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის 25-ე ტურის მატჩები, რომლის შემდეგაც ეროვნული პირველობა ორკვირიან შვებულებაში გადის და სანაკრებო ბატალიებს უთმობს ასპარეზს. ამ ერთგვარი შუალედური ფინიშის სწორზე წარმატებულ გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ქულების, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში ისეთი სიმჭიდროვეა, ნემსი არ ჩავარდება. თითქოს ამ გარემოებას ლიდერი გუნდების პროვოცირება უნდა გამოეწვია შემტევი თამაშის მიმართულებით, მაგრამ ასე არ მომხდარა. შეიძლება ითქვას, რომ ლიდერებმა ცოტათი უფრო ადრე აიღეს შვებულება, ვიდრე ჩემპიონატის კალენდარი იძლეოდა ამის საშუალებას. ტურში სულ 4 გოლი გავიდა და ისიც მხოლოდ ორ თამაშზე გადანაწილდა, სამი მატჩი კი ნულოვანი ყაიმით დასრულდა.

დაწინაურებული სამეულიდან მხოლოდ ქუთაისის "ტორპედომ" მიაღწია წარმატებას, თანაც, საკმაოდ რთულ ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ გასული სეზონის აღმოჩენა ბოლნისის "სიონი" ამჟამად ცხრილში ბოლოსწინა საფეხურზეა, მისი დამარცხება საკუთარ მოედანზე ერთობ რთული საქმეა. ამის დასტურად თუნდაც წინა ტური გამოდგება, რომელშიც თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" ბოლნისიდან მხოლოდ ქულა წამოიღო და, მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე, შედეგით კმაყოფილი დარჩა. ამჯერადაც საჩემპიონო რბოლაში ჩაბმულ "ტორპედოს" დიდი ძალისხმევა დასჭირდა წარმატების მისაღწევად. ყვითელი ბარათების სიმრავლისა და დისკვალიფიკაციის გამო ოთარ გაბელიას გუნდს ამ მატჩში ვერ ეხმარებოდა "ტორპედოს" საუკეთესო ბომბარდირი გიორგი მეგრელაძე. მის გარეშე დარჩენილი "ტორპედოს" შეტევის ხაზში ლიდერის ფუნქცია ნახევარმცველმა ჯიქიამ იტვირთა. თამაშში გასული ერთადერთი გოლიც მის ანგარიშზეა. ეს მეორე ტაიმის დასაწყისში, 53-ე წუთზე მოხდა. დარჩენილ დროში სტუმრები ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, რასაც კარგად გაართვეს თავი და სამი ქულაც მიითვალეს. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის საგაზაფხულო ნაწილში "ტორპედომ" 7 თამაშში მხოლოდ მეორედ იზეიმა გამარჯვება. თუმცა, ქუთაისელებმა ბოლო სამ მატჩში 7 ქულა დააგროვეს. შეიძლება ითქვას, რომ "ტორპედო" თავს აღწევს კრიზისს. ამ გუნდთან თამაში სულ უფრო გართულდება.

ყველაზე "უხვგოლიანი" მატჩი, რომელშიც ტურში გასული გოლების 75 პროცენტი გავიდა, გორში გაიმართა, სადაც ადგილობრივმა "დილამ" (რომელიც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ქვედა ლიგის ბინადრად) მორიგი შეხვედრა წააგო. ამჯერად მისი მეტოქე იყო აუტსაიდერთა ჯგუფის კიდევ ერთი წევრი, ფოთის "კოლხეთი", რომელიც, მართალია, გასავარდნ ზონასთან ახლოსაა, მაგრამ უძლიერესთა ათეულში ადგილის შენარჩუნების არცთუ ურიგო შანსი აქვს. ზღვისპირელები მაქსიმალურად ცდილობენ ამ შანსის გამოყენებას, რაც გუშინ გორშიც დადასტურდა.

სტუმრები კახიძის გოლით უკვე მე-6 წუთზე დაწინაურდნენ. მართალია, მეორე ტაიმის დასაწყისში, კერძოდ, 51-ე წუთზე, მასპინძელთა გოლეადორმა ჩიტაიამ ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ "კოლხეთმა" მაინც მოახერხა, ასე საჭირო სამი ქულა სატურნირო ყულაბაში ჩაეშვა. გამარჯვების გოლი ფოთელთაგან ტყებუჩავამ გაიტანა 55-ე წუთზე.

ლიდერმა "თბილისმა" ქულები დაკარგა, თუმცა, "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩის ფრედ დამთავრება მაინცდამაინც ურიგო შედეგი არ უნდა იყოს ცაკარიასისა და მისი შეგირდებისთვის. მით უმეტეს, რომ მდევარმა თბილისის "დინამომაც" წაიფორხილა: ეროვნულ სტადიონზე "დინამოსა" და "ლოკომოტივის" დაპირისპირებაც უგოლოდ დასრულდა.

**25-ე ტური**

| | |
|---|---|
| **დინამო (თბ) - ლოკომოტივი** | **0:0** |
| **ვიტ ჯორჯია - თბილისი** | **0:0** |
| **დილა - კოლხეთი** | **1:2** |
| **სიონი - ტორპედო** | **0:1** |
| **დინამო (ბთ) - ზესტაფონი** | **0:0** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 25 | 15 | 5 | 5 | 46-26 | 50 |
| დინამო | 25 | 15 | 4 | 6 | 47-23 | 49 |
| ტორპედო | 25 | 13 | 8 | 4 | 38-20 | 47 |
| ლოკომოტივი | 25 | 10 | 11 | 4 | 33-20 | 41 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 10 | 8 | 7 | 37-28 | 38 |
| ზესტაფონი | 25 | 11 | 3 | 11 | 25-38 | 36 |
| ბათუმი | 25 | 6 | 10 | 9 | 26-22 | 28 |
| კოლხეთი | 25 | 7 | 5 | 13 | 25-35 | 26 |
| სიონი | 25 | 6 | 3 | 16 | 21-48 | 20 |
| დილა | 25 | 3 | 3 | 19 | 16-54 | 9 |

# კარის დარაჯი



*ბუფონს შანსი აქვს ევროპის საუკეთესო მეკარე გახდეს.*

უეფას ოფიციალური საიტის მომხმარებელთა ვერსიით, ტურინის "იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი 2003 და 2004 წლებში სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა და წელსაც დიდი შანსი აქვს, ეს წარმატება გაიმეოროს. გასულ კვირაში ბუფონი "იუვეს" ჩემპიონთა ლიგაში მადრიდის "რეალის" დამარცხებაში დაეხმარა. ამასთან, ტურინული გუნდი იტალიის ჩემპიონატის ლიდერობასაც ინარჩუნებს "მილანთან" ერთად.

მას შემდეგ, რაც 2001 წელს ბუფონი ტურინში გადაბარგდა, კლუბი ერთი წუთითაც არ ნანობს იმ 52 მილიონი ევროს გამო, რომელიც მან "პარმას" გადაუხადა. ბევრი სპეციალისტის აზრით, მსოფლიოს საუკეთესო მეკარე სწორედ ბუფონია. "როგორც ჩანს, ასეთი აღიარება და მაღალი შეფასება მე ბედნიერსა და ამაყს მხდის", - აღიარებს 27 წლის მეკარე.

ბუფონი დიდ ყურადღებას უთმობს თავისი კოლეგების თამაშს ევროპულ ტურნირებზე და მიაჩნია, რომ უახლოეს მომავალში მეკარეების ახალი თაობა გამოჩნდება. "ამ დროისთვის ევროპაში არსებობს უძლიერეს მეკარეთა მთელი რიგი, - ამბობს "იუვეს" კარის დარაჯი, - სტანდარტები უაღრესად მაღალია. საუკეთესოებად პეტრ ჩეხი, დიდა და იკერ კასილასი მიმაჩნია. სწორედ ამ თანმიმდევრობით.

იტალიის ნაკრების ფეხბურთელი გვიამბობს იმ თვისებაზე, რომელიც უბრალოდ კარგ მეკარეს მსოფლიო კლასის ოსტატისგან გამოარჩევს. "მიმაჩნია, რომ მართლა უძლიერეს მეკარეს უნდა შეეძლოს სიმშვიდისა და უსაფრთხოების განცდა გადასდოს თავის პარტნიორებს როგორც კონკრეტული მატჩის მსვლელობისას, ისე მთელი სეზონის განმავლობაში" - ამბობს ბუფონი.

ბუფონმა "იუვენტუსთან" ერთად 2001/2002 და 2002/2003 წლებში "სკუდეტო" მოიგო, როცა გუნდმა, შესაბამისად, 23 და 29 გოლი გაუშვა. ეს კი იტალიის ჩემპიონატისთვის ორივე შემთხვევაში საუკეთესო შედეგი იყო. ამავე პერიოდს ემთხვევა გუნდის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა, სადაც "იუვე" პენალტების სერიაში დამარცხდა "მილანთან".

დიდმა წარმატებებმა ბუფონს საშუალება მისცა, მეკარის ხელოვნების საკუთარი ფილოსოფია ჩამოეყალიბებინა. "როცა გუნდის თამაში იდეალურისგან შორს არის ან მეკარე მუდმივად შეცდომას უშვებს, არავითარ შემთხვევაში პანიკაში ჩავარდნა არ შეიძლება, - აღნიშნავს იტალიელი, - მეკარე თავის პარტნიორებს მუდმივად უნდა მიანიშნებდეს, რომ ის მთელი 100 პროცენტით მზად არის როგორც ფიზიკური, ისე სულიერი თვალსაზრისით".

ასეთი მაქსიმალიზმი ცხადყოფს, თუ რატომ არ მოსწონს ბუფონს მეკარეები, რომლებიც თვითრეკლამის მიზნით მაყურებელზე თამაშს ბოროტად იყენებენ. "მე უპირატესობას ვანიჭებ სოლიდურ მეკარეებს, რომლებიც ტყუილუბრალოდ აკრობატულ ნახტომებს არ აკეთებენ", - თავის პოზიციას აფიქსირებს უეფას ვერსიით ევროპის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელი.

27 წლის ბუფონს საფეხბურთო კარიერისთვის, სულ ცოტა, ათი წელი დარჩა, მაგრამ უკვე დღეს ზუსტად აქვს ჩამოყალიბებული, რა უნდა გააკეთოს საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ. "თუ ფეხბურთში დარჩენა მიწერია, დიდი სიამოვნებით გავხდებოდი მწვრთნელი, - კარტი გახსნა ბუფონმა, - ეს ყოველთვის იყო ჩემი საიდუმლო სურვილი".

მეკარე არც იმას გამორიცხავს, რომ ოდესმე უცხოეთშიც მოსინჯავს ძალებს. "ეს შესანიშნავი გამოცდა იქნება ადამიანისთვის, რომელიც აპირებს, სრულფასოვნად იცხოვროს, - თქვა ბუფონმა, რომლის კონტრაქტიც ტურინის "იუვენტუსთან" 2009 წელს იწურება, - სრულიად შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს სადმე უცხოეთში აღმოვჩნდე".

ეს ყველაფერი მომავალია. დღეს კი ბუფონი ფიქრობს, "იუვესთან" ერთად წლევანდელი სეზონი წარმატებით დაასრულოს. "იტალიელი გახლავართ და ძალიან კარგად ვიცი, რომ ტურინის "იუვენტუსში" თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის კარიერის მწვერვალია. უკვე ოთხი წელიწადია, რაც ტურინში ვარ. აქ დარჩენა შეიძლება ჩემთვის საუკეთესო ვარიანტი იყოს".

## TV-სპორტი

**ორშაბათი. 21 მარტი**

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 უკრაინის ჩემპიონატი. "შახტარი" - "ტავრია"
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. "სარაგოსა" - "ატლეტიკო"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. "მონაკო" - "მარსელი"
18:00 უკრაინის ჩემპიონატი. "არსენალი" - "დინამო"
19:40 სახვალიო ტელეპროგრამა
19:45 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
20:45 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:30 იტალიის ჩემპიონატი. "რომა" - "მილანი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00 პრესცენტრი
10:20 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ინდიანა უელსში. (აშშ). ფინალი
13:15 "საჭადრაკო მიმოხილვა"
13:45 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
14:15 "სარკის წინ"
14:45 ჩვენი ჰოკეი პლუსზე. რუსეთის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. "მეტალურგი" - "ლადა". მესამე მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 პროფესიული კრივი. მენი პაკვიაო - ერიკ მორალეს. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი, "ქრონიკა", სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. დღე პირველი
22:00 "ექო". საინფორმაციო ანალიტიკური არხი
00:00 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
00:30 ახალი ამბები
00:45 ჩვენი ჰოკეი პლუსზე. რუსეთის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. "მეტალურგი" - "ლადა". მესამე მატჩი

**EUROSPORT**

10:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
11:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი სლოვენიაში
11:45 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი რუსეთში
12:30 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი შოტლანდიაში. ქალები. რუსეთი - აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი მოსკოვში
16:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი
17:30 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი შოტლანდიაში. ქალები. შვეიცარია - დანია. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 ფეხბურთი - ევროგოლები
21:00 ფეხბურთი - აი, მესმის!
21:30 სუმო. შეჯიბრება იაპონიაში
22:30 მებრძოლთა კლუბი
01:00 ფეხბურთი - ევროგოლები
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი - აი, მესმის!
02:45 რაილი-რეიდი. არგენტინა
03:15 ახალი ამბები

# "კაჭკაჭები"



*ალან შირერი რეკორდზე მიდის.*

ჯერჯერობით ხმამაღლა საუბარი არ ღირს, მაგრამ, როგორც ჩანს, გრემ სუნესის მეთოდები "ნიუკასლ იუნაიტედის" ყველაზე ორთოდოქს ფანებსაც კი მოსწონთ. არ არის გამორიცხული, "კაჭკაჭებმა" წლევანდელ სეზონში 1969 წლის შემდეგ პირველი ჯილდო მოიგონ.

სუნესისა და ფანების თავდაპირველი ცივი ურთიერთობა გასაგებია. ბოლოს და ბოლოს, სუნესმა "კაჭკაჭებისთვის" უდიდესი ავტორიტეტის სერ ბობი რობსონისგან მიიღო მემკვიდრეობა. თუმცა, ზედიზედ რვა გამარჯვებამ და სწრაფმა სვლამ პირველი ტიტულისკენ, მას შემდეგ, რაც ადამიანი მთვარეზე გაფრინდა, თავისი საქმე გააკეთა. "ლივერპულის" ყოფილი მწვრთნელი, ბოლოს და ბოლოს, შეიყვარეს ნიუკასლში.

ყველაფერი კი უეფას თასის გათამაშებაში ჰოლანდიის "ჰერენვენის" ძლევით დაიწყო. არადა, რომ არ მოეგო ეს მეთექვსმეტედფინალური მატჩი, გრემ სუნესი შეიძლება დღეს უსაქმოდ ყოფილიყო. გულშემატკივარს ხშირად არ ხიბლავდა სუნესის მეთოდები, დროგამოშვებით ფეხბურთელებიც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. იმასაც ამბობდნენ, მწვრთნელს ჩრდილოეთის ანგელოსის თვალი ეცაო (გიგანტური ქანდაკება, რომელიც ქალაქის ჩრდილოაღმოსავლეთ ნაწილში დგას). დრო გვიჩვენებს, იყო თუ არა სუნესისთვის "ჰერენვენთან" გამარჯვება ისეთივე ბედის ჩარხის განმსაზღვრელი, როგორიც 1990 წელს სერ ალექს ფერგიუსონის "მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ინგლისის თასის მესამე წრეში "ნოტინგემ ფორესტის" დამარცხება. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ სუნესს ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე აქვს.

დაუმარცხებელი "ჩელსისა" და "ტოტენჰემის" დამარცხებით "ნიუკასლმა" ინგლისის თასის გათამაშების ნახევარფინალის საგზური გაინაღდა და აპრილში "მანჩესტერ იუნაიტედს" შეხვდება. პრემიერლიგაში "ბოლტონისა" და "ლივერპულის" ძლევით კი კლუბს გაუჩნდა შანსი, მომავალი სეზონისთვისაც უეფას თასის საგზური მოიპოვოს. თუმცა, უფრო დიდ წარმატებას სუნესის შეგირდებმა უეფას თასზე მიაღწიეს. საბერძნეთის "ოლიმპიაკოსის" განადგურებამ "კაჭკაჭები" უეფას თასის უმთავრეს ფავორიტად აქცია.

ამდენად, 36-წლიანი პაუზის შემდეგ "ნიუკასლი" ერთბაშად ორი ტიტულისთვის იბრძვის, თუმცა, ოთხშაბათს "სენტ ჯეიმს პარკზე" ამაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. საქმე ის არის, რომ იმ დღეს გუნდი ევროტურნირებზე თავის მე-100 შეხვედრას მართავდა და ეს იუბილე "კაჭკაჭებმა" ღირსეულად აღნიშნეს. სუნესმაც კი, რომელიც შეუვალი ხასიათით გამოირჩევა, აღიარა, რომ ბოლო 7 თვის განმავლობაში, რაც ნიუკასლში გადავიდა, ყველაზე ბედნიერი წამები იგემა. "ეს ჩვენი გუნდისთვის დიდებული პერიოდია, - განაცხადა 51 წლის სპეციალისტმა, - "ოლიმპიაკოსის" შემთხვევაში მოვახერხეთ და მრისხანე მეტოქე სტატისტის როლში დავტოვეთ. ჩვენ ყოველი მატჩისთვის ვემზადებით და ვიდრე ეს მატჩი არ მოახლოებულა, მასზე არ ვფიქრობთ".

შეუძლებნელია "ნიუკასლის" ესოდენ შთამბეჭდავ თამაშს არ გაეხარებინა გუნდის ლიდერი, ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ალან შირერი. "ოლიმპიაკოსთან" მატჩში მან წლევანდელ სეზონში მე-17 და მე-18 გოლები გაიტანა და 9 ნაბიჯზე მიუახლოვდა ლეგენდარული ჯეკი მილბერნის რეკორდს - 200 გოლი კლუბის ისტორიაში. შირერი მუდმივად თამაშს არ აპირებს და განზრახული აქვს, საფეხბურთო კარიერა წლევანდელი სეოზნის ბოლოს დაასრულოს. სათასო გამარჯვებები კი მის კარიერას მხოლოდ ახანგრძლივებენ.

თუ შირერი მილბერნის რეკორდს მოხსნის ან გუნდი 1969 წლის შემდეგ (როდესაც "კაჭკაჭებმა" ბაზრობათა თასი მოიგეს) პირველ თასს მოიპოვებს, მაშინ სუნესს შეეძლება ისაუბროს თავისი კარიერის უმნიშვნელოვანეს პერიოდზე. თუმცა, უფრო მეტს თავად სუნესზე ისაუბრებენ.

რაგბი

# შვიდკაცამ თორმეტში გაარტყა

პაატა თოთაძე

ერთობ დატვირთული გამოდგა ეს უქმეები მსოფლიო რაგბიში. საქართველოს ნაკრები შვიდკაცაში ჰონკონგშია მსოფლიო თასზე. ერთა თასზე ჩვენმა მეტოქეებმა გამართეს თამაშები, უელსმა კი "ექვსი ერი" მოიგო და 1978 წლის შემდეგ პირველად მოიპოვა დიდი სლემი.

ჰონკონგის ამბებით დავიწყოთ, სადაც ტურნირის პირველ დღეს საქართველოს ნაკრებმა სამივე მატჩი წააგო და ჯგუფიდან გასვლის შანსი დაკარგა. მეორე დღეს ბორჯღალოსნებმა იტალიასთან ფრედ - 17:17 ითამაშეს, ტაიპეის ანუ ტაივანს კი 27:21 მოუგეს და სინისთვის ბრძოლაში ჩაებნენ. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენთან ერთად ჯილდოსთვის ირლანდია, სამოა და პორტუგალია იბრძოდნენ, მისი მოპოვების შანსი ძალზე მცირე იყო. მეოთხედფინალში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს ვძლიეთ 24:0, ნახევარფინალში კი პორტუგალიას გადავეყარეთ და 5:29 დავმარცხდით. ბოლო ოთხი წლის მანძილზე პორტუგალიელებმა დიდი პროგრესი განიცადეს, მეტადრე შვიდკაცაში, რაც აისახება კიდეც შედეგებზე. ჰონკონგში ნაჩვენები შედეგებიდან გამომდინარე, წინა მსოფლიო თასის შემდეგ ჩვენმა მეტოქეებმა ჯგუფში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადეს, რასაც ვერ იტყვი საქართველოს ნაკრებზე. საფრანგეთი და ტაიპეი წინა მსოფლიო თასზეც ჩვენი მეტოქეები იყვნენ. ფრანგებს მაშინ 19:12 მოვუგეთ, ჩინელებს კი - 24:0. ვუგებდით უელსსაც. ახლა კი რა ხდება - საფრანგეთი ლამის უპრობლემოდ გვამარცხებს, ჩინელებს კი რის ვაი-ვაგლახით ვუგებთ. პორტუგალიაზე საუბარიც ზედმეტია. არადა, ორი წლის წინანდელი მახსენდება: კლოდ სორელი წინა მსოფლიოზე ნაჩვენები შედეგის გაუმჯობესებას გვპირდებოდა, თუ საქართველოს ნაკრებში მუშაობის შესაძლებლობა ექნებოდა. დღეს სორელი ტუნისის ნაკრებს წვრთნის და ამ გუნდთან ერთად აღწევს წარმატებას. ჯგუფურ ეტაპზე ტუნისელებმა სამხრეთაფრიკელები დაამარცხეს. მართალია, ჯგუფიდან ვერ გავიდნენ, მაგრამ მათთვის მსოფლიოზე მოხვედრაც წარმატებაა. არაფერს ვამბობთ სინისთვის ბრძოლაზე და იმაზე, რომ რუსებს 40:7 მოუგეს, პორტუგალიასთან კი 12:21 დამარცხდნენ. ისიც იმის გამო, რომ ტუნისელები ორჯერ ბავშვურად შეცდნენ დაცვაში, ერთმანეთს ელოდებოდნენ, ვინ დაიჭერდა მეტოქეს. ერთი სიტყვით, დასკვნა ისაა, რომ წინა მსოფლო თასის შემდეგ საქართველოს ნაკრებს პროგრესი არ განუცდია. ეს, ბუნებრივია, ცუდია, თუმცა, ქართული რაგბის პრობლემებიდან გამომდინარე, გასაკვირი ალბათ არ უნდა იყოს. დღეს იმით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ გუნდმა რეგრესი არ განიცადა და სინისთვის ბრძოლაში ნახევარფინალამდე მიაღწია. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მე-11 - მე-12 ადგილები გაიყო რუსეთის ნაკრებთან.



წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა პროგრესი ვერ განიცადა.

ჩემპიონი კი ფიჯის ნაკრები გახდა. კუნძულელებმა ფინალში ახალი ზელანდიის გუნდი დაამარცხეს 29:19. სინი სამოას ერგო ფინალში პორტუგალიის დამარცხებით - 29:7, ფიალა კი იტალიას, რომელმაც კანადას აჯობა - 7:5.

ახლა ევროპის ერთა თასზე გადავინაცვლოთ, სადაც ორი მატჩი გაიმართა. რუმინეთმა ჩვენთან დამარცხების შემდეგ უკრაინაზე იძია შური - 97:0, ჩეხეთმა კი პრაღაში რუსეთის ნაკრებს 11:7 სძლია.

რაც შეეხება ჩრდილო ნახევარსფეროს უმთავრეს სარაგბო შეჯიბრებას, "ექვსი ერი" წლეულს უელსმა მოიგო, თანაც, ისე, რომ ყველა მატჩში იმარჯვა, ანუ დიდი სლემი აიღო. ბოლო მატჩი, რომელიც, სპეციალისტთა თავდაპირველი ვარაუდით, ერთგვარი ფინალი უნდა ყოფილიყო, უელსმა ირლანდიას 32:20 მოუგო. ეს თამაში ბევრს არაფერს წყვეტდა, რადგან ირლანდიელებმა პირველობის შანსი წინა ტურში ფრანგებთან მარცხით დაკარგეს. თავის მხრივ, ფრანგებმა, რომლებმაც საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავეს, სტუმრად იტალიას მოუგეს - 56:13, ინგლისმა კი შოტლანდიას სძლია - 43:22.

ფორმულა 1

# ფრანგულ საჯინიბოში აღარ ხუმრობენ

გიგა გურასაშვილი

*რაღაც ხდება. სამეფო რბოლების ახლახან დაწყებული მსოფლიო ჩემპიონატი წინამორბედებს არ ჰგავს. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, "ავსტრალიის დიდი პრიზის" მსგავსად, მალაიზიაშიც სამეულს მიღმა დარჩა. ისევე როგორც "მელბურნ პარკის" ტრასაზე, "სეპანგზეც" ფრანგული საჯინიბოს პირმშომ "რენომ" გაიმარჯვა. ოღონდ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე იტალიელი ჯანკარლო ფიზიკელას ნაცვლად ესპანელი ფერნანდო ალონსო ავიდა.*



ფერნანდო ალონსომ ეს-ესაა მალაიზიის დიდი პრიზი მოიგო.

"ფერარი" მიხაელ შუმახერისა და რუბენს ბარიკელოს მემკვიდრეთა ძიებაშია. მალაიზიაში განცდილი კატასტროფის (სწორედ ამ ეპითეტით შეამკეს სკუდერია და "ბრიჯსტოუნი") შემდეგ, ცხადია, იტალიური საჯინიბო უფრო საფუძვლიანად იფიქრებს გუნდის მომავალზე. აშკარაა: "ფერარის" თავზე საავდრო ღრუბლები გროვდება. მართალია, "სეპანგის" ავტოდრომზე წარუმატებლობის მიზეზს იტალიელები "ბრიჯსტოუნის" საბურავებში ხედავენ, თუმცა, სკუდერიას მაინც თადარიგი დაუჭერია და მომავლის პილოტებზე - ახალგაზრდებზე ამახვილებს ყურადღებას.

"პირადად მე გუნდში დიდი სიამოვნებით მოვიწვევდი კიმი რაიკონენსა ("მაკლარენ-მერსედესი") და ფერნანდო ალონსოს, - ამბობს სკუდერიელთა მთავარი კონსტრუქტორი რორი ბირნი. - მათ პირადად არ ვიცნობ. არც ის ვიცი, რამდენად მოერგებოდნენ გუნდს, იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონები არიან".

თუ იტალიაში გავრცელებულ ხმებს ვენდობით, შესაძლოა, ალონსო გაისადვე გადავიდეს "ფერარიში", თუ, რა თქმა უნდა, ახლანდელი პილოტებიდან რომელიმე წავა გუნდიდან. მხოლოდ ის არის საინტერესო, ალონსო ისურვებს თუ არა "რენო" "ფერარიზე" გაცვალოს, რადგან აშკარაა, რომ ფრანგული საჯინიბო აღმავლობის გაზაზეა. ფრანგებმა შარაშან და შარშანწინაც რამდენჯერმე გამოაჩინეს ბრჭყალები.

როგორც არ უნდა იყოს, დღეს მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად "რენო" ითვლება - ფრანგულმა საჯინიბომ ზედიზედ მეორე რბოლა მოიგო. "მალაიზიის დიდი პრიზის" გუშინდელ ტრიუმფატორს "სეპანგის" ტრასის ოსტატის სახელი აქვს დაგდებული.

"ჩემთვის, როგორც მრბოლისთვის, "სეპანგი" მსოფლიოს საუკეთესო ტრასაა. მომწონს მისი მოსახვევები, რომლებიც "სპას" ("ბელგიის დიდი პრიზის" ასპარეზი) ჰგავს. მომწონს სწრაფი კვანძები, ნელი მონაკვეთები. ტრასა ძალიან განიერია და აქ რბოლა მთელი სიამოვნებაა".

...რბოლა ყოველგვარი შემთხვევების გარეშე დაიწყო. ეტყობა, ახალი რეგლამენტის გამო მრბოლებმა ფრთხილად დაწყება არჩიეს.

სტარტიდანვე ლიდერის პოზიცია შეინარჩუნა ალონსომ და ნელ-ნელა მდევრებს - იარნო ტრულისა ("ტოიოტა") და თანაგუნდელ ჯანკარლო ფიზიკელასაც დაუსხლტა. "ფერარიმ" პოზიციის მოგება ვერ შეძლო, თუმცა, ბარიკელო ბევრად უფრო აქტიურად გამოიყურებოდა, ვიდრე შუმახერი. მიზეზი ის იყო, რომ რუბენსმა "ბრიჯსტოუნის" მსუბუქ საბურავებს მიანიჭა უპირატესობა, მაშინ როდესაც მიხაელმა ხისტი საბურავები ამჯობინა.

პირველ პიტ-სტოპამდე რბოლა მონოტონურად მიმდინარეობდა. ფიზიკელას ბოლიდს აშკარად უჭირდა ლიდერთა ტემპის შენარჩუნება. საკუთარ ჩამორჩენას კი იმით ხსნიდა, რომ ბალანსთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა. რაიკონენი, რომელსაც თავიდანვე ეტყობოდა, რომ ჩასათვლელ პოზიციაზე გასვლა არ უნდა გასჭირვებოდა, შანსი მას შემდეგ დაკარგა, რაც ერთ-ერთ მოსახვევში უკანა მარჯვენა საბურავი გაუსკდა და ბოქსებამდე სამ ბორბალზე თითქმის მთელი წრე იარა.

საგულისხმოა, რომ "ფერარი" ბარიკელოზე აკეთებდა აქცენტს. ამბობენ, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, გუნდის ინტერესებმა წინა პლანზე წამოიწია, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტაქტიკა მიხაელ შუმახერის ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდისო.

"მალაიზიის დიდ პრიზამდე" ზოგიერთები რიტორიკულად კითხულობდნენ: საინტერესოა, 2005 წლის რბოლაში სკუდერია ისევ ჩემპიონს დაუჭერს მხარს თუ ბარიკელოზე ააგებს ტაქტიკასო.

ბარიკელოს მიერ არჩეულმა მსუბუქმა საბურავებმა არ გაამართლა. ბრაზილიელის ბოლიდს "რედ ბულის" პილოტებმაც გაუსწრეს. მოვლენათა ასეთი განვითარების შემდეგ "ფერარიმ" უმალ შუმახერის სასარგებლოდ შეცვალა ტაქტიკა.

ერთი სიტყვით, გუშინდელი რბოლის ბატონ-პატრონი იყო "რენოს" ესპანელი მრბოლი, რომელიც მშვენივრად აკონტროლებდა ტრასაზე ვითარებას და დამსახურებულად გაიმარჯვა, თუმცა, ერთხანს სერიოზული პრობლემის წინაშე იდგა. ბოლიდი რბოლისას წარმოუდგენლად ცხელდება, პილოტები კი ოფლად იღვრებიან. ამიტომ მათ წინასწარ ამარაგებენ სასმელი წყლით. ესპანელმა კი ნახევარი რბოლა ისე გაიარა, პიტ სტოპზე გასვლამდე წვეთიც არ დაულევია. საქმე ისაა, რომ პლასტიკური ბოთლი ისე საგულდაგულოდ დაეხურათ, ტრიუმფატორმა მისი გახსნა ვერ შეძლო.

ფრანგულ საჯინიბოში სიხარული ბევრად უფრო მასშტაბური იქნებოდა, რომ არა ფიზიკელას შეჯახება უილიამსელ მარკ ვებერთან, რაც იმით დასრულდა, რომ ორივე მრბოლმა 36-ე წრეზე შეწყვიტა ასპარეზობა.

რაც შეეხება შუმახერს, მან მე-13 პოზიციიდან აიღო სტარტი და მეშვიდემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას: მეშვიდე საფეხურამდე ძირითადად იმის წყალობით დაწინაურდა, რომ მის წინ მყოფ მეტოქეებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ.

სკუდერიელები ახლა ახალ ბოლიდზე - F2005 ამყარებენ მთელ იმედებს. ამბობენ, მისი დებიუტი "ბაჰრეინის დიდ პრიზზე" შედგებაო.

**"მალაიზიის დიდი პრიზი". 56 წრე**

1. ფერნანდო ალონსო ("რენო")
2. იარნო ტრული ("ტოიოტა")
3. ნიკ ჰაიდფელდი ("BMW-უილიამსი")
4. ხუან პაბლო მონტოია ("მაკლარენ-მერსედესი")
5. რალფ შუმახერი ("ტოიოტა")
6. დევიდ კულტჰარდი ("რედ ბული")
7. მიხაელ შუმახერი ("ფერარი")
8. კრისტიან კლიენი ("რედ ბული")

**კონსტრუქტორთა ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. "რენო" | 26 |
| 2. "ტოიოტა" | 13 |
| 3. "რედ ბული" | 11 |
| 4. "ფერარი" | 10 |
| 5. "BMW-უილიამსი" | 10 |
| 6. "მაკლარენ-მერსედესი" | 9 |

BRITISH AIRWAYS

მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ 24საათის და მისი პარტნიორი ავიაკომპანია ბრითიშ ეარვეისის ვიქტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

ქვემოთ მოყვანილი კითხვებისათვის შეარჩიეთ სწორი პასუხი, ამოჭერით გაზეთის პერფორირებული ნაწილი და დააბრუნეთ ბრითიშ ეარვეისის თბილისის ოფისში (მისამართი: თავისუფლების მოედანი 4, [illegible] პლაზა 0105, თბილისი; ტელ: 94 07 19/20) 2005 წლის 12 აპრილის 17:00 საათამდე. სწორი პასუხები გაითამაშება ლატარეაში, მომგებელი დაჯილდოვდება ბრითიშ ეარვეისის თბილისი-ლონდონი-თბილისის ორი ბილეთით.

ლატარიის გათამაშება მოხდება 2005 წლის 15 აპრილს, 17:30 საათზე სასტუმრო ქორთიარდ მარიოტის შენობაში. გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად მოგიწვევთ ტელეფონით.

ინფორმაცია ვიქტორინის მონაწილის შესახებ:

სახელი, გვარი

ასაკი

ტელეფონ(ებ)ი

სამსახურის ტელეფონი (აუცილებელი არ არის)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

* გაზეთ "24 საათის" და ბრითიშ ეარვეისის თანამშრომლებს ვიქტორინაში და ლატარიაში მონაწილეობის მიღების უფლება არ ეძლევათ.

1. კვირაში რამდენ რეისს განახორციელებს ბრითიშ ეარვეისი თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
   1. კვირაში ერთ რეისს
   2. კვირაში სამ რეისს
   3. ყოველდღიურ რეისებს

2. კვირის რომელ დღეებში განხორციელდება ბრითიშ ეარვეისის რეისები თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
   1. ყოველ სამშაბათს
   2. ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და შაბათს
   3. ყოველდღე

3. დღის რომელ მონაკვეთში შესრულდება ბრითიშ ეარვეისის რეისები თბილისსა და ლონდონს შორის?
   1. დილით
   2. საღამოს
   3. შუაღამისას

4. ბრიტანეთის რომელ აეროპორტში მოფრინავს ბრითიშ ეარვეისი თბილისიდან?
   1. ლონდონი-გატვიკი
   2. ლონდონი-ჰითროუ
   3. ლონდონი-ლუტონი

5. რომელი ტიპის თვითმფრინავებით ხორციელდება თბილისი-ლონდონი - თბილისის რეისები?
   1. აერობუსი 320
   2. ბოინგ 747
   3. კონკორდი

6. კვირაში რამდენი დღის განმავლობაში ღიაა ბრითიშ ეარვეისის თბილისის ოფისი?
   1. ხუთი
   2. ექვსი
   3. შვიდი

7. სად მდებარეობს ბრითიშ ეარვეისის თბილისის ოფისი?
   1. სასტუმრო შერატონ-მეტეხი-პალასში
   2. ლესელიძის 44-ში
   3. სასტუმრო ქორთიარდ-მარიოტის მიმდებარე [illegible] პლაზაში

8. დაასახელეთ რეისის ხანგრძლივობა თბილისსა და ლონდონის ჰითროუს აეროპორტს შორის.
   1. ხუთი საათი
   2. ცხრა საათი
   3. თორმეტი საათი

9. რამდენი სამგზავრო კლასია აერობუს 320-ის სალონში თბილისი-ლონდონი- თბილისი რეისებზე?
   1. ერთი ეკონომ-კლასი
   2. ერთი ბიზნეს-კლასი
   3. ორი ეკონომ-კლასი (World Traveller) და ბიზნეს-კლასი (Club World)

10. დაასახელეთ ბრითიშ ეარვეისის პარტნიორი ავიაკომპანია, რომელიც უშუალოდ ახორციელებს თბილისი ლონდონი-თბილისის რეისებს.
   1. BMED (რომელსაც ადრე ეწოდებოდა ბრითიშ მედიტერანეან ეარვეისი)
   2. GB ეარვეისი
   3. კომეარი

ნეგატივი



ნინო ტიკარაძე

### დიდი ფეხბურთიდან - დიდ ტელევიზიაში

ინგლისური კლუბის "ნიუკასლის" პრეზიდენტს ფრედი შეფერდს გულზე სევდა შემოსწოლია - ნეტა იცოდეთ, რამდენს ეცადა, რომ ალან შირერს ფეხბურთიდან წასვლა (სეზონის დამთავრებამდე მაინც) გადაეფიქრებინა. შეფერდს იმედი ჰქონდა, რომ 34 წლის თავდამსხმელი კიდევ ერთ წელიწადს დარჩებოდა კლუბში. მას ხომ მხოლოდ ცხრა ბურთი სჭირდებოდა იმისთვის, რომ ჯეკი მილბერნის რეკორდი გაეუმჯობესებინა - 200 ბურთი "ნიუკასლისთვის".

მაგრამ, როგორც ჩანს, შირერს ოდნავაც არ აღელვებს (უფრო უხეშადაც შემეძლო მეთქვა!) "ნიუკასლის" რეკორდები.

რა რეკორდი, რის რეკორდი. გარკვევით თქვა, "დიდი ფეხბურთიდან მივდივარო". ოღონდ ის აღარ დაამატა, რომ მიდიოდა, სად მიდიოდა.

სად და... ტელევიზიაში. ახალახან ცნობილი გახდა, რომ თავდამსხმელი, კლუბისგან საიდუმლოდ, გგჟ-ის ხელმძღვანელობასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას.

ახლა კი შირერი სპორტული პროგრამა "დღის მატჩის" წამყვანობისთვის ემზადება.

სხვათა შორის, ალან შირერისთვის ტელევიზია უცხო არაა. იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდება ხოლმე ტელეკამერების წინ ფეხბურთის ექსპერტის რანგში. რაც მთავარია, ამას პრაქტიკულად უსასყიდლოდ აკეთებს.

ახლახან კი შირერს წინ დაუდეს სრულყოფილი კონტრაქტი, ისეთი, როგორზეც ბევრი ტელევარსკვლავი იოცნებებდა. ერთი ხელის მოწერა უნდა, სხვა არაფერი (თუ, რა თქმა უნდა, უკვე მოწერილი არა აქვს).

გადაცემა "დღის მატჩს" წამყვანებად ჰყავს წარსულში ცნობილი ფეხბურთელები გარი ლინეკერი, პეტერ შმეიხელი, ალან ჰანსენი და მარკ ლორენსონი. თუმცა, შირერს მათზე მეტი ხელფასი ექნება. ამის მიზეზი "Mirror"-თან საუბრისას ახსნა გგჟ-ის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა. მისი თქმით, შირერზე კეთდება ძირითადი ფსონი, რადგან "ეს ადამიანი საკმაოდ მიზანმიმართულია, ამიტომ სასურველ შედეგს ყოველთვის აღწევს".

ამის შემდეგ შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ: "ნიუკასლის" პრეზიდენტს სხვა რა დარჩენია, თუ არა ის, რომ შირერის წასვლას შეეგუოს.

### უეინ რუნის საცოლე Vogue-ის ფურცლებზე

ბევრჯერ გესაუბრეთ "მანჩესტერ იუნაიტედის" ბომბარდირის უეინ რუნისა და მისი საცოლის კოლინ მაკლაფლინის საინტერესო ერთობლივი ცხოვრების შესახებ. თუმცა, ახლა მხოლოდ გოგონაზე მინდა მოგაწოდოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

საერთოდ, მე სპორტსმენებზე, მათი ცხოვრების საინტერესო, ხანდახან კი უინტერესო ცხოვრების დეტალებზე მევალება წერა, მაგრამ ამჯერად ფეხბურთელს, ჩვენს შემთხვევაში, უეინ რუნის, თქვენი ნებართვით, გვერდზე გადავდებ.

საქმე ის გახლავთ, რომ მალე ფეხბურთელის რჩეული პოპულარულ ჟურნალ Vogue-ში გამოჩნდება. ეს ფაქტი იმის გამო გახლავთ ყურადსაღები, რომ, როგორც წესი, Vogue-ის ფურცლებზე ხვდებიან ხოლმე ისეთი ცნობილი ქალბატონები, როგორებიც არიან ჯენიფერ ლოპესი, გვინეტ პელტროუ, კეიტ უინსლეტი... ჟურნალი თინეიჯერებთან საქმის დაჭერას ერიდება (მისი სტილი არ არის!).

მაგრამ, როგორც ხედავთ, კოლინის შემთხვევაში მოდების ჟურნალმა სტილს უღალატა, რადგან 18 წლის გოგონას გადაღება გადაწყვიტა.

გაირკვა, რომ ბრიტანული ჟურნალის რედაქტორს ალექსანდრ შულმანს რამდენიმე ხნის წინათ ლონდონის ერთ-ერთ რესტორანში შეუნიშნავს კოლინი და მისი სილამაზით აღფრთოვანებულა.

ბევრი ფიქრის შემდეგ რედაქტორმა გადაწყვიტა, მისთვის საქმიანი წინადადებით მიემართა.

და აი, ლივერპულის ერთ-ერთ ღამის კლუბში უეინ რუნისთან ერთად მისულ კოლინს შულმანის წარმომადგენლებმა პროფესიონალური კონტრაქტი შესთავაზეს და თანხმობაც მიიღეს.

ეს არის და ეს.

### მამაცი მსაჯი

ფეხბურთის მატჩის დროს თუ მის შემდეგ გამართული მუშტი-კრივით ველარავის გააკვირვებ. გულშემატკივრების ერთმანეთთან ან ფეხბურთელებთან ჩხუბი ხომ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა, ათასში ერთხელ ფეხბურთის მოედანზე არაჩვეულებრივი რამეებიც ხდება.

ასე მოხდა ბრაზილიის ჩემპიონატის "ამერიკასა" და "ატლეტიკო მინეიროს" მატჩის დროს, უფრო სწორად, მისი დამთავრების შემდეგ. მატჩი საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობდა. მთავარმა მსაჯმა ლუის კარლოს სილვამ სამი ფეხბურთელი წითელი ბარათით "დაასაჩუქრა" (წითელ ბარათს რაც მოჰყვება ხოლმე, ეს უჩემოდაც მოგეხსენებათ). მატჩი "ამერიკის" გამარჯვებით (1:0) დამთავრდა.

მატჩის დამთავრებისთანავე, სად იყო და სად არა, მოედანზე "ატლეტიკოს" გულშემატკივარი გამოვარდა და მუშტმოღერებული პირდაპირ მთავარ მსაჯს ეცა. იქ მყოფთა გასაკვირად, სილვამ, რომელიც თავდამსხმელზე უფრო ტანმორჩილი და გამხდარიც იყო, "შენ ვის გაუბედე დარტყმაო", ხულიგანს სახეში რამდენჯერმე ჩაარტყა მუშტი. ხელჩართული ბრძოლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ამასობაში გარშემომყოფებიც გამოფხიზლდნენ და მოჩხუბრები გააშველს. "ატლეტიკოს" ფეხბურთელებმა სცადეს, თავიანთი გულშემატკივარი პოლიციისგან დაეცვათ, მაგრამ ამაოდ. ხულიგანი პირდაპირ პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანეს.

მომხდარის შემდეგ საკუთარი საქციელით ფრიად კმაყოფილი იყო მთავარი მსაჯი.

"თუ კვლავაც ამის გაკეთება მომიწევს, უკან არ დავიხევ და იმასვე ვიზამ, რაც ახლახან გავაკეთე. მას შეეძლო ისე ვეცემე, რომ მსაჯობა ველარ მომეხერხებინა. არადა, ხუთი შვილი მყავს გასაზრდელი. ვიგრძენი, რომ აუცილებლად უნდა დამეცვა თავი და დავიცავი კიდეც. შემეძლო გავქცეულიყავი, მაგრამ ეს არ იქნებოდა ღირსეული საქციელი. არ მინდა, ვინმეს თვალში დავმცირდე. სხვა თუ არაფერი, თამაშს პირდაპირ ეთერში ჩემი შვილები უყურებდნენ," - განაცხადა მამაცმა მსაჯმა.

სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია, რომელს უფრო მეტი მოხვდა. ძალიან კი მაინტერესებს.

### სული შეეხუთა, მუხლები მოეკვეთა, გულისცემა შეუჩერდა...

იტალიური კლუბის "მილანის" თავდამსხმელს ფილიპო ინძაგის, რომელიც მუხლის ტრავმის შემდეგ თანდათანობით ჩვეულ ფორმას იბრუნებს, ტრფიალის ახალი ობიექტი გაუჩნდა. უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ფეხბურთელი საშინელ მარტოობას განიცდიდა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მოკლე ხანში ინძაგის მარტოობას ბოლო უნდა მოეღოს.

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა ცნობილმა სპორტსმენმა თავის მოსაწყენ ცხოვრებაში სახალისო შტრიხის შესატანად, მოდების ჩვენებაზე წასვლა გადაწყვიტა. წავიდა კიდეც. ჰოდა, იქ მოხდა, რაც მოხდა. როცა ფილიპოს ერთი, მეტად ახალგაზრდა მოდელის დანახვაზე კინაღამ გული გაუჩერდა და სუნთქვაც შეეკვრა, მაშინ მიხვდა, რომ ის "ის" იყო.

ეს მოდელი ცნობილი მსახიობის ნასტასია კინსკის 17 წლის ქალიშვილი სონია კინსკი აღმოჩნდა.

ფეხბურთელს გოგონას გაცნობა არ გასჭირვებია. ახალგაზრდებმა საღამო ტკბილ ბაასში გაატარეს. თუმცა, იმას კი ვერ მიხვდნენ, რომ ჟურნალისტებს ახალი საკბილო მისცეს. მედიის წარმომადგენლების დიდი მონდომების წყალობით, ცნობილი გახდა, რომ გაცნობიდან რამდენიმე დღეში წყვილმა ჯერ მილანის ქუჩაში გაისეირნა, შემდეგ კი რესტორანში სავახშმოდაც გაეშურა.

ჯერჯერობით, ჩანს, რომ ფილიპოსა და სონიას მხოლოდ მეგობრული გრძნობა აკავშირებთ ერთმანეთთან, თუმცა, ისიც აშკარაა, რომ ფეხბურთელს გაცილებით უფრო შორეული გეგმები აქვს - ხანდახან გულში იკრავს მოდელს და თმაზეც ეალერსება (როგორ გგონიათ, გამორჩებოდა ეს ნიუანსები ჟურნალისტების მახვილ თვალს?)

მაგრამ არსებობს ერთი პატარა პრობლემა: სონია კინსკი თავისი თაყვანისმცემლისგან საკმაოდ შორს ცხოვრობს - ამერიკაში. თუმცა, სამუშაოს გამო მას ხშირად უწევს იტალიაში ყოფნა. თუ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ფილიპო ინძაგის აქვს ჩაფიქრებული, სონიას იტალიაში სტუმრობა კი არა, გადასახლებაც მოუწევს.

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# ენერგოსექტორის დერეგულირების საკითხი კვლავ აქტუალურია

*საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ელექტროენერგეტიკის დარგის ინსტიტუციური დერეგულირებისა და პრივატიზების სტრატეგია სპეციალურმა 8-კაციანმა კომისიამ უნდა შეიმუშაოს, რომელიც უახლოეს მომავალში ჩამოყალიბდება. კომისიას პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა თავად უნდა უხელმძღვანელოს.*
*მანამდე კი, ენერგოსექტორის სუბიექტები მთავრობას დარგის განვითარების თაობაზე თავიანთ მოსაზრებებს სთავაზობენ.*
*საბითუმო ბაზარმა "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრს" მოაწოდა ბაზრის ორმხრივი ხელშეკრულების მოდელად გარდაქმნის სტრატეგია, რომელსაც ბაზრის ესპანელი მენეჯერები მთავრობას სთავაზობენ. დღეს საშუალება გექნებათ, ამ სტრატეგიის შემოკლებულ ვარიანტს გაეცნოთ.*

ბაზრის ახალი მოდელი გულისხმობს მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ორმხრივ ხელშეკრულებებზე დამყარებულ ურთიერთობებზე გადასვლას. ბაზრის მიერ შემოთავაზებულია სტრუქტურული შენაცვლების სტრატეგია, სადაც რისკის ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი. აქ აღწერილია ორმხრივი ხელშეკრულებებით ჩამოყალიბებული ტიპური გარემო და წინ არის წამოწეული საკითხები, რომლებიც უკავშირდება საქართველოში არსებულ ვითარებას. აქვე განმარტებულია ალტერნატიული, ერთი მყიდველის მოდელი, როგორც კონკურენტუნარიან ბაზარზე გადასვლის სტრატეგია.

## ორმხრივი ხელშეკრულებების მოდელი

ორმხრივი ხელშეკრულებების მოდელი არის ფუნქციონირების მეთოდი, რომელშიც ენერგიის ყიდვა-გაყიდვის მართვა ხდება მყიდველებსა და გამყიდველებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით ელექტროენერგიის შესყიდვაზე. მყიდველი სრულ პასუხისმგებლობას იღებს საწარმოსათვის საჭირო მთელი ენერგიის შესყიდვაზე ყველაზე ხელსაყრელ ფასში, რაზეც კი შეიძლება მოლაპარაკება. მყიდველები ძირითადად იქნებიან გამანაწილებელი კომპანიები, მსხვილი საწარმოები ან ექსპორტის სააგენტოები. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში როლები შეიძლება შეიცვალოს. მომხმარებლები შეიძლება იყვნენ ელექტროენერგიის გამყიდველები, რომლებმაც საჭიროზე მეტ ენერგიაზე გააფორმეს ხელშეკრულება მოცემული პერიოდისათვის; მწარმოებლები შეიძლება გახდნენ ენერგიის მყიდველები, თუკი მათ უფრო მეტ ენერგიაზე გააფორმეს ხელშეკრულება, ვიდრე შეუძლიათ გამომუშავება მოცემულ პერიოდში ან როცა გააცნობიერებენ, რომ ენერგიის შესყიდვა შეუძლიათ უფრო იაფად, ვიდრე ეს საკუთარ წარმოებაში უჯდებათ. ბაზრის ლიკვიდურობის და ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკის მიხედვით, ეს შეიძლება განგებ შერჩეული სტრატეგია იყოს ან საბოლოო პოზიციის "მორგების" მეთოდი, რათა თავიდან იყოს აცილებული დამაბალანსებელ ბაზართან დაკავშირებული რისკი. ის ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც იმპორტისა და ექსპორტის სააგენტოები, ასევე განახორციელებენ ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვას. უკვე განვითარებულ ბაზარში მონაწილეობას მიიღებენ ელექტროენერგიით დამოუკიდებელი მოვაჭრეები.

ამ მოდელში სხვადასხვა მოცულობის ენერგიაზე სხვადასხვა დღესა და დროს სხვადასხვა ხელშეკრულებები იარსებებს. მყიდველმა პროგნოზირება უნდა გაუკეთოს მოთხოვნას წლის ყოველი პერიოდისათვის და ამ მონაცემების მიხედვით ხელშეკრულება დადოს საჭირო ენერგიაზე. გამყიდველმა წინასწარ უნდა განსაზღვროს მარაგის სიდიდე და მყიდველის მოთხოვნის მიხედვით გააფორმოს ხელშეკრულება. ხელშეკრულებებით ენერგიის საფასური ან თანხით ანაზღაურდება ან ენერგიით ე.ი. მყიდველი გამყიდველს უხდის დაკვეთილი ენერგიის საფასურს, მიუხედავად რეალური მოხმარებისა და გამყიდველი უზრუნველყოფს ელექტროენერგიის დაკვეთილი მოცულობის ადგილზე მიტანას. მყიდველმა უნდა მოახდინოს მოუხმარებელი ენერგიის გადაყიდვა ან მიიღოს დანაკარგი; გამყიდველმა მყიდველის მაგივრად უნდა მოიპოვოს ენერგია, თუკი საკუთარი რესურსები საკმარისი არ არის. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ გენერაციის ობიექტს, გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად, შენახული ექნება გენერირება და ვერ შეძლებს მის გადაყიდვას, თუკი ეს ენერგია არ იქნება წაღებული. მყიდველი კი ვერ შეძლებს მიუღებელი ენერგიის სანაცვლოს მიღებას უკვე მოლაპარაკებულ ფასში (თუკი საერთოდ შესძლებს ამას საქართველოში).

მყიდველის ხელშეკრულების ფორმა შეიძლება სხვადასხვა იყოს კვირის დღეების, დღესასწაულების, შაბათ-კვირის და სეზონების მიხედვით. რა თქმა უნდა, მსგავსი დღეებიც იქნება, თუმცაღა წლის განმავლობაში რამდენიმე სხვადასხვა სახის დიაგრამის არსებობა გარდაუვალია.

წლის მანძილზე შეიძლება იცვლებოდეს გენერაციის ობიექტის ხელშეკრულების ფორმაც. გენერაციის ობიექტებისთვის მათი ენერგიის საფასური დამოკიდებული იქნება მარაგის არსებობაზე. აშკარაა, რომ ზამთარში ნაკლები ენერგია იქნება და შესაბამისად, ფასიც მეტი უნდა იყოს. ეს კი მოტივაციას მისცემს გენერაციის ოპერატორებს, შემოდგომაზე მეტი ენერგია შეინახონ ზამთრისათვის, იმ მოლოდინით, რომ ზამთარში ფასები გაიზრდება.

ამ მოდელში, ჩვეულებრივ, სამი კატეგორიის ხელშეკრულება იქნება შემოღებული:

ა) გრძელვადიანი (1 თვიდან 1 წლამდე და ზემოთ) - მყიდველები გამყიდველებთან გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმებით შეეცდებიან შეავსონ საკუთარი მარაგის უდიდესი ნაწილი. აღნიშნული მოიცავს დაახლოებით 80%, იმის და მიხედვით თუ რა მიდგომა აქვს კომპანიას ვაჭრობის რისკთან. ამ გზით, ისინი უქრუნველყოფენ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ცნობილ ფასებში ცნობილი წყაროებიდან. დღეისათვის საქართველოში მოქმედებს საათობრივი გრაფიკი, რაც შეესაბამება რუსეთში გამოყენებულ გრაფიკს. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება მიუთითებს გენერაციის ყოველი ობიექტიდან ყოველდღიურად მისაღები ენერგიის ოდენობაზე, უფრო მარტივი იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ იგივე სქემა გამოიყენება ყოველი დღისათვის დღეთა "რიგთან" მიმართებაში – ალბათ, ერთი თვე ზაფხულის ან ზამთრის მანძილზე და ერთი კვირა გაზაფხულისა და შემოდგომის მანძილზე.

გენერაციის ობიექტები, ალბათ, მოინდომებენ წინასწარ (დიდი ხნით ადრე) გაყიდონ ენერგია, რათა უზრუნველყონ საკუთარი შემოსავალი.

ბ) მოკლევადიანი: (წინასწარ, 1 დღიდან 1 თვემდე) - ეს ხელშეკრულებები, რომლებიც ფორმით გრძელვადიანის მსგავსი იქნება, გამოიყენება მყიდველების და გამყიდველების პოზიციის მოსარგებად. მიზანი იქნება პირველ რიგში დამაბალანსებელ ბაზარში რისკის თავიდან აცილება (იხ. ქვემოთ), მაგრამ ამ პერიოდში, ალბათ, კომერციული ვაჭრობა იჩენს თავს – მყიდველი დაინახავს შესაძლებლობას, შეამციროს მოხმარება და მომგებიანად გაყიდოს გამოთავისუფლებული ენერგია – გენერაციის ობიექტმა შეიძლება დაინახოს შესაძლებლობა წყლის კონსერვაციისა ან სათბობის ღირებულების შემცირებისა, იყიდის რა ენერგიას საკუთარი ხელშეკრულებების პირობების შესასრულებლად.

გ) დამაბალანსებელი ბაზრის ვაჭრობა - დამაბალანსებელი ბაზარი (ხშირად მას უწოდებენ "ბაზარს" ან "რეალური დროის ბაზარს") არის მექანიზმი, რომელსაც იყენებს სისტემის ოპერატორი, რათა შეიძინოს ენერგია, რომ შეავსოს სხვაობა ხალშეკრულებით გათვალისწინებულ და ფაქტიურ რაოდენობას შორის. თუკი სისტემა დეფიციტურია (ანუ ყველა ხელშეკრულების ღირებულება ნაკლებია მოცემული პერიოდის უშუალო მოთხოვნაზე), დამაბალანსებელი ბაზარი მიიღებს შემოთავაზებებს (სურვილის გამოხატვა, გაზარდონ გენერაცია ან შეამცირონ მოხმარება ე.ი. დამაბალანსებელ ბაზარზე მიყიდვა), თუკი სისტემა პრეპიციტულია (ანუ ყველა ხელშეკრულების ღირებულება აღემატება ფაქტიურ მოთხოვნას), დამაბალანსებელ ბაზარი მიიღებს შემოთავაზებებს (სურვილის გამოხატვა, შეამცირონ გენერაცია ან გაზარდონ მოხმარება ე.ი. იყიდონ დამაბალანსებელი ბაზრიდან). მაშინ დამაბალანსებელი ბაზარი გაყიდის (დეფიციტური ბაზრის პირობებში) ან იყიდის (პრეფიციტური ბაზრის პირობებში) ენერგიას, რათა შეავსოს განსხვავება სახელშეკრულებო და ფაქტიურ ენერგიას შორის.

გადაცემის დანაკარგების აღრიცხვა მოხდება ანგარიშსწორების ყოველი პერიოდის ბოლოს, ჩვეულებრივ მსხვილი ქსელების ზონების მიხედვით. დანაკარგები გამყიდველებს უნაწილდება გარკვეული თანაფარდობით, ალბათ თითოს 50%. ასე რომ, თუკი მოცემულ პერიოდში დანაკარგი 6% იყო, იმპორტის განმახორციელებლების და გენერაციის ობიექტების მონაწილეობა სისტემაში 3%-ით შემცირდება, ხოლო მყიდველების ფაქტიური მომარაგება ქსელიდან გაიზრდება 3%-ით. ცალსახაა, რომ ეს დამოკიდებულია სისტემის დანაკარგების ტექნიკური ნორმების ფარგლებში მოქცევაზე.

საცალო მოვაჭრეები - ასეთი სახის ბაზარში საცალო გაყიდვა ჩვეულებრივ გამანაწილებელი კომპანიების მიერ არ იმართება, მათი ბუნებრივი მონოპოლიიდან გამომდინარე. სანაცვლოდ, საცალო რეალიზაცია განცალკევებულია გამანაწილებელი კომპანიისაგან, რომელიც შემდგომში მომსახურების მიმწოდებელი ხდება ისევე, როგორც გადაცემის ოპერატორი. საცალო მოვაჭრეები ორმხრივ ბაზარზე ივაჭრებენ და საკუთარ მომხმარებლებზე განახორციელებენ გადამყიდველობას და ხელშეკრულებას დადებენ გადაცემის ოპერატორთან და ადგილობრივ გამანაწილებელ კომპანიასთან, რათა ელექტროენერგია მიეწოდოს მათ საბოლოო მომხმარებელს. ეს იმას ნიშნავს, რომ საცალო მოვაჭრეს ენერგიის მიწოდება შეუძლია ქვეყნის ნებისმიერ ადგილას და მომხმარებლებს საკუთარი საცალო მიმწოდებლის შერჩევა შეუძლიათ, როგორც წესი მომსახურეობის და ფასის მიხედვით. ნათელია, რომ ის საცალო მოვაჭრეები, რომლებიც უფრო მომგებიანად ვაჭრობენ ენერგიით, შეძლებენ უკეთესი ფასის შეთავაზებას თავიანთ მომხმარებლებზე და აქედან გამომდინარე მიიღონ მეტი წილი ბაზრიდან.

არ არსებობს მიზეზი, რატომ არ უნდა ფლობდეს ერთი და იგივე ორგანიზაცია გენერაციის, განაწილების და საცალო აქტივებს. სხვათა შორის, ეს ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ქვეყნების უმრავლესობაში. ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა ძლიერი მარეგულირებელი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოცემული გამანაწილებელი კომპანია უსამართლოდ გამოიყენებს ყოფილი მომხმარებლების შესახებ ინფორმაციას მათ წინააღმდეგ. რეგულირება ჩვეულებრივ მოითხოვს საქმეში განაწილებასა და საცალო მხარეებს შორის ზღვარის არსებობას ისე, რომ ყველა საცალო შემოთავაზება ერთი იყოს ყველა მომხმარებლებისათვის, მაგალითად გამანაწილებელმა კომპანიებმა მიზნათ არ უნდა დაისახონ დაბალი ღირებულება კარგი გადახდის ისტორიის მქონე მოხმარებლისათვის და შეეცადონ დანარჩენები ისე დატოვოს. ეს თუ დავუშვით, არავინ არ მოამარაგებს თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენილ რეგიონებს.

## საქართველოსათვის დამახასიათებელი მოვლენები აღნიშნული მოდელისთვის

ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარს გააჩნია გრძელვადიანი უპირატესობანი, რაც შემდგომში მდგომარეობს:
ხელს უწყობს კონკურენციას;
მოიზიდავს კერძო ინვესტორებს;
ოპტიმიზაციას გაუწევს საცალო ფასს;
ხელს შეუწყობს სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის ჩამოყალიბებას;
შეესაბამება ევროპული ბაზრების სტრუქტურას;

თუმცა, როდესაც ვითვალისწინებთ ორმხრივი ხელშეკრულებების მოდელის საქართველოს პირობებში ჩამოყალიბებას, აუცილებელია პირველ რიგში ტექნიკური და კომერციული საკითხების გადაწყვეტა:

**დამაბალანსებელი ბაზარი** – ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრები და მათთან დაკავშირებული დამაბალანსებელი მექანიზმები წინასწარ გულისხმობენ, რომ ქვეყანაში არსებობს შესაბამისი მარაგი მიწოდების და მოთხოვნის დასარეგულირებლად და რომ გადაცემის სისტემას უნარი აქვს მუდმივად მიაწოდოს ენერგია ხელშეკრულების მთელი პერიოდის განმავლობაში. ზამთარში, საქართველოში გენერაციის სიმძლავრის სიმცირის პირობებში, სისტემის ოპერატორს დეფიციტი ექნება დღის პიკ საათებში. როგორც მოსალოდნელია, გენერაციის ობიექტები ვერ შეძლებენ პროდუქციის გაზრდას და ასევე ნაკლებად რეალურია, მყიდველებმა ნებაყოფლობით შეამცირონ მოთხოვნა. დიდი სიფრთხილეა საჭირო იმ მექანიზმის შექმნისას, რომელიც მხედველობაში მიიღებს იძულებითი შეზღუდვებით და ჰესების ან გადაცემის გაუმართაობით მომხდარი ხშირი გამორთვების კომერციულ შედეგებს. საკმაო დრო დაჭირდება ასეთი მოდელის შექმნას, ტესტირებას და დანერგვას.

**აღრიცხვა** – საბითუმო დონეზე საათობრივი აღრიცხვიანობაა საჭირო სხვადასხვა ხელშეკრულებების მართვისა და ანგარიშსწორებისათვის. საქართველოში ეს ჯერ შესაძლებელი არ არის.

**გადაცემის დანაკარგები** – გადაცემის დანაკარგების ანგარიშსწორება მოითხოვს ქსელში ფაქტიური დანაკარგების გარკვეული ტექნიკური ნორმების ფარგლებში მოქცევას და რომ ზენორმატიულ კარგვებზე პასუხისმგებლობა სამართლიანად არის განაწილებული.

**მოთხოვნის პროგნოზი** – კომერციულად მდგრადი ხელშეკრულებების შემოსაღებად საჭიროა საათობრივი მოთხოვნის რაც შეიძლება ზუსტი პროგნოზირება. მყიდველთა უმეტესობისათვის გააჩნია შეზღუდვების და გამორთვების გამოცდილება, რაც პროგნოზირებას ართულებს.

**ხელშეკრულებები მიწოდებაზე** – განსახილველია შეძლებენ თუ არა გენერაციის ობიექტები მხოლოდ საკუთარი პროდუქციის გაყიდვას თუ ენერგიით ვაჭრობას. ეს ჰესებს ეხება, რომლებმაც უნდა იცოდნენ ვინ იღებს კომერციულ რისკს წყლის სიმცირეზე, თბოსადგურების შემთხვევაში ვინ შეძლებს ჰიდრო (თუკი წყლის მარაგი საშუალოზე მეტია) ან იაფი იმპორტით შეანაცვლოს ხელშეკრულებით სავალდებულო რაოდენობას. ყველა მხარემ უნდა გადაწყვიტოს ვინ აიღებს კომერციულ რისკზე პასუხისმგებლობას ავარიის შემთხვევაში.

თბოსადგურებისადმი "სიმძლავრის გადასახადი" არ ფიგურირებს ორმხრივი ხელშეკრულების ბაზრებში, რადგან არავინ არ მოისურვებს მათთან ხელშეკრულების გაფორმებას. ამიტომ, თბოსადგურის ხარჯები და მოგება მთლიანად უნდა ანაზღაურდეს ენერგიის რალიზაციიდან. ეს უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ფულის ნაკადზე და გაზრდის ზამთრის ფასებს, რითაც ჰესს დაუკარგავს კონკურენციის უნარს იმპორტის ფასებთან მიმართებაში. ნებისმიერ სემთხვევაში, ჰესის მონაწილეობა ვაჭრობაში საჭიროა სისტემის მდგრადობისა და დაზღვევისათვის.

ზამთრის თვეებში უდავოდ უპირატესობა მიენიჭება ენერგიის მიწოდების საიმედო ხელშეკრულებებს თეორიულად იაფი ჰესებიდან, რაც წყლის რესურსების მიზანსეწონილ მართვამდე არ მიგვიყვანს. ააღნიშნული გარკვეულ წილად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ აიძულოს გამყიდველები მოთხოვნის 30% "ძვირი" წყაროებიდან დაიკმაყოფილოს მაგრამ სწორი ფასის დადგება მნიშვნელოვანია ამ სტრატეგიის წარმატებისათვის. თუმცაღა მოცემული სტრატეგიის წარმატების პირობებში აუცილებელია სწორი კვოტების განსაზღვრა. გარდა ამისა, ეს მიგვიყვანს მცირე იმპორტის ხელშეკრულებების დიდ რაოდენობამდე, რაც შესაძლოა მიუღებელი იყოს იმპორტის განმახორციელებელისათვის.

**ფასთა სისტემა** – საქართველო ჰესებიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით და ზაფხულისა და ზამთრის მარაგს შორის სხვაობის მიხედვით უჩვეულოა. ასეთ ბაზარში ექსპორტი (თუკი შესაძლებელია ზაფხულში) და იმპორტი და თბო (ზამთარში) განსაზღვრავს შიდა ფასების მერყეობას იმ შედეგით, რომ საბითუმო ენერგიის ღირებულება გაიზრდება.

**ექსპორტი** – შესაძლოა ფასები, რომლებსაც გენერაციის ობიექტმა შეიძლება მიაღწიოს ექსპორტის ბაზარზე, უფრო მაღალი იქნება, ვიდრე შიდა მყიდველების ფინანსური შესაძლებლობები, თუმცა შექმნის ელექტროენერგიის "კომერციულ" დეფიციტს მაშინაც კი, როცა საკმარისი ფიზიკური ენერგია გამომუშავდება ქვეყანაში. სანამ შესაძლებელია მხოლოდ ჭარბი ენერგიის ექსპორტი, პირველი უნდა განისაზღვროს – არის ეს ქვეყნის საერთო მოთხოვნაზე ჭარბი ენერგია თუ ქვეყნის იმ მოთხოვნაზე ჭარბი მარაგია, რომლის ანაზღაურების საშუალებაც არსებობს? თუკი ექსპორტი განხორციელდება მხოლოდ მცირე რაოდენობაზე, ამასს უარყოფითი ზეგავლენა ექნება ზაფხულის ფასებზე – თუკი მყიდველებმა იციან, რომ გენერაციის ობიექტები მანამდე ვერ შესძლებენ ექსპორტირებას, სანამ შიდა მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული და არ იარსებებს მარგინალური ღირებულება (რომელიც გენერაციის ობიეტის ფუნქციონირებასთან არის დაკავშირებული), მაშინ ისინი მინიმალურ ფასებს შესთავაზებენ. თუკი ექსპორტის რაოდენობა დიდია, საწინააღმდეგო რამ მოხდება.

**ღირებულება** – დამაბალანსებელმა ბაზრებმა გვიჩვენა ტენდენცია ფასების მერყეობისა თუკი შევადარებთ ენერგიის საშუალო შეწონილის სახელშეკრულებო ღირებულებას. ეს ვაჭრობის რისკის რეგულირებას მნიშვნელოვანს ხდის, რისი გამოცდილებაც ძალიან მცირეა საქართველოს ენერგოსექტორში.

**დისპეტჩერიზაცია** – ჩვეულებრივ, ჰესები თვით დისპეტჩირებადია, როცა ორმხრივი ხელშეკრულების და სისტემის ოპერატორთან დამაბალანსებელი კონტრაქტების საფუძველზე ფუნქციონირებენ, რასაც შედეგად მიწოდებაზე ნათელი ანგარიშსწორება მოყვება. წინაპირობაა ადექვატური სიმძლავრის მარაგი და ბაზრის ფუნქციონირება რეალურ დროსთან ახლოს, რათა სისტემის ოპერატორმა შეძლოს სიხშირის და ძაბვის შენარჩუნება მისაღებ დონეზე. ეს წინაპირობა ვერ შესრულდება საქართველოში, ამიტომ სავარაუდოდ, ჰესების დისპეტჩირება ცენტრალურად უნდა მოხდეს.

**კომერციული რისკი მყიდველებისათვის** – თუკი გამანაწილებელი კომპანიების საცალო ტარიფი უნდა დარეგულირდეს, მნიშვნელოვან კომერციულ რისკთან გვექნება საქმე იმ გარემოში, სადაც მომხმარებული ენერგიის (სიმძლავრის) ფასებში სტაბილურობა არ არის. მსგავსად ამისა, მსხვილი საწარმოები, რომელთათვისაც მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება ძალიან მნიშვნელოვანია, აღმოაჩენენ, რომ მათი პროდუქცია კონკურენტუნარიანი არ არის, თუკი ფასებმა ზრდა დაიწყო.

თუმცა, თუკი საცალო ტარიფები მერყევი იქნება და საბოლოო მომხმარებლებს არჩევნის გაკეთების საშუალება არ მიეცათ, მაშინ ისინი გამანაწილებელი კომპანიების მიერ სუსტი სავაჭრო პრაქტიკის იმედად დარჩებიან. განაწილების და საცალო ვაჭრობის განცალკევების მიზნით ყველა საბოლოო მომხმარებელი უნდა გამრიცხველიანდეს და უნდა დაინერგოს სისტემები, რათა საცალო მოვაჭრემ მრიცხველის სწორი ჩვენება მიიღოს.

**დერეგულირების დროში გაწერა** – მიუხედავად იმისა, რომ ელექტროსექტორის ძალიან ცოტა კომპანიას გააჩნია ფინანსური სახსრები, ბაზრის დერეგულაციაზე გადასვლის ვადები კრიტიკულია. აშკარაა, რომ როგორც გენერაციის ობიექტებს, ასევე მომხმარებლებს დასჭირდებათ თანხები: გენერაციის ობიექტებს იმისათვის, რომ სარგებლობა მიიღონ ენერგიის დიდი რაოდენობის და დაბალი ფასის პირობებში ზაფხულში და მყიდველებს იმისათვის, რომ ზამთარში ძვირად ღირებული ენერგიეს შესყიდვა შესძლონ. არსებული რესურსების პირობებში, თუკი გარდამავალი პერიოდში დაიწყევა გაზაფხულზე, რათა იმისათვის რომ მყიდველებს მიეცეთ საშუალება ზამთრის მარაგი სექმნან, გენერაციის ობიექტებს გაუჭირდებათ თავიანთი საექსპლოატაციო ხარჯების დაფარვა და პირიქით, თუკი ეს შემოდგომაზე განხორციელდა. გარდამავალი პერიოდი ფრთხილად უნდა იყოს შერჩეული.

თუმცა, მანამდე, სანამ გრძელვადიანი სტრატეგია ბაზრის დერეგულარიზაციისა არ არის მიზანშეწონილი განსახორციელებლად, საჭიროა გარდამავალი სტრატეგიის შემუშავება.

## ერთი მყიდველის მოდელი

"აუზად" წოდებული ეს მოდელი მრავალ ქვეყანაში შემოიღეს ან როგორც ცალკეული სტრატეგია ან გარდამავალი სტრატეგია დერეგულიაციამდე. საქართველოში არსებული მოდელისაგან განსხვავებით, ერთი მყიდველის მოდელის საბიტუმო ბაზარი უბრალოდ ანგარიშსწორებას კი არ ახდენს, არამედ ყიდულობს და მყიდველებზე ყიდის ენერგიას. გაითვალისწინეთ, რომ ამ კონტექსტით "მყიდველი" შეიძლება საექსპორტო სააგენტო იყოს და მიმწოდებელი საიმპორტო სააგენტო.

## პრინციპები

მთელი ენერგია, რაც გაივლის გადაცემის ქსელს იყიდება საბითუმო ბაზრის გავლით – ბაზარი წარმოადგენს ქსელის კომერციულ ასახვას. ენერგია, რომელიც არ შედის სისტემაში ცენტრალურად არ ნაწილდება და არ იყიდება ბაზარზე. გენერაციის ის ობიექტები, რომლებიც ენერგიის უმეტესობას პირდაპირ ყიდიან, მაგრამ კავშირი აქვთ სისტემასთან, უფლება აქვთ ზედმეტი (ჭარბი) ენერგია გაყიდონ ბაზრის გავლით, თუკი ბაზარი მზად არის იყიდოს იგი და მყიდველები, რომლებიც ძირითადად პირდაპირ ყიდულობენ ენერგიას, შეძლებენ სისტემიდან მიიღონ იგი, თუკი შესაბამისი კავშირები გააჩნიათ. ამ ბაზარში მონაწილეობისათვის მყიდველებმა საშუალოდ მინიმალური სიდიდის ენერგია უნდა შეიძინონ. თუკი ისინი ზღვარს გადააცილებენ, მაშინ ისინი ადგილობრივი გამანაწილებელი კომპანიის მომხმარებლად ჩაითვლებიან და სისტემასთან ნებისმიერი კავშირი ჩაითვლება ადგილობრივ გამანაწილებელ კომპანიასთან კავშირად.

გამყიდველების მიერ საბითუმო ბაზარზე მიყიდულ პროდუქციაზე დადებული ფასი დერეგულირდება და ამიტომ, ბაზრის მიერ მყიდველებზე მიყიდული პროდუქციის ფასიც დერეგულირდება. ბაზარს ვალდებულება აქვს მთელი წლის მანძილზე ყველაზე დაბალ ფასად მიჰყიდოს ენერგია თავის მყიდველებს, მაგრამ ფასი სხვადასხვა იქნება დღის მონაკვეთის, კვირის დღისა და სეზონის მიხედვით.

სისტემის ოპერატორი აქტიური მოვაჭრე არ არის ამ ბაზარში და რეგულირებად ტარიფს უხდიან. ბაზრის ოპერატორმა შეიძლება სისტემის ოპერატორის მაგივრად შეაგროვოს თანხები ან სისტემის ოპერატორს დამოუკიდებლად შეუძლია დაარიცხოს და ამოიღოს თანხები.

ვიდრე არსებობს განცალკევება ასეთი ტიპის ბაზარში, არ არსებობს მიზეზი რატომ არ უნდა გააჩნდეს ორგანიზაციას როგორც გენერაციის ასევე განაწილების აქტივები. სხვათა შორის ეს ბევრ ქვეყანაში ნორმად ითვლება. ეს ცალსახად ეფექტური გზაა რისკის სამართავად.
– როცა "აუზის" ფასები მაღალია, გენერაციის ნაწილი იგებს, ხოლო როცა ფასები დაბალია, გამანაწილებელი ნაწილი სარგებლობს.

## მოდელის დახასიათება

**მოთხოვნა-მიწოდება** – ყოველი დღის ყოველ საათზე ბაზარი ანგარიშობს მოთხოვნის მდგომარეობას ყოველი მყიდველისთვის ინდივიდუალური მოთხოვნის შემოღებით და ყოველი საათისათვის მოთხოვნის დაანგარიშებით.

საჭირო მოთხოვნის დაწესების შემდეგ ბაზარი იღებს შემოთავაზებებს მიმწოდებლებისგან, რომლებსაც მოცემულ საათზე უნდათ ენერგიის გაყიდვა. შემოთავაზებებში შევა ენერგიის მოცულობა (რომლის გაყიდვაც სურთ), ენერგიის მინიმალური ოდენობა (რისი გაყიდვაც მათ შეუძლიათ) და ფასი.

ხშირად საჭირო იქნება მზა რესურსი მოხმარების გაუთვალისწინებელი ზრდის ან ჰესის დაზიანების შემთხვევისათვის. მომწოდებლები შეიძლება მოიწვიონ რეზერვის შემოთავაზებით, ელექტროენერგიის ღირებულებასთან ერთად, თუკი სარეზერვო ჰესი უკვე დისპეტჩირებულია.

გენერაციის ობიექტებისაგან მიღებული შემოთავაზებების გამოყენებით და მისი ხარისხის მიხედვით (გენერაციის ობიექტებს შეუძლიათ ენერგიეს შეთავაზება მათთვის შესაძლებელი რაციონალური გენერაციის ფარგლებში. მაგალითად, თბოსადგურებს შეუძლიათ ენერგიის შეთავაზება 200 მგვტ-დან 250 მგვტ-მდე ფარგლებში და 400 მგვტ-დან 500 მგვტ-მდე ფარგლებში, მაგრამ მათ არ შეუძლიათ 100 მგვტ-ის ან 300 მგვტ-ის შეთავაზება), ბაზრის ოპერატორი მიიღებს ამ შემოთავაზებებს მოთხოვნის შესავსებად და დაიწყებს ამ ქმედებას ყველაზე დაბალი ფასის გენერაციის ობიექტიდან. სისტემის ოპერატორს უბრძანებენ ამ თანმიმდევრობით მოახდინოს დისპეტჩერიზაცია. (დისპეტჩერიზაცია დამსახურების მიხედვით)

**"აუზის" ფასები** – სისტემის მარგინალური ფასები: ძირითადად, ელექტროენერგიის "აუზის" ფასები ყოველი პერიოდისათვის დაანგარიშდება მოცემულ პერიოდში ყველაზე ძვირადღირებული გენერაციის ობიექტის ფასის აღებით და ამ ფასის გადახდით გენერაციის ყველა დაგეგმილ ობიექტზე, მათი საკუთარი ღირებულების მიუხედავად. ამ ღირებულებას უწოდებენ "სისტემის მარგინალურ ფასს" და გენერაციის იმ ობიექტს, რომელიც ამ ფასს სთავაზობს, ეწოდება "გენერაციის მარგინალური ობიექტი". მყიდველებზე გასაყიდი ფასი ("აუზის" გასაყიდი ფასი) შეიცავს კომპონენტებს, რომლებიც მასზეა დამატებული რეზერვების ხარჯების დასაფარად და საჭიროებისამებრ, სარეზერვო სადგურის ასამუშავებლად. იქ, სადაც სარეზერვო სადგურს უწევენ დისპეტჩერიზაციას, უხდიან მათმიერვე შემოთავაზებულ ფასს, რომელიც ყოველთვის უფრო მეტი იქნება, ვიდრე სისტემის მარგინალური ფასი. თუკი ერთზე მეტი სადგური იყო რეზერვში, სარეზერვო სადგურების დისპეტჩერიზაცია მოხდება დამსახურების მიხედვით.

ასეთი სისტემის ქვეშ, "აუზის" ფასები შეიძლება ძალიან მერყევი იყოს და მრავალი ბიზნეს-წარმომადგენელი არ მოისურვებს ამ რისკის გაწევას. რისკის მართვა ხორციელდება მყიდველისა და გამყიდველის მიერ "განსხვავებისათვის" გაფორმებული ფინანსური ხელშეკრულების საშუალებით. ამ მოლაპარაკების დროს მყიდველი და გამყიდველი შეთანხმდება ყველასათვის მისაღებ ფასზე, მათი მოთხოვნისა და მიწოდების პროპორციულად. ამ ხელშეკრულებით, გამყიდველი გადაიხდის განსხვავებას "აუზის" ღირებულებასა და შეთანხმებულ ფასს შორის, როცა "აუზის" ფასი დიდია. მყიდველი კი გადაიხდის განსხვავებას "აუზის" ღირებულებასა და შეთანხმებულ ფასს შორის, როცა "აუზის" ფასი ნაკლებია შეთანხმებულზე. ეს ხელშეკრულებები მთლიანად ორმხრივია და "აუზთან" შეხება არა აქვთ.

"აუზის" საშუალო შეწონილი ფასი: "სისტემის მარგინალური ფასების" მიდგომას უპირატესობა აქვს ენერგოსისტემებში, სადაც გენერაციის დიდი ნაწილი მოდის თბოგენერაციაზე და დანახარჯთა უდიდესი ნაწილი მოდის სათბობზე. შედეგად, ფასების მერყეობა მაქსიმალურიდან მინიმალურამდე ძალიან დიდი არ არის და ადვილია კონტაქტის დამყარება უცხოურ ბაზრებთან, რომლებიც შეეცდებიან შეამცირონ ფასების არასტაბილურობა. გენერაციის ობიექტების მიერ შემოთავაზებული ფასები, უზრუნველყოფენ ნორმალურ უკუგებას, გენერაციის იაფი ობიექტების მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებით და ძვირიანი ობიექტების პიკურ მოთხოვნებზე მუშაობით. "სავალდებულო ფუნქციონირების" სადგური, როგორიცაა ატომური სადგური, ყოველთვის ნაკლებ ფასს დაადებს ენერგიას და საშუალებას მისცემს თბოსადგურს, განსაზღვროს ფასები.

თუმცა საქართველოში, სადაც გენერაციის თითქმის 70% ჰიდროა, გენერაციის სხვადასხვა წყაროს შორის განსხვავება ძალიან დიდია. შემოდგომიდან გაზაფხულამდე "აუზის" მთელი ფასები განისაზღვრება თბოენერგიის შედარებით მცირე კომპონენტით, რაც იწვევს საბითუმო ფასის მკვეთრ ზრდას, ამიტომ ალბათ, უმჯობესი იქნება საშუალო შეწონილი ფასის გამოყენება.

## საქართველოსათვის საჭირო რეგულირება

როგორც ყველა მოდელთან მიმართებაში, საქართველოში ბაზრის ფუნქციონირებისათვის ნორმალური პირობები არ არსებობს. კერძოდ:
- ზამთარში რეზერვი არ არის;
- თანხების ამოღების დაბალი დონის და ტარიფების გამო, ზოგიერთ გამანაწილებელ კომპანიას საშუალება არა აქვს გადაიხადოს საფასური ელექტროენერგიისა, რომელიც საკუთარი მომხმარებლებისათვის სჭირდება;
- აღრიცხვის არსებული ტექნოლოგიები საკმარისი არ არის.

**რეალიზაცია:** თეორიულად, ზამთრის მარაგის სათანადო შენახვა თვითრეგულირებადი უნდა იყოს, რადგან ჰიდროოპერატორებს საშუალება მიეცეთ ზამთარში მეტ ფასად გაყიდონ ენერგია, ასე რომ მათ მოტივაცია ექნებათ შეზღუდონ გაყიდული ენერგიის სიდიდე ზაფხულის ბოლოდან შემოდგომამდე იმისათვის, რომ მაღალ ფასებს მიაღწიონ ზამთარში.

თუკი სისტემის ოპერატორი ბაზრის ოპერატორთან თანამშრომლობით დამოკიდებულებას გამოიყენებს გენერაციის ობიექტების მაგივრად, მაშინ მათ ექნებათ ვალდებულება, ამუშაონ სადგური ზამთარში მიწოდების ხარისხის უზრუნველსაყოფად, იმ პირობებშიც კი, როცა საშუალო შეწონილი ფასი მაღალია. აღნიშნული განხორციელდება შემოდგომაზე, რაც უზრუნველყოფს შემდგომში (ზამთარში) იმპორტსა და თბოენერგიას პიკურ საათზე სიმძლავრის მისაწოდებლად.

**შესყიდვები:** ჩვეულებრივ, გაყიდული ენერგიის სიდიდეზე შეზღუდვები არ იქნება. თუკი სისტემა თვითრეგულირებადია, პიკურ პერიოდში ჭარბი მოხმარებისას გამოიწვევს მაღალ პიკურ ფასებს, ასე რომ მყიდველებს ფინანსური მოტივაცია ექნებათ პიკ საათზე საკუთარი მოხმარება მინიმუმამდე დაიყვანონ. თუმცა საქართველოში იმ ენერგიის მოცულობა, რომლის მყიდველზე გასაყიდათაც მზად არის ბაზარი, დამოკიდებული იქნება მათ გადახდისუნარიანობაზე. ამ მოცულობაზე დაწესდება ლიმიტები. სისტემის ოპერატორს მიეცემა ინსტრუქცია მოახდინოს დისპეტჩერიზაცია საერთო ლიმიტირებული მოთხოვნის სანაცვლოდ.

**გადახარჯვის მართვა:** იმ შემთხვევაში, როცა მყიდველმა ლიმიტზე მეტი ენერგია აიღო და სისტემის ოპერატორი იძულებული იყო მოეხდინა რეზერვის დისპეტჩერიზაცია, ურჩი მყიდველი მთელი ამ რეზერვის ფასს გადაიხდის, საშუალო შეწონილ ფასთან ღირებულების დარეგულირების გარეშე. იმისათვის, რომ ხელი შეეშალოს ლიმიტების გადახარჯვას (თუკი გადახარჯვა ზაფხულში მოხდა, როცა რეზერვს დაბალფასიანი ჰიდროენერგია წარმოადგენდა) ურჩ მყიდველს გადაახდევინებენ ექსპორტის უმაღლეს ტარიფს. იმ შემთხვევაში თუ ასეთი არ არსებობს, მას გადაახდევინებენ გასული ზამთრის იმპორტის ფასს. თუკი გადახარჯვა და შესაბამისი ჭარბი გამომუშავდება ზღვარს გადასცილდა, ბაზარი უარს იტყვის ჭარბი ენერგიის საფასურის გადახდაზე. თუ გენერაციის ობიექტები უარს იტყვიან ჭარბი ენერგიის საფასურის გადახდაზე, ისინი ზარალში იქნებიან ისევე, როგორც სისტემის ოპერატორი განიცდის ზარალს ზედმეტი მოცულობის ენერგიის დისპეტჩერიზაციის შემთხვევაში.

თუკი გადახარჯვა გაგრძელდება, სისტემის ოპერატორი ვალდებული იქნება გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა ძალაში შევიდეს შეზღუდვები.

**ექსპორტი:** ჭარბი ენერგიის პირობებში, ბაზარი ალტერნატიულ ბაზრებს მოძებნის ამ ენერგიის რეალიზაციისათვის. შესასყიდი ენერგიის ფასი მოცემული დროისათვის განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულებით. გასაყიდი ფასი იქნება ამ დროს არსებულიდან საუკეთესო. ექსპორტზე მოლაპარაკების შედეგად მიღებული "მოგება" დაანგარიშდება საშუალო შეწონილი ფასის მიხედვით, საშუალებას მისცემს რა მყიდველებს, გაზარდონ თავიანთი ფულადი რესურსების მარაგი ზამთრის ფასების დასაძლევად. მეორეს მხრივ, ბარტერული მოლაპარაკებები შევა ძალაში, რომლის დროსაც ზამთარში მოხდება ენერგიის იმპორტი ზაფხულში განხორციელებული ექსპორტის სანაცვლოდ, შეთანხმებული თანაფარდობით.

**იმპორტი:** არსებულ პირობებში, იმპორტს საარსებო მნიშვნელობა აქვს ქართული ენერგოსექტორისათვის. მომავალშიც კი, როცა მეტი სიმძლავრე იქნება, იმპორტი საჭიროა სისტემის მოქნილობის უზრუნველსაყოფად. მიწოდება-მოთხოვნის საპროგნოზო ბალანსის შესაბამისად, ბაზარი მოახდენს ენერგიის იმპორტს გადახდის სათანადო გარანტიის პირობით. იქ, სადაც, იმპორტის განმახორციელებელი მოითხოვს წინასწარ გადახდას, მოლაპარაკების წარმატებულობისათვის, მყიდველმა ეს თანხა უნდა მომზადოს წინასწარ.

**ენერგოდეფიციტი:** ტექნიკური ავარიების (რომლებსაც აწმყოშიც და მომავალშიც წარმართავს სისტემის ოპერატორი) გარდა ასევე შესაძლებელია რომ ადგილი ჰქონდეს ენერგო დეფიციტის, რაც გამოწვეული იქნება ბაზრის მიერ შესაბამისი იმპორტისათვის ან თბოენერგიისათვის თანხების ვერ შეგროვებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოითხოვეს წინასწარი გადახდა.

ასეთ პირობებში, საჭირო იქნება მოხმარების შეზღუდვა არსებული მარაგის შესაბამისად. სისტემის ოპერატორი მიიღებს მითითებას, დისპეტჩერება გაუწიოს ელექტროენერგიას დასახული სტრატეგიის მოხედვით. თუკი მყიდველმა კუთვნილზე მეტი ელექტროენერგია აიღო დეფიციტის რეჟიმში, ენერგიის წყარო უნდა გახდეს სხვა მომხმარებლებზე მიწოდების შეზღუდვა. სისტემის ოპერატორმა დაუყოვნებელი ღონისძიება უნდა ჩაატაროს ურჩი მყიდველის მიწოდების შესაზღუდად. თუკი ეს ფიზიკურად შეუძლებელი იქნება, ის მყიდველები, რომლებმაც დაკარგეს ენერგია ზედმეტი ენერგიის მყიდველისაგან მიიღებენ კომპენსაციას საცალო ფასში.

აგრეთვე, შესაძლებელია კომპანიები, რომლებმაც განიცადეს შეზღუდვები ამ პირობებში, მზად იყვნენ, გადაიხადონ დამატებითი ელექტროენერგიის საფასური, თუკი ეს ენერგია მხოლოდ მათთვის არის განკუთვნილი. ბაზარი მათ მაგივრად, ორგანიზებას გაუკეთებს იმპორტის ან თბოენერგიის მოცულობის გაზრდას. ელექტროენერგია გამიზნული იქნება სწორედ ასეთი მყიდველისათვის, რომელიც მოცემული ენერგიის სრულ ღირებულებას გადაიხდის და არა საშუალო შეწონილ ფასს.

## გარდამავალი ერთი მყიდველის მოდელის უპირატესობა საქართველოსათვის

1. გაირკვევა ვალების საკითხი. ბაზარი გახდება გამყიდველების ნამდვილი კრედიტორი და მყიდველების ნამდვილი დებიტორი.
2. ბაზარი, როგორც დებიტორი, შეძლებს ფინანსური და ღონისძიებების ჩატარებას წესის დამრღვევის წინააღმდეგ, მაგალითად, ანგარიშის დაყადაღება სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით.
3. ვინაიდან ბაზარს კომერციული ინტერესი ექნება გადახდებში, იგი მზად იქნება მკაცრი ზომები მიიღოს არგადამხდელი მყიდველების წინააღმდეგ. თავიდან იქნება აცილებული ვალების დაგროვება – ბაზარი უარს იტყვის არგადამხდელებზე ფულის გადახდაზე, სულ რომ წყლის დაღვრა მოუწიოს.
4. ფასის მექანიზმი ელექტროენერგიის რაციონალურ გამოყენებას შეუწყობს ხელს – ჰესებს ექნებათ მოტივაცია შეინახონ წყალი, რომ ზამთარში უფრო დიდ ფასად გაყიდონ, მყიდველებს კი - შეამცირონ თავიანთი ძვირადღირებული პიკური მოხმარება.
5. ზამთრისათვის თანხების მარაგი გროვდება მომხმარებელი ორგანიზაციებიდან. თუ ისინი არ შექმნიან სათანადო მარაგს, ელექტროენერგიაც არ ექნებათ. ამით პასუხისმგებლობა დაუბრუნდება შესაბამის მხარეს.
6. იმპორტ-ექსპორტის მართვა ხდება რაციონალურად, მთელი სექტორის სასარგებლოდ.
7. ეს მოდელი ფუნდამენტალურად ორმხრივი ხელშეკრულებების მოდელზე უფრო მარტივია, მაგრამ არ ესაჭიროება დამაბალანსებელი მექანიზმი.
8. გამყიდველებს ეძლევათ შესაძლებლობა ენერგიით ივაჭრონ უფრო ნაკლები რისკის მატარებელ გარემოში, ვიდრე ეს ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარზე იქნებოდა.
9. მოდელის დანერგვა შეიძლება საფეხურებად მოხდეს, რათა მოდელს მიეცეს საქართველოს სინამდვილეზე მორგების საშუალება.
10. მოდელის საწყისი ეტაპები სწრაფად შეიძლება დაინერგოს.
11. მოდელი ერთგვარ საფუძველს წარმოადგენს, საიდანაც შესაძლებელი იქნება ეტაპობრივი გადასვლა ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარზე.
12. მოდელს კონკურენტუნარიანობის და პრივატიზაციის ხელშეწყობის უპირატესობა აქვს და შესაძლოა, მოკლე ვადით ინვესტორებმა რისკის შემცირების მიზნით, მასზე შეაჩერონ არჩევანი ამ არაპროგნოზირებად გარემოში.

## რისკი

1. ამ და სხვა მოდელისათვის (რომელიც არეგულირებს საცალო ტარიფებს, მაგრამ საბითუმო ფასებს მერყეობის საშუალებას აძლევს) ძირითადი რისკი მდგომარეობს იმაში, რომ გაცემული ენერგიის ღირებულება იზრდება, მაგრამ გამანაწილებელ კომპანიებს ინტერესი არა აქვთ განახორციელონ ჩათვლა აღნიშნულ დანახარჯებზე. გარდამავალი სტრატეგია შეძლებს ასეთი რისკის მართვას და მიდგომის მორგებას საჭიროების მიხედვით.
2. თუკი ბაზარი სახელმწიფო კუთვნილებაში იქნება, არსებობს რისკი არგადამხდელების წინააღმდეგ მიმართული არაპოპულარული ღონისძიებების ჩატარებისა. გამარტივების მიზნით, მნიშვნელოვანია ბაზარი დამოუკიდებელი ორგანიზაცია იყოს, რომელიც შემოსავალს იღებს სათანადო კომერციული საქმიანობის შედეგად.

## შემოთავაზებული გარდამავალი სტრატეგია

**I ეტაპი:** არსებული ბაზრიდან ვალის მოცილება "ვალების მართვის სააგენტოს" მეშვეობით, "საბაზრო წესების" 8.6 მუხლის ამოქმედებით ან ორივეს კომბინაციით.
**II ეტაპი:** ბაზრის როლის შენაცვლება ერთი მყიდველის ფუქციით (იმპორტისა და ექსპორტის ჩათვლით) შემთხვევაში, მაგრამ ფასების რეგულირება შენარჩუნებული იქნება. ელექტროენერგიის შესყიდვაზე არსებული ხელშეკრულებებისათვის (თელასი-მტკვარი და პოტენციურად ფერო-ვარციხე), სპეციალური პირობები უნდა შევიდეს ძალაში, თუკი ვერ მოხდება ასეთი ხელშეკრულებების გაუქმება.
**III ეტაპი:** ქვეყანაში საბითუმო აღრიცხვის ყველა წერტილებზე საიმედო საათობრივი აღრიცხვის სისტემის დამონტაჟებით, დაშვებული იქნა შეზღუდული ვაჭრობა პიკური საათების მოთხოვნაზე. ამ პირობებში ბაზისურ ტვირთზე შენარჩუნებული იქნება დარეგულირებადი ფასები და განხილული იქნება, თუ რა გავლენა ჰქონდა აღნიშნულ ღონისძიებას საბითუმო ფასებზე.
იმის გათვალისწინებით, რომ ყველაფერი კარგად შესრულდა და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი სასურველ მიზნად დარჩა:
**IV ეტაპი:** დამაბალანსებელი მექანიზმის შექმნა და გამოცდა
**V ეტაპი:** გათვალისწინებული იყოს შეზღუდული ორმხრივი ვაჭრობა პიკ საათზე, ბაზისური ტვირთის ფასების გამოყენებით, ჩვეულებრივ პირობებში სისტემის გასაყიდი და შესასყიდი ფასების დასადგენად.
**VI ეტაპი:** როცა დამყარდება სტაბილურობა, გაუქმდეს ბაზრის მყიდველი და ძალაში შევიდეს ენერგიის სრული ოდენობით მოვაჭრე ბაზარი.

## დასკვნა:

მანამდე, სანამ ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი თავისთავად გააზრებულ მიზნათ არ იქცევა, ეს პროცესი რისკიანია. ასეთი ბაზრის მისაღებად რეკომენდირებულია გარდამავალი სტრატეგიის დასახვა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო სტრუქტურა მხოლოდ მაშინ იქნება საიმედო და ეფექტური, როცა ენერგოსისტემაში ჩაიდება სათანადო ინვესტიციები. ბაზრის ნებისმიერ სტრატეგიას უნდა გააჩნდეს უნარი, კაპიტალით შეავსოს არასაკმარისი დაფინანსების მქონე ინფრასტრუქტურები და ყურადღება მიაქციოს დაბალი ტარიფებისა და თანხების არასაკმარისი საცალო ამოღების პრობლემებს.

სახელი ____________ მისამართი

გვარი ____________

ასაკი ____________ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____________

სიმაღლე ____________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა

# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" უქმნის ერუდირებულ, თამამ, მოხერხებულ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**მოხოვთ ყურადღებით გაეცნოთ ბლანკი უფასოა**

[illegible]

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სხვა გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



გერბთმცოდნეობა

ფელინის ფილმი

კიანუ რივზი "მატრიცაში"

ისტ. მხარე სამხრ. საქართველოში

სხვის სახლში ქირით მცხოვრები

ჩეხი კომპოზიტორი

პარიზის აეროპორტი

ჩოგბურთელი *** ნოა

დამხმარე თეორემა

მახილობი ღვთი ***

მოდელი *** სოლვეიგ-ენი

რუსული ჭურჭელი ჩაისათვის

ღმერთ ოდინის სასახლე

*** ია, *** თითი

ჯეიმს ჯოისის რომანი

8-93 გარამი

ინგლისური ლუდი

მინავერი ფრინველი

წინა სკანვორდის პასუხები:
[illegible]

## TV პროგრამა

21 მარტი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.30** პატრული **19.00** ქართული ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** ფორტ-ბოიარდი **00.00** მხ. ფილმი "მეომრები" (18) **02.10** პატრული

### ᲘᲡᲢ

**09.00** პროგრამა "დილა" **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

### [პირველი არხი]

**08.00** "ადრე" **10.00** სერიალი "დანაშაული" 1-ლი ს. **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** დოკ. ფილმი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" -რუზველტი **16.30** დოკ. ფილმი "კარლოს დიდის ეპოქა" 1-ლი ს. **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" - რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "მედიატორი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი - აბორტი **23.30** მხ. ფილმი "დილეტანტები" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00, 17.00, 21.00** ტუწ-ემ **11.30** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.30** ინდ. მხ. ფილმი "შურისძიების წყურვილი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.30** საქმე და ეკონომიკა **00.45** მხ. ფილმი "დრაკონის კარიბჭე" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** "ავტოგრაფი". ლეილა მესხი. **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.00** ჯეოსტარი - ფილარმონია. **23.00** დოკ. ფილმი "ამხანაგი პრეზიდენტი" 1-ლი ნ. **00.00** მხ. ფილმი "სამი ისტორია" (18) (ოლეგ ტაბაკოვი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **20.30** სერიალი "პროვანსი და მხატვრები" **20.55** დოკ. ფილმი "ზეციური სპილოს დაცემა" **21.45** კონცერტი **22.30** კინოსეანსი "პარმის სავანე" 1-ლი ს.

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **11.30, 17.10, 03.00** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.50** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** ქართ. სერიალი "ყავა და ლუდი" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯანრი კაშიასთან ერთად **02.20** "ნუცას სკოლა" (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" (გან) **10.00** მხ. ფილმი "ვარდისფერი ბანდა" **11.35** მუსიკა **12.00** კომედია "ვირთხების რბოლა" **13.50** დოკ. ფილმი **14.30** საინფ. გამოშვება **14.50** მხ. ფილმი "ტიტუსი-რომის მმართველი" **17.30** საინფ. გამოშვება **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **20.30** საინფ. გამოშვება **21.05** ბოევიკი "უცხოელი" **22.40** მუსიკა **23.00** დოკ. ფილმი "აეროპორტები" 1 ს. **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "ქურდი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Александр Лазарев в триллере **"ПРИЯТЕЛЬ ПОКОЙНИКА"** **11.10** Док. фильм "Скандалы на льду". **12.20** Эми Роббинс в фильме **"ВТОРАЯ КНИГА ДЖУНГЛЕЙ"** **14.00** Искатели. "Чумной форт". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Анатолий Лобоцкий в многос. детективе **"СЫЩИК БЕЗ ЛИЦЕНЗИИ"** **16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Палачи". 1-2 с. **18.40** Сериал **"КЛОН".** **19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"ХИРОМАНТ".** **22.40** Док. фильм "Космонавт номер ноль". **23.30** Авторская программа Э. Радзинского "Дом Романовых. Любовь и смерть". Фильм 1-й. **00.40** Игорь Петренко, Екатерина Климова в программе "Русский экстрим". **01.10** Майкл Джей Фокс в комедии **"СЕКРЕТ МОЕГО УСПЕХА".** Получив хорошее образование, Брентли Фостер направляется из Канзаса в Нью-Йорк в надежде сделать сногсшибательную карьеру в какой-нибудь крупной корпорации. Но выясняется, что его нигде не ждут с распростертыми объятиями. Делать нечего, приходится разыскивать отдаленного родственника, дядю Говарда Прескотта, который управляет многомиллионной корпорацией. И Брентли получает место, но... в отделе доставки писем. **02.50** Энтони Майкл Холл в триллере **"ЖЕНАТЫЙ".** Супружеская пара Тед и Ив Робинс переезжает в новый дом, красивый и удобный, к тому же с секретом: в фундаменте имеется скрытая звуконепроницаемая комната. Некоторое время спустя Ив начинает подозревать своего супруга в неверности. Предприняв небольшое расследование, она узнает, что Тед обманывает ее уже много лет. Ревность захлестывает несчастную женщину с головой, и она разрабатывает план мести. А вскоре Тед бесследно исчезает... **04.20** Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ ГЕРКУЛЕСА".** **05.05** Новые чудеса света. "Евротоннель".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: САПОЖНИК, ПОРТНОЙ, А ТЫ КТО ТАКОЙ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** "Чрезвычайное происшествие". Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.40** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2: СВИДЕТЕЛЬ ДОЛЖЕН УМЕРЕТЬ".** **15.30** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"СВОБОДНАЯ ЖЕНЩИНА-2".** **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ХЕРУВИМ".** **20.45** Сериал **"ПОД НЕБОМ ВЕРОНЫ".** **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Анастасия Волочкова в сериале **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ".** 1-я серия. **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ХЕРУВИМ".** **01.15** Журнал Лиги чемпионов. **01.45** Изабель Юппер в фильме **"РАССТАВАНИЕ".** Пьер и Анна уже не молоды, но и не стары. Их сыну Лулу всего 15 месяцев. Они в свое время очень любили друг друга, но любовь преобразилась в привычку каждый день видеть друг друга, говорить обязательные слова, совершать какие-то действия, ходить на работу, встречаться за обедом и т.д. Не все и не всегда Пьеру и Анне нравится друг в друге. И вот случилось так, что Анна полюбила другого. Она немедленно сообщила об этом Пьеру. Пьер не стал устраивать ей "сцен", не впал в истерику, но сам факт измены его, конечно, потряс, и он никак не мог решить, что же ему в этой ситуации делать. **03.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ".** **04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО".** **04.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2".** **05.40** Чрезвычайное происшествие.

## ყველაზე მსხვილი მეკობრული სერვერი ევროპაში

შვედეთის პოლიციამ სტოკჰოლმში ქვეყნის ყველაზე მსხვილი ინტერნეტ პროვაიდერის Bahnhof-ის ოფისი გაჩხრიკა. ოპერაცია შეერთებული შტატების სამართალდამცავი ორგანოების მითითებით განხორციელდა. სწორედ მათ აცნობეს შვედ კოლეგებს, რომ აღნიშნული პროვაიდერის სიმძლავრეს წლების განმავლობაში მეკობრული რესურსები იყენებდნენ კონტრაფაქტული პროდუქციის, მათ შორის ამერიკული წარმოების მედიაპროდუქციის გავრცელებისთვის.



შვედი პოლიციელების განცხადებით, ოპერაციის დასრულების შემდეგ აღმოაჩინეს მტკიცებულებები, რომ პროვაიდერი ტელეკომუნიკაციურ სამსახურს უწევდა მთელს ევროპაში კონტრაფაქტური პროდუქციის მწარმოებლებს. Bahnhof-ის სიმძლავრეს იყენებდა ევროპის ყველაზე მსხვილი მეკობრული რესურსი (რომლის სახელწოდებაც არ სახელდება). ამჯერად მუშაობა შეწყვიტა ოთხმა სერვერმა, რომლებზეც განთავსებული იყო სამი წლის განმავლობაში შექმნილი ფილმები.

შვედური პროვაიდერის საქმის ძიება ბოლო დროს მეკობრეების აქტიურად მებრძოლის MPAA-ს - კინოსმწარმოებლების ამერიკული ასოციაციის ინიციატივაა.

## კაცი, რომელიც დროში მოგზაურობს

გას ვან სენტი ის ამერიკელია, რომელმაც 2003 წლის კანის კინოფესტივალზე ოქროს პალმის რტოთი დაჯილდოებული "სპილო" გადაიღო. მანამდე იყო: "აფთიაქის კოვბოი", "გუდვილ ჰანტინგი", "იპოვო ფორესტერი" და To Die For. რეჟისორისკენ სიახლეებია. მალე გამოვა მისი ფილმი "უკანასკნელი დღეები", რომლის საშუალებითაც რეჟისორი სიეტლის მუსიკალური წრეების კულუარებში შეახედებს მაყურებელს. შთაგონების წყარო კი იქნება არა ემინემი, არამედ კურტ კობეინი. მერე კი გას ვან სენტი ჰოლივუდური კინოსტუდიის პროექტს მოკიდებს ხელს და "ნიუ ლაინ სინემასთვის" "დროში მოგზაურის ცოლს" გადაიღებს. სცენარი ჩიკაგოელ მწერალსა და პროფესორს ოდრი ნიფენეგერს ეკუთვნის. მთავარი გმირი კაცია, რომელსაც დროში მოგზაურობა შეუძლია და თავის საყვარელ ქალს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე გამოეცხადება ხოლმე. ჩანაფიქრი საინტერესოა, რეჟისორი - გამოცდილი და არაორდინარული. ამიტომ ყველა ვარაუდობს, რომ ფილმიც კარგი უნდა გამოვიდეს. ვნახოთ. მანამდე კი, 2005 წელს, კურტ კობეინის მოტივებზე გადაღებულ სურათს შეაფასებს მაყურებელი.



## მუსიკოსები პარლამენტში

შოტლანდიური როკ-ჯგუფი "ფრანც ფერდინანდი" ამ ზაფხულს თავის საკონცერტო გამოსვლას გეგმავს შოტლანდიის პარლამენტში. კონცერტი გაიმართება საკანონმდებლო ორგანოს ახალი შენობის ბაღში. საერთაშორისო დონის ვარსკვლავური ჯგუფის გარდა, ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ სხვა ადგილობრივი, პოპულარული კოლექტივებიც. ჯერჯერობით უცნობია კონცერტის ზუსტი თარიღი. კონცერტის მიზანია, ქვეყნის კანონმდებლების ყურადღება მიაპყრონ მუსიკალურ ინდუსტრიას. ახლახანს ჩატარებული კვლევის შედეგებით მუსიკას შოტლანდიის ეკონომიკისთვის წელიწადში 100 მილიონი ფუნტი მოაქვს.




## ვარსკვლავებმა შიდსის წინააღმდეგ იმღერეს

ქეთი მელუამ მონაწილეობა მიიღო სამხრეთ ამერიკაში გამართულ შიდსის საწინააღმდეგო მუსიკალურ აქციაში. მასთან ერთად კონცერტზე იმღერეს: ენი ლენოქსმა, პოლ როჯერსმა, ინდია არიმ, "ქუინმა". საღამოს წამყვანი იყო რეპერი უილ სმიტი. პირველი ასეთი კონცერტი 2003 წელს გაიმართა, რასაც მსოფლიოს მასშტაბით ორმა მილიარდმა ადამიანმა უყურა.

ქალები და შიდსი, - ასეთი იყო წლევანდელი კონცერტის თემა. კონცერტის შემოსავლები გადაერიცხება ნელსონ მანდელას ფონდს და მოხმარდება შიდსის წინააღმდეგ ბრძოლას. "ამ საზოგადოებაში ქალები უძლურნი არიან იმ მამაკაცების წინააღმდეგ, რომელთაც არ სურთ უსაფრთხო სექსი", - განუცხადა 20-ათასიან აუდიტორიას ენი ლენოქსმა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ვარსკვლავებმაც. 41-დოლარიანი ბილეთები ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა უამრავი სამხრეთაფრიკელისთვის. როგორც ორგანიზატორებმა განაცხადეს, მოსახლეობაში მათ უფასოდ დაარიგეს დაახლოებით სამი ათასი ბილეთი.

კონცერტი გაიმართა გერმანელი მილიარდერის ხასო პლატნერის სამფლობელოში; ყველა საორგანიზაციო ხარჯი მისმა ორგანიზაციამ საკუთარ თავზე აიღო.


ქეთი მელუა

### ღია კარის დღე

**ამერიკული აკადემია თბილისში** აცხადებს 13-14 წლის მოსწავლეთა მიღებას მეცხრე კლასში 2005-2006 სასწავლო წლისათვის.

**ღია კარის დღეები ჩატარდება**
**23 მარტს, 13 აპრილსა და 4 მაისს, 17 საათზე.**

**აკადემიის მისამართია: ჭავჭავაძის გამზ. 37ა,**
**ტელ: 22 74 41, 22 78 89.**







თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




### თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი დაფუძნა და ლიცენზირებულ იქნა 2002 წელს. ახლახანს წარმატებით გაიარა აკრედიტაცია.

ინსტიტუტი ამზადებს კვალიფიციურ თეოლოგებს. ამისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის: უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლები, როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვაგარეთიდან მოწვეულნი; უნიკალური ბიბლიოთეკა; ტექნიკური საშუალებები; თანამედროვე შენობა - სათანადო აუდიტორებითა და ლაბორატორიებით.

უახლეს პერსპექტივაში ინსტიტუტი გეგმავს მოამზადოს ასევე კულტუროლოგები და ტურიზმის სპეციალისტები.

ინსტიტუტი ოთხწლიანი სწავლების დასრულებისას სტუდენტი მიიღებს ბაკალავრის დიპლომს, ხოლო სურვილის, სათანადო ინტერესებისა და შესაძლებლობების (ინტელექტუალური) გათვალისწინებით, სტუდენტს ექნება რეალური შესაძლებლობა მაგისტრის, შემდგომ კი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად სწავლა განაგრძოს ევროპის შესაბამისი პროფილის იმ უმაღლეს სასწავლებელში, რომელთაგანაც ჩვენს ინსტიტუტს აქვს მყარი შეთანხმება. ეს ქვეყნებია: იტალია, საფრანგეთი, ჰოლანდია, გერმანია, ბელგია, უკრაინა.

**მისამართი:**
**გია აბესაძის ქუჩა 4ა**
**0105 თბილისი, ტელ: 989516**

### ვაკანსია

ქოლგეით-პალმოლივს მეტად ამბიციური მიზნები გააჩნია საქართველოში და საამისოდ მისი დისტრიბუტორი კომპანია შპს "პონტო სტარ კომპანი" იწვევს 25 წლამდე ახალგაზრდებს სავაჭრო წამომადგენლის (დისტრიბუტორის) თანამდებობაზე სამუშაოდ.

**მოთხოვნები**
1. უმაღლესი განათლება
2. კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი
3. ავტომანქანის მართვის მოწმობა (სასურველია)

**მოვალეობები**
1. გაყიდვები
2. დისტრიბუცია
3. თაროზე მუშაობა
4. სარეკლამო საშუალებების გამოყენება

დაინტერესებულმა პირებმა 2005 წ. 8-დან 26 მარტის ჩათვლით გამოაგზავნეთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) ფაქსის შემდეგ ნომერზე: 91 13 41. 1000-დან 1800 -მდე

### წამალი "სალხინო"
#### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.